

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის
საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-
საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება
ცოდნის“ ჟურნალი

სიტყვა

„როცა საზოგადო მნიშვნელობის
აზრი ამოქმედებს სიტყვას, მაშინ
თვითონ თქმა ქმნად გადაიქცევა
ხოლმე“



№15
2011

ჟურნალ „სიტყვის“ გამოცემა გრძელდება საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ წესდების საფუძველზე, რაც საჭირო ცვლილებებით დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით №366, 30.09.2005 წ. მოწმობა №00541/12/0293

**სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო ჟურნალი
„ს ი ტ ყ ვ ა“**

თუ რელაქციაში შემოსული მასალები არ ემთხვევა რელაქციის პოზიციას, გამოქვეყნებულ წერილებში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი

ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალებზე საავტორო უფლება ეკუთვნის „სიტყვის“ რელაქციას. შეუთანხმებლად რაიმეს გადაბეჭდვა კანონის ძალით აკრძალულია. ჟურნალი აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ სტამბაში

სარელაქციო კოლეგია:

ნუზზარ ფერეთელი (პრეზიდენტი),

ნოდარ ზედელაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი),

გურამ გეგეშიძე, ემზარ კვიციანი, ნიკო ლეონიძე, ტარიელ სტურუა, ნოდარ ცხვირაგაშვილი, ალექსი ჭელია, თამარ ყურაშვილი, ნინო წერეთელი.

რელაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა №47.

საკონტაქტო ტელეფონები:

99-00-35, 99-94-46, 93-43-10

877-52-31-31, 877-50-29-84

ISSN 1987-7449

Ÿ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“

შინაარსი

შესავალი	
„საზოგადოება ცოდნის“ სადღეისო ამოცანები	4
რეალიზაცია	
მართლმადიდებელი ეკლესია ათასწლეულების მიჯნაზე	8
მეცნიერება	
სათანადო სააფთიაქო პრაქტიკის პრინციპების დანერგვა საქართველოში .	18
პირველი ნაბიჯი ფარმაცევტობამდე	21
მეცნიერება - სტუმენტთა სამეცნიერო კონფერენცი- ის მასალები	
ინტერნეტ აფთიაქი	23
აფთიაქი, მისი ფუნქციები და ამოცანები	25
ფარმაცევტული საწარმო	29
აფთიაქი	32
აფთიაქი და მისი ხარისხის კონტროლი	34
აფთიაქი და მისი ფორმირება	37
ფარმაცევტი და მისი როლი ფარმაცევტულ საქმიანობაში	41
ფარმაცევტული საწარმო	44
ფარმაცევტული ბაზა	51
ფარმაცევტული ბაზა	54
ფარმაცევტული საწარმო, ხარისხის მენეჯმენტის სისტემა და	58
მენეჯმენტის განვითარების ისტორია	63
მარკეტინგის კავშირი მენეჯმენტთან, ბიზნესთან	67
მენეჯმენტის თეორია.	70
თანამედროვე აფთიაქის მენეჯმენტი	74
ფარმაციის პიარი	77
ფარმაცევტული ინფორმაციის მენეჯმენტი	81
გადაწყვეტილების მიღება ფარმაცევტული დაწესებულების მართვის პროცესში	87
მოპონება	
გამოჩენილი ქართველი არქიტექტორი	91
კრიტიკა	
მაქცია, მეტსახელად ლუსი (შტრიხები გივი ალხაზიშვილის პორტრეტისათვის)	95
ვერშემდგარი... ვერშემდგარი... ვერშემდგარი...	105
პოეზია	
თ. აფციაური – ახალი ლექსები	115
გამოუქვეყნებელი ლექსებიდან	127

„საზოგადოება ცოდნის“ საფუძვლისო ამოცანები

„საზოგადოება ცოდნის“ შესახებ უნდა ითქვას, რომ მთელი ორგანიზაცია თავიდანვე ორიენტირებული იყო სულიერ ღირებულებებზე, უპირველესი ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული საქართველოს ისტორიას, ქართულ ენასა და ლიტერატურას, იურისპრუდენციას, საერთაშორისო საკითხებს, ეკონომიკას, ეკოლოგიას და ა.შ. ცნობილ იდეოლოგიურ საგნებსა და დისციპლინებს თითქმის საერთოდ არ ექცეოდა ყურადღება. ჩვენ ხალხს, მით უმეტეს ახალგაზრდობას, ვერაფერს გააგონებდა ისტმატს, დიამატს, პარტიისტორიას, სოციალისტურ ფილოსოფიას, მანე, უინტერესო და გაუგებარ საგნებს.

როცა დრო კარდინალურად, ძირფესვიანად, ეპოქალურად შეიცვალა, „საზოგადოება ცოდნის“ უმთავრესად სწორედ იმან შეუწყო ხელი ყველა ფორმაციაში გაეგრძელებინა საქმიანობა, რომ სულიერი ღირებულებები ისევ დარჩა და ყველა დროის წარმომადგენლებისთვის საინტერესო იყო. ეროვნული სულიერების პროპაგანდის პროცესი ბუნებრივად გრძელდებოდა. ისიც შეიძლება ითქვას, რომ საქმიანობის წარმართვაში ქვეყნის ხელმძღვანელობა მუდმივად გვიჭერდა მხარს, რასაც მოწმობს უამრავი დოკუმენტი, უმაღლესი ხელმძღვანელობის წერილები „საზოგადოება ცოდნის“ შესახებ, რაიონებისა და ქალაქების ხელმძღვანელობისადმი მითითებები, „ცოდნის“ აუცილებელი დახმარებისა და საქმი-

ანობაში ქმედითი ხელშეწყობის შესახებ. სამწუხაროდ, ბოლო წლებში ასეთი მიმართულებით დახმარება შესუსტდა, თუმცა მოგვეცა თავისუფლება და ყოველგვარი საშუალება იმისა, რომ ვიფიქროთ, ვეძებოთ, ვიმოძიოთ და ისე ვაკეთოთ ჩვენი ქვეყნისათვის საჭირო, სასარგებლო საქმე, ვაკეთოთ უანგაროდ და რაც შეიძლება მაღალ დონეზე, პრობლემებს ახლებურად, გაანგარიშებულად, შემოქმედებითად მივუდგეთ.

ამ უკანასკნელ პერიოდში ლექციური საქმიანობა უამრავი ხელშეშლელი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების გამო მეტისმეტად შესუსტდა. უამრავი პარტიის ასე თუ ისე განსხვავებულმა, საკმაოდ არეულმა იდეოლოგიამ ხელი შეუწყო საზოგადოების დაქსაქსვას, გაუცხოებას, გათითოკაცებას, ხალხში არეულობის შეტანას. სწორედ ასეთი ვითარების გამო ადგილი ჰქონდა ფაქტებს, როცა ჩვენი ლექტორები დუშეთის, ქარელის თუ ახალქალაქის რაიონებში იძულებული გახადეს ლექციები ჩაეშალათ და უშედეგოდ დაბრუნებულიყვნენ. ამასთან არავის არ უნდა კარგ საჯარო ლექციაში თუნდ 40-50 ლარი მაინც გადაიხადოს, ყველა მიზეზებს ეძებს, საბაზრო ეკონომიკასა და ფინანსურ კრიზისს იშველიებს: ლექციურ-საინფორმაციო საქმიანობაში დიდი როლი ითამაშეს მრავალარხიანმა ტელევიზიებმა, კომპიუტერულმა ინტერნეტმა, ლექ-

ტორებისა და ლექციებისადმი პატივისცემა კი მოღუწდა, ამაზე მრავალ უმაღლესში ცუდ დონეზე სწავლებამაც მოახდინა ზემოქმედება. ჩვენი ლექტორებიც ძირითადად დაკავდნენ 250 თუ 300 აკრედიტებულ და არაკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში, ახლა უკვე ქვეყნის ქალაქებსა, რაიონებსა თუ სოფლებში მივლინებით წასვლას და ხალხის გათვითცნობიერებაში მონაწილეობას ყოფილი პატრიოტები აღარც კადრულობენ. „საზოგადოება ცოდნის“ გამგეობა თუნდ ფისკალური თვალსაზრისით ძალიან მძიმე დღეშია. ერთი ან ორი ლექტორის გაგზავნას რაიონში საგრძნობი თანხა სჭირდება, ბუნებრივია, გაიზარდა მგზავრობის, სასტუმროს, კვების ანუ ე.წ. დღიური ხარჯები. „ცოდნის“ გამგეობას კი ამდენი თანხები არც გააჩნდა და მით უმეტეს არც დღეს გააჩნია. ამიტომ ჩაიშალა კავშირები ქალაქებთან და სოფლებთან, რაც სამწუხაროდ მხოლოდ ეპიზოდურ ხასიათს ატარებს. დაიკარგა აგრერიგად საჭირო სისტემატურობის ფაქტორი. თუ აღრინდელი წლების პრაქტიკის თანახმად დახმარება არ იქნება მთავრობისაგან, „საზოგადოება ცოდნა“ მთელი ქვეყნის მასშტაბით საქმიანობას უბრალოდ ვერანაირად ვეღარ შეძლებს.

მიუხედავად ასეთი ცხოვრებისეული სირთულეებისა, „საზოგადოება ცოდნა“ მაინც ამუშავებს და ამზადებს ახალ, თანამედროვე სალექციო თემატიკას, ახდენს ლექტორებთან მოლა-

პარაკებებსა და ლექტორთა სიების შედგენას, აგრეთვე სიების შედგენას იმ ორგანიზაცია-დაწესებულებებისა, სადაც ჯერ კიდევ შემორჩა სურვილი ლექციებით აიმაღლონ თვითგანვითარების დონე და ხელი შეუწყონ მოზრდილთა უწყვეტი განათლების პროცესს, რაც მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში წარმატებით მიმდინარეობს.

როგორც ცნობილია, ლექციურ-საინფორმაციო საქმიანობასთან ერთად „საზოგადოება ცოდნის“ ძირითადი სამოქმედო სფეროები საგანმანათლებლო და საგამომცემლო საქმიანობაა. შეიძლება ითქვას, რომ ამ უბნებზე უფრო მეტ წარმატებას მივაღწიეთ. დაუღალავი შრომის შედეგად მივიღეთ ძალიან ძნელად მოსაპოვებელი სახელმწიფო აკრედიტაცია საქართველოს განათლების სამინისტროსაგან და სამი წლის წინ დაარსდა „საზოგადოება ცოდნის“ ჰუმანიტარულ-ფარმაცევტული ინსტიტუტი, შემდგომ კი სასწავლო უნივერსიტეტი. „ცოდნის“ შენობის გამოუყენებელი და უვარგისი ნაწილების გასხვისების საშუალებით მიღებული თანხებით მთლიანად გავარემონტეთ კუთვნილი სართული და სალექციო დარბაზი, შევიძინეთ ოთხი ლაბორატორიისათვის საჭირო მოწყობილობა, ასობით წიგნი და ჟურნალი ბიბლიოთეკისათვის, საჭირო ინვენტარი: კარადები, მაგიდები, სკამები, შევქმენით კომპიუტერული ცენტრი, ჩამოვყალიბეთ ფარმაცევტული სკოლა, სადაც ასწავლიან მთელი ქვეყნის მასშტაბით

საუკეთესო პროფესორ-მასწავლებლები. ფარმაციის სპეციალობის არჩევა იმან განაპირობა, რომ საქართველოში არ გვყოფნიდა კვალიფიციური კადრები – მშენებლები, ფარმაცევტები და სხვა დარგების წარმომადგენლები. ჩვენც შევეცადეთ გარკვეულწილად ხელი შეგვეწყო ამ ცხოვრებისეული პრობლემისათვის და მოგვეშზადებინა ახალგაზრდა ქართველი ფარმაცევტების მაღალკვალიფიციური კადრები, რაც დარწმუნებული ვართ, უკვე შევძელით და მომავალში კიდევ უფრო მეტ თვალსაჩინო წარმატებებსაც მივაღწევთ.

„საზოგადოება ცოდნის“ სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაცევტულ ფაკულტეტზე სტუდენტებს ასწავლიან ცნობილი, აღიარებული პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც ახალგაზრდებს ყოველდღიურად აზიარებენ სწავლისა და შრომის საუკეთესო თანამედროვე მიღწევებს.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი სასწავლო უნივერსიტეტის მეორე ფაკულტეტი, ანუ განათლების სამინისტროს აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ ფილიალად წოდებული უმაღლესი სასწავლებელი ფუნქციონირებს ახალქალაქში. ძირითადად სომხურენოვან რეგიონში მოქმედებს ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, სადაც ქართველი ახალგაზრდები სწავლობენ და პროფესორ როინ ყავრელიშვილის კოლეჯის ქართველ სტუდენტებთან ერთად ქართულ სიტყვას ახმიანებენ მაღალმთიან ახალქალაქში.

ძალიან მკაცრი ზამთრისა და სიშორის მიუხედავად, ქართველი ახალგაზრდები მაინც მიდიან ამ რთულ რეგიონში და ცდილობენ დაეუფლონ არჩეულ სპეციალობას. თუმცა, შემდეგ მობილობის კანონის გამოყენებით ბევრი უკან ბრუნდება, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში გადადის, მაგრამ საქმე მაინც კეთდება - ქართული სიტყვა მკვიდრება სომხურენოვან რეგიონში, რაც მაღალკვალიფიციური კადრების მუშაობის პირობებში კარგ პერსპექტივებს სახავს.

აქტიურად მოქმედებს „საზოგადოება ცოდნის“ მესამე ორგანული მიმართულებაც, როგორცაა სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობა. დრო იყო „საზოგადოება ცოდნაში“ მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების თუ ტექნიკის სფეროდან 120-ზე მეტი დასახელების ბროშურა გამოდიოდა, რაც ხელმოწერის საშუალებით ურიგდებოდათ ჩვენი ქვეყნის ქალაქებისა და რაიონების მცხოვრებლებს. „ცოდნის“ ხაზით გამოდიოდა წიგნებიც, ჟურნალებიც, ბიულეტენებიც: „მეცნიერება და ტექნიკა“, „გულახდილი დიალოგი“, „კითხვა, პასუხი, პრობლემა“. ეს გამოცემებიც ფართო მკითხველი საზოგადოების საკმაო პოპულარობით სარგებლობდნენ. შემდგომ განვლილი წლების მანძილზე შევიძინეთ აუცილებელი მანქანა-დანადგარები, კომპიუტერები და ჩამოვყალიბეთ საქართველოს საერთაშორისო „საზოგადოება ცოდნის“ გამომცემლობა, სტამბა, რისი

უფლებაც საზოგადოება ცოდნას დაარსებიდან გააჩნია.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ ეგიდით უკვე ჩვენი ლექტორების, პროფესორ-მასწავლებლების, სპეციალისტებისა თუ თანამშრომლების მრავალი საინტერესო წიგნი გამოდის.

ამასთან ერთად აღვადგინეთ ან უფრო ზუსტად არ დავკარგეთ ჩვენი ტრადიცია და 2006 წლიდან გამოსვლა დაიწყო „საზოგადოება ცოდნის“ ორგანომ სქელტანიანმა სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო ჟურნალმა „სიტყვამ“, რომლის მოცულობა 150-200 გვერდით არის განსაზღვრუ-

ლი და აქვეყნებს მეცნიერების, მწერლების, სხვადასხვა დარგის სპეციალისტების საყურადღებო ნაშრომებს, სამეცნიერო გამოკვლევებსა და წერილებს. უკვე გამოვიდა ჟურნალის 14 ნომერი, გამოდის მეთხუთმეტე ნომერი, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს სოლიდური, გაწონასწორებული გამოცემა უკვე სარგებლობს ჩვენი ჟურნალის მკითხველების მოწონებით.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“ დგას ახალი პრობლემების, თანამედროვე გამოწვევების წინაშე და მონდომებით ცდილობს მაღალ დონეზე წარმართოს საკუთარი საქმიანობა.


მართლმადიდებელი ეკლესია ათასწლეულების მიჯნაზე

კაცობრიობის ისტორიული განვითარება განსაკუთრებული შემოქმედებითი აქტიურობის ფაზაში შევიდა, ცივილიზაციის მრავლფეროვანი სულიერი და ტექნოლოგიური მემკვიდრეობა ფართოდ მოეფინა ადამიანის ყოფიერების ყველა სფეროს და მის სამსახურში დამკვიდრდა.

განვლილი ეპოქების მანძილზე ქრისტიანულმა სარწმუნოებამ, მართლმადიდებელმა ეკლესიამ კარდინალური, გარდამტეხი ცვლილებები შეიტანა კულტურის, მეცნიერების, სულიერი და სოციალური ცხოვრების ყველა დარგში.

XX საუკუნეში, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებამ არნახულ სიმაღლეს მიაღწია და საზოგადოების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

როგორც ცნობილია, თანამედროვე, შემეცნებითი აზროვნების სათავეები ანტიკური პერიოდის, ან უფრო შორეულ ეპოქებში უნდა ვეძიოთ. ბუნებაზე მსჯელობის პირველი ნიშნები ძველ მსოფლიოში წარმოიშვა. ქრისტეშობამდე რამდენიმე საუკუნით ადრე ძველ საბერძნეთში იქმნება პირველი ნატურალისტური წარმოდგენები, ყალიბდება ფიზიკური და მათემატიკური შეხედულებები. მაგრამ ამ



მოვლენებმა შემდგომი განვითარება ვერ შეძლო. ანტიკური შეგნებისათვის ბუნება იყო ღვთის გამოვლინება-გამომჟღავნება დასახლებული ღმერთებით, სულებით და დემონებით. მისი გამოკვლევა და ცდების ჩატარება, ადრეული ადამიანისათვის შეუძლებელი იყო.

მეცნიერების ფორმირებისათვის აუცილებელი იყო ძირეული მსოფლმხედველობრივი ცვლილებები, რომელსაც სწორედ ქრისტიანობამ დაუღო საფუძველი. ქრისტიანული მონოთეიზმი ანიჭებს ბუნებას და ადამიანს თავისუფლებას შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის. მთელი სამყაროს შეცნობა ხელმისაწვდომი გახდა კვლევითი მეთოდებისათვის. ქრისტიანული სწავლება სამყაროს შექმნის თაობაზე კარს უხსნის ექსპერიმენტ-

ებს და ფიზიკური მოვლენების მოდელირების ვარიაციებს, ქვეყნის საიდუმლოებათა დაუფლებას. კოსმოსის, როგორც მთლიანის, გააზრების წინაპირობას შეადგენს ერთადერთი ღმერთის-შემოქმედის აღიარება, რამაც განაპირობა სამყაროს ერთიანობის მსოფლიო კანონების ერთიანობის მიგნება, შეცნობა. ამ გარემოებამ მისი შესწავლის შესაძლებლობა მისცა "ღვთის ხატად" შექმნილ ადამიანს. [1]

ბუნების რაციონალური კვლევა დასაშვებია იმ პირობით, რომ ღმერთის მიერ ჩამოყალიბებული ქვეყანა თავისი სტრუქტურით და მოწყობით შემოქმედის გარკვეული მიზნობრივი განზრახვით შეიქმნა. რელიგიისათვის უცხოა გონების უფლებების უგულვებელყოფა. "ქრისტიანობა თავისი უბრალოებით და უჩვეულობით სუსტი და უძლური ჩანდა, მან ბრძოლაში გამოიწვია ძველი სამყარო. ქრისტიანობამ აიყვანა ადამიანი ისეთ სულიერ და ზნეობრივ სიმაღლეზე, რომლის მსგავსი ძველ რელიგიებს და ფილოსოფიას ვერც კი წარმოედგენიათ." [9.გვ.184] იესოს მაღლით გამოხსნილმა სულ სხვანაირად დაიწყო სამყაროს აღქმა.

ქრისტიანული მსოფლმხედველობა გახდა საფუძველი კოსმიური სივრცის ახალი ხედვის, სამყაროს ახალი მეცნიერული სურათის დამკვიდრებისათვის.

ჭეშმარიტად თანამედროვე ცოდნის ძირები ქრისტიანული დოგმატიკის წიაღში უნდა ვეძებოთ, რადგან არსის მთელი სფეროსათვის ერთი შემოქმე-

დის, ერთი ღმერთის ერთგულებით ჩამოყალიბდა ყოფიერების მთლიანობის, ერთიანობის ნათელი ცნობიერება.

ყოველივე ამან განაპირობა შემდგომში მიზეზობრიობის პრინციპის საყოველთაო იდეის დაარსება, რამაც განსაზღვრა მეცნიერული ცოდნის წყობა.

ქრისტიანობამ ფართოდ გაუღო კარი ინტელექტუალურ მექანიკურებით საგანძურს, რაც კაცობრიობამ თავისი არსებობის განმავლობაში შექმნა და დააგროვა.

ქრისტიანული რელიგიის სულიერი წინამძღვრების გავლენით საბუნებისმეტყველო აზროვნება ვითარდება თანდათანობით აღორძინების და რენესანსის შემდგომ ეპოქებში. ანტიკური აზროვნების დიადი მიღწევები და ევროპული ინტელექტუალური აზროვნების აღმავლობა სწორედ ქრისტიანული მოძღვრების ფუნდამენტზე იძლევა შემეცნებითი განვითარების შთაბეჭებით იმპულსს.

ახალი დროის სწავლულები ათეისტები არასდროს არ ყოფილან. ისინი იღწვოდენ ჭეშმარიტი რელიგიური შემართებით. ბუნების კვლევა მათთვის იყო ღვთაებრივი წინასწარგანზრახულობის ძიება. გარემომცველი მშვენიერების შესწავლით ადამიანის გონება მიემართება იმ სიდიადისკენ, რომ წონასწორობის, სილამაზის, ჰარმონიის, წესრიგის მიღმა არსებობს შემოქმედი.

როგორც პავლე მოციქული ბრძანებს, "მისი უხილავი, მარადიული ძალა და ღვთაება წუთისოფლის და-

საბამითგან ქმნილებათა ხილვით შეიცნობა" [რომ.1.20]

ადამიანი თავისი დანიშნულებით მოწოდებულია ქვეყნის მოვლა-პატრონობისათვის, დაცვისათვის. "აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დასახვლა ედემის ბაღში მის დასამუშავებლად და დასაცავად" [დაბ. 2.15]

მართლმადიდებლობა არ უარყოფს რაციონალური ძიების ფაქტორს, თუ დაკვირვებათა სისტემა მიმართულია ღვთაებრივი ქმნილებების აგებულების დასადგენად. რაციონალიზმი ადამიანის, როგორც "ღვთის ხატის" ფართო გონებრივი შესაძლებლობების უნარს მიუთითებს და ეყრდნობა ლოგიკის და მათემატიკური აზროვნების პოსტულატებს, მიაჩნია რომ შესწევს ძალა ღრმად ჩასწვდეს ბუნების კანონებს და მოპოვებული შედეგები მოახმაროს საზოგადოების კეთილდღეობას. ჩვენთვის ახლობელია ლოგიკის ენა, ტექნიკის ენა, რაციონალური პოსტულატები, ნიშნები, გაზომვების ანალიზის გონიერი მცდელობები.

გონებაგანსჯითი შემეცნება ეყრდნობა ლოგიკას, რომლის განზოგადება მატერიის პირველად სახეობებზე არ გამოგვადგება. ლოგიკა მაშინ შემოდის თუ არსებობს გარკვეული წესები, მიუღებელი მცნებების შესაკავშირებლად. ამისთვის დაუშვებს საწყისი მტკიცებულებების სისტემა-აქსიომა, ზოგადი დებულება, ვარაუდი, რაზედაც აიგება შემდგომი ანალიზი და დასკვნები. აქსიომებს მოიცავს მთელი მატერიალური სამყარო, მათი არსებობის შეცნობა, ცალკეულ მტკიცებულებებად

დანაწევრება წარმოუდგენელია. ბუნების მოვლენების შესწავლა ხდება აქსიომათა სპეციფიკური თავისებურებებით, რაც მეტად მრავალფეროვანია და ერთმანეთშია შეკავშირებული.

ამ კავშირების სიმრავლეში გარკვევა დასაშვებია მხოლოდ გამარტივების გზით, თუ გამოვყოფთ და განვიხილავთ უფრო მნიშვნელოვან თავისებურებებს. ე.ი. თავიდანვე ვერიდებით სრულყოფილი აღწერის მცდელობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეალურად ვიკვლევთ გამარტივებული სქემების-მოდელების აგებულებას და შესაბამისი შედეგები არ წარმოადგენს რეალური მატერიალური სინამდვილის აღწერილობას. [2]

"ჭეშმარიტება ყოფიერების სათავეა, ცხოვრების წყაროა, ქმნადობის მიზეზია" [9. გვ. 230]

ჭეშმარიტებისკენ უნდა ვიაროთ, გონებით, გრძნობით და აგრეთვე ცხოვრებით, ყოველდღიური საქმიანობით. [3]

მთელი კოსმოსი ეფუძნება ათ პარამეტერს – კონსტანტას, რომელიც ზუსტად არის განსაზღვრული: სინათლის სიჩქარე, გრავიტაციის მუდმივა, აბსოლუტური ნული, ელექტრონის მასა და ა.შ. საუბარია არითმეტიკულ სიდიდეებზე, და ყოველ მათგანს აქვს უცვლელი, აბსოლუტური მნიშვნელობა. ყოველი სიდიდე აღინიშნება ციფრით, მძიმეთი, ათწილადებით, ზოგჯერ ოცდაათი, ორმოცი ათწილადით. რათა უკეთ გავიგოთ ამ რიცხვების მნიშვნელობა, დავუბრუნდეთ საწყისს, სამყაროს ჩასახვის პირველ პერიოდს. ამ

დროიდან კოსმოსის "ამოსავალი მონაცემები" (ტემპერატურა, სიმკვრივე, გაფართოების მოდული, ერთგვაროვნების დონე) უკვე გამოთვლილია უკიდურესი სიზუსტით, თითქმის ორმოც ათწილადამდე. ამ ათწილადში ერთი ციფრიც რომ შეიცვალოს სამყარო და სიცოცხლე ვერასოდეს ვერ წარმოიშობოდა. ექსპერიმენტი მრავალგზის გაიმეორეს, შეჰყავდათ განსხვავებული მონაცემები და ითვლიდნენ უზუსტესი ხელსაწყოებით. საბოლოოდ დადგინდა: შესაძლო შემთხვევათა უდიდეს უმრავლესობაში მოსალოდნელი სამყაროები იქნებოდნენ არაორგანიზებული, ქაოტური, უფორმო და უნაყოფო.

ჩვენი კოსმოსი შექმნილია წარმოუდგენელი სიზუსტით. ყველაფერი მომზადებული, ორგანიზებულია დიდი გულმოდგინებით, რათა შესაძლო ყოფილიყო მაღალორგანიზებული მატერიის წარმოქმნა, შემდეგ სიცოცხლის და კვლავ ცნობიერების [4]

ყველაფერი რაც ჩვენს პლანეტაზე ხდება, კავშირშია კოსმოსის გიგანტურ სიდიადესთან. მისი ყოველი ნაწილაკი თითქოსდა თავის თავში ატარებს სამყაროს მთლიანობას. უნდა ვაღიაროთ, რომ არსებობს იდუმალი ურთიერთქმედება სამყაროს ყველა ატომს შორის, გარკვეული ძალის, ჩვენთვის ცნობილი ენერჯის გაცვლის გარეშე, რომელიც ქმნის სამყაროს ერთობლიობას.

ადამიანის თვალსაწიერი მუდმივად იცვლება, ვითარდება, ღრმავდება. ჰიპოთეზები და თეორიები ერთმანეთს ენაცვლება.

გალილეის და ნიუტონის ეპოქიდან ვიდრე XX საუკუნემდე სამი ასწლეულის მანძილზე, ადამიანი დარწმუნებული იყო, რომ მოძრაობის მთავარ ფორმას მექანიკური მოძრაობა წარმოადგენს, მექანიკის კანონები ხსნის ყოველგვარ ბუნების საიდუმლობას. მექანიკა მიაჩნდათ "მეცნიერებათა მეცნიერებად". ამ წარმოდგენებს ასაზრდოებდა კოპერნიკის, გალილეის და განსაკუთრებით ნიუტონის იდეები, რომელთა ციური სხეულების მოძრაობის თეორია და მექანიკის პრინციპების სისტემა ფუნდამენტურ პოსტულატებს ადასტურებს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ დღეს მკვლევართა უმრავლესობა გატაცებით სწავლობს და იცავს შემოქმედებით სფეროებს, რომლებიც არც ისე დიდი ხნის წინათ მიეკუთვნებოდა მეტაფიზიკურ, ტრანსცედენტულ კატეგორიებს.

გავიხსენოთ რა უპასუხა ცნობილმა ასტრონომმა ლაპლასმა ნაპოლეონს კითხვაზე, თუ რა როლი აქვს განკუთვნილი ღმერთს მის ციურ მექანიკაში: "თქვენო უდიდებულესობავ, მე არ მქონია ამ ჰიპოთეზის არავითარი საჭიროება".

ა. აინშტაინი წერს: "არსებობს კოსმიური იდუმალება, რომლის ინტუიციური შემეცნება წარმოადგენს მეცნიერების, ხელოვნების და რელიგიის წყაროს, რომელიც მიუწვდომელია ადამიანის გონების უშუალო წვდომისათვის, მხოლოდ მცირე ანარეკლის სახით ინტუიციურად აღიქმება დამკვირვებლის მიერ. სინამდვილის

წვდომის ერთ-ერთ გზას ინტუიცია წარმოადგენს. ინტუიციური შექმნება "ნახტომისებური ხასიათისაა". ამ მოვლენას უწოდებს "მიგნებას" "გამოცნობას" [5] ფილოსოფოსები ადასტურებენ, რომ არსებობს ინტუიციის სხვადასხვა ფორმები: ინტელექტუალური, ემოციური და მისტიკური, ინტელექტუალურ ინტუიციას წარმოადგენს ჭეშმარიტების უეცარი, მყისიერი ინტელექტუალური წვდომა, მიხვედრა, სინამდვილის აღმოჩენა, ლოგიკური წინამძღვრების გარეშე, ეს მოვლენა დიდ როლს ასრულებს მეცნიერების განვითარებაში. ემოციური ინტუიცია ძირითადად ფიგურირებს მხატვრულ შემოქმედებაში და ხელოვნებისა და პოეზიის მუხას ემსახურება. მისტიკური ინტუიცია უმთავრესად რელიგიური გამოცხადებაა. [6]

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში მომრავლდა კვლევები, რომლებშიც შეინიშნება გარკვეული მცდელობები ღმერთის, სულის, მარადიული ცხოვრების და ღვთაებრივი ღირებულებების რაციონალური არგუმენტებით შეფასებისათვის.

ჩვენთვის ცნობილი დრო-სივრცითი სამგანზომილებიანი სივრცე არ იძლევა სულიერი საიდუმლოებების რეალური განსაზღვრის თავისუფლებას, რადგან ისინი უხილავი, უსასრულო, მარადიულ განზომილებთა არეალში მკვიდრობენ. ამ სივრცეში ნაწილაკების გავრცელების მაქსიმალური სიჩქარე არის სინათლის სხივის სიჩქარე.

რელიგიური დებულებების დასაბუთებისათვის შემოღებულ იქნა კონ-

ცეფცია ოთხი და ხუთი განზომილების შესახებ, სადაც გავრცელების სიჩქარე მყისიერია და გაცილებით აღემატება სინათლის სიჩქარეს. ფიზიკოსებმა აღმოაჩინეს სინათლის ნაწილაკის-ფოტონის (სინათლის ტელეპორტაცია) ტრაექტორია უსასრულო სიჩქარით. ასეთი ექსპერიმენტი უკვე მრავალჯერ შესრულდა. ასე რომ სიგნალის გავრცელების სიჩქარე გაცილებით ჭარბობს სინათლის სიჩქარეს, აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ერთგვაროვანი გარემოს რომელიმე წერტილში ნებისმიერი ცვლილებები მყისიერად გადაეცემა ერთგვაროვანი გარემოს დანარჩენ წერტილებსაც. ამასთან აზრს კარგავს სივრცითი განფენილობის და ხანგრძლივობის ცნებები.

ცნობილია აგრეთვე სხვა მოსაზრებებიც. უნდა ვივარაუდოთ ოთხი და ხუთი განზომილებების არეალში წარსული, აწმყო და მომავალი თითქოსდა ერთდროულად არსებობენ და ყოველი სხეული წარმოგვიდგება განფენილი სივრცული სტრუქტურის სახით დაარსების მომენტიდან გაქრობამდე, როგორც მყისიერი კვეთი, რომელსაც ჩვენს სამგანზომილებიან სამყაროში ვაკვირდებით.

მაღალ განზომილებათა სამყაროს თვისებები განსხვავდება სამგანზომილებიანი სამყაროს შესაძლებლობებისაგან. იქ დასაშვებია სივრცეში მყისიერი გადაადგილება ნებისმიერ მანძილზე. ამ ფართო შესაძლებლობების გამო ველი, რომელიც წარმოადგენს უწვრილეს მატერიას, მთელ სამ-

ყაროს გამსჭვალავს პირობითი ეთერული აირით და გვევლინება დამაკავშირებელ ხიდად ჩვენს სამგანზომილებიან და ოთხ ან ხუთ განზომილებიან სამყაროებს შორის. [7]

ადამიანის მისწრაფება ჩასწვდეს მსოფლნაგებობის სიღიადეს, განსაზღვროს ბუნების და ციური სხეულების ზომები, ატომის აგებულება მატერია, მოძრაობა, ენერგია, შეისწავლოს სულის სუბსტანციური არსი, მოითხოვს განსაკუთრებულ გულმოდგინებას, სიბეჯითეს, თავდადებას და ზოგიერთ შემთხვევაში თავგანწირვასაც, არ არის მხოლოდ გონებრივი, ბიოლოგიური პროცესების ძალმოსილება, არამედ აღემატება ადამიანურ საწყისებს და უახლოვდება სულიერ ფენომენს. რაც უფრო დიდ აღმოჩენებს პოულობს ადამიანი ფიზიკურ სამყაროში, მით უფრო მივიღვართ იმ დასკვნამდე, რომელიც შეიძლება რწმენით გადაწყვეს.

სული ცდისეული საშუალებით არ შეისწავლება, ისე როგორც მატერიალური საგნები და ფიზიკური მოვლენები. ინსტრუმენტებით ვერ დააქუცმაცებ, მენზურაში ვერ ჩაუშვებ, ხელით ვერ შეეხები და სასწორზე ვერ აწონი. ჩვენი გონება ვერ წვდება "არასივრცობრივ ობიექტებს."

ფრანგი მეცნიერი რეიმონ დიუბუა ორიგინალურ მოსაზრებას გამოთქვამს მატერიის შესახებ: "მატერიას არ ვიცნობთ, მის შესახებ ვმსჯელობთ სხვადასხვა სახეობის ენერგიის გამოვლინების ნიშნებით, ფერის მიხედვით (სინათლის ენერგია), სითბოს გამოყ-

ოფით (სითბური ენერგია), წონით (მიზიდულობის ენერგია) შესაბამისი კონსისტენციებით (ნაწილაკთა შეჭიდულობის, გადაბჟულობის ძალა) და სხვა.

მიზეზის გარეშე არ არსებობს შედეგი. ჩვენ ადამიანები, მთელი გარემომცველი სამყარო, როგორც უმშვენიერესი შემოქმედება, წარმოადგენს შედეგს, რომელსაც აქვს მიზეზი. ამგვარად უახლოვდებით უსაწყისო მიზეზს, ე.ი ღმერთს.

წარსული ათასწლეულების ძირითადი სიმძიმე ეკლესიას და ჭეშმარიტი აზროვნებით გამორჩეულ შვილებს დააწვა, რადგანაც ისინი განსაზღვრავენ ერის სულიერ და გონებრივ პოტენციალს.

რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთმიმართების გასარკვევად აუცილებელია ჩავუღრმავდეთ მსოფლმხედველობრივ საკითხებს.

მსოფლმხედველობა არის შეხედულებათა სისტემა სამყაროს არსის, მისი ცვალებადობისა და განვითარების უზოგადესი კანონზომიერების შესახებ, განსაზღვრავს საზოგადოებისა და ადამიანის ადგილს სამყაროში.

არსებობს ორმხრივი მსოფლმხედველობა: რელიგიური და მეცნიერულ-ფილოსოფიური. რელიგიურ მსოფლმხედველობას სწავლობს ღვთისმეტყველება, მეცნიერების ერთობლიობა ღმერთზე, მის განგებულებაზე, ადამიანის ურთიერთობაზე ღმერთთან და რელიგიურ ჭეშმარიტებებზე.

მეცნიერული მსოფლმხედველობა ასახავს მატერიალურ სინამდვილეს, რომელიც განმტკიცებულია და დადას-

ტურებულია საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა მონაცემებით, საზოგადოებრივი პრაქტიკით.

მსოფლმხედველობრივ შეხედულებათა სათავეები უძველესი დროიდან მომდინარეობს, მაგრამ საზოგადოების განვითარების ადრინდელ ეტაპებზე შეუძლებელი იყო ბუნების კანონზომიერებათა სწორი ახსნა, მრავალფეროვანი სინამდვილის საერთო საფუძვლის გააზრება.

მსოფლმხედველობა გაცილებით უფრო ძველია, ვიდრე ფილოსოფია, მეცნიერება და თუნდაც რელიგია, როგორც რწმენა. მსოფლმხედველობა ნაწილიდან მთელზე დასკვნას წარმოადგენს. [8]

მართლმადიდებლური სწავლება არასდროს არ ძველდება და არ იცვლება, ეკლესიაში დაცული ჭეშმარიტებები არ შეიძლება ჩავანაცვლოთ ახალი თანამედროვე შეხედულებებით. ღვთაებრივი გამოცხადება გვაზიარებს უცილობელ, სულიერ, მარადიულ ფასეულობებს.

"წმინდა წერილი" პასუხობს კითხვაზე "ვინ შექმნა სამყარო?" ჩვენთვის არ არის პრინციპული როგორ წარმოიშვა სხვადასხვა სახეობები, როგორ შეიქმნა ადამიანი, რადგან გვწამს, რომ ყოველივეს დამფუძნებელი და შემოქმედი არის ღმერთი. მართლმადიდებლობა არ შემოიფარგლება ყოფიერების განზომილებებით.

ადამიანი შექმნილია მარადიული ცხოვრებისათვის და ღმერთთან ურთიერთობისათვის, რელიგია გაცილებით უფრო ღიდ ნუგეშს გვთავაზობს, ვიდრე

ღმერთთან ურთიერთობის ორიათასწლოვან გამოცდილებას, ამზადებს ადამიანს ღვთის მსგავსებისათვის.

ეკლესიის მთავარი მიზანი არის ადამიანის გადარჩენა. ამ პროცესში ჩართულია თვით ადამიანი, როგორც საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობებით, ასევე ზნეობით, სრულყოფილი საწყისებით.

ხალასი შემოქმედება არის რელიგიური აქტი, თანამოღვაწეობა ღმერთთან. ჭეშმარიტი შემეცნებითი ძიება სულ უფრო და უფრო ამჟღავნებს ღმერთს, თითქოს ის ღვთის ყოველი გრანდიოზული აღმოჩენის შედეგად კარის წინ.

ბიბლია არ მოიცავს ინფორმაციას სამყაროს მეცნიერული სურათის შესახებ, მიგვანიშნებს როგორ ავირჩიოთ მარადიული ცხოვრების გზა, რომლის სათავეში თვით უფალი იესო ქრისტე ღვთისა.

"დაიწერა, რათა ირწმუნოთ, რომ იესო არის ქრისტე, ძე ღვთისა, რათა მორწმუნეებს გქონდეთ სიცოცხლე მისი სახელით. (ინ. 20.37)

იოანე ღვთისმეტყველი მოგვიწოდებს ღრმად შევისწავლოთ და დავეუფლოთ სახარებას "იკვლიეთ წერილები" ისინი ჩემს შესახებ მოწმობენ. (ინ.5.39)

ცივილიზაციის განვითარების გზაზე ადგილი ჰქონდა გარკვეულ კოლიზიებს რწმენასა და ცოდნას შორის. სამართლიანობა მეცნიერების ისტორიამ დაადასტურა. როდესაც მეცნიერე-

ბა პირველ ნაბიჯებს დგამდა და გარკვეულ წარმატებებს მიაღწია ჭეშმარიტებაზე მონობოლია გამოაცხადა. ამჟამად სიმწიფის ასაკს მიღწეული რეალობაში უფრო მეტად გაერკვა და დაიწყო თანდათანობით, მტკიცედ და განუხრელად დაბრუნება იმ მსოფლმხედველობასთან, რომელიც ოდესღაც კაცობრიობას მიეცა გამოცხადების გზით.

დადგა ღვთისმეტყველების და ბუნებისმეტყველების, რწმენის და ცოდნის შეხვედრის ჟამი.

ქრისტიანული ღირებულებებისგან დაშორებით ცოდნა კარგავს ზნეობრივ, ჰუმანურ ორიენტირებს.

"ღვთაებრივი ენერგიის გარეშე სამყაროში არაფერი არ არსებობს. სიცოცხლე, მიზიდულობის და სხვა კანონები, რომლებიც ბუნებაში მოქმედებენ გამომსახველნი არიან უმაღლესი ჰარმონიისა, შედეგი ღვთაებრივი გონებისა და ძალისა" [9 გვ.132]

ინდივიდისა და აბსოლუტის უზენაესი არსის, ადამიანის და ღმერთის მარადიულისა და წარმავალის, მატერიალურისა და სულიერის ბოროტისა და კეთილის მარადიული პრობლემები კვლავ დგას ჩვენი შემეცნებითი აზროვნების წინაშე.

"ეკლესიის ცხოვრებაში, როგორც საიდუმლოში, არის ორი მხარე, გარეგნული მხარე, რომელიც მოიცავს ადამიანის ამქვეყნიურ ცხოვრებას, დაფუძნებულს ქრისტიანულ რწმენასა და სიყვარულზე, და მეორე მხარე-მისტიური, რომელიც იწყება აქ, დედამი-

წაზე და ზეციური სასუფეველის მარადიულობაში გრძელდება" [9 გვ.35].

ათასწლეულების გზაჯვარედინზე თუ თვალს გადავაგვლებთ კაცობრიობის განვლილ გზას, უპირატესად მოჩანს მძიმე დრამატული ეპიზოდები, ფათომასშტაბიანი სისხლიანი დაპირისპირებანი, შავბნელი ადამიანური ურთიერთობები და ეს ყველაფერი დაუსრულებლად გაგრძელდებოდა, ვიდრე დადგა ისტორიული გარდატეხის ჟამი, შეივსო ადამის მოღმობის და სასოების ბარძიმი, აღსრულდა უზენაესი ღვთაებრივი სასწაული-განკაცება უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი. უფალმა ადამიანი სრულყოფის ახალ საფერხურზე აიყვანა, ზეციური მადლით განაბრწყინვა, ღვთაებრივ სიყვარულს აზიარა.

სამყაროს მოეფინა სხივცისკროვნება ქრისტესი, ყოველთა განმანათლებელი. ნათელი ქრისტესი სულიერი ძალაა, საფუძველი ქვეყნიერებისა. ყველაფრის საწყისში, სამყაროს სათავეში, სიყვარულის უსასრულო აქტი არის განთავსებული. ერთადერთი საფუძველი, რომელმაც უზენაესი არსება ქმნა აქტის აღსასრულებლად მოამზადა, რომელმაც ჩვენ შეგვქმნა-უსაზღვრო სიყვარულია.

"მართლმადიდებლობა არის რელიგია სრულყოფილი სიყვარულისა, მარადიული სიხარულისა და უზვი ღვთაებრივი ენერგიისა". "ქრისტიანობა თავისი არსით თეორია არ არის, არამედ მარადიული სიცოცხლე, დიდი

ისტორიული გამოცდილება და კავშირი "ზეცასთან" [9 გვ.24]

"აღორძინდებოდეთ მადლითა და მეცნიერებითა უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესითა" (2 პეტრე 3.18) გვასწავლის პეტრე მოციქული.

"ღმერთმა გაგვიხსნა სრულყოფის კარი და თუ მისი ნათელი განბრწყინებული, რწმენითა და სიყვარულით აღვსილნი წარვმართავთ კაცობრიობის პროგრესს, ჩვენს მომავალს საფრთხე არ ემუქრება". [9 გვ.237]

მართლმადიდებლობამ ურთულესი ქართველები გამოიარა და უმძიმეს გამოცდებს გაუძლო, არაერთი ერესი და ცრუსწავლებანი დაძლია.

ზებუნებრივი, ზექვეყნიური სწავლება ღმერთის შესახებ, ღვთაებრივი განგებულება სამყაროს მიმართ, ღმერთის ურთიერთობა ადამიანთან არის გონებაჭკვრეტი, ზეშთაგონებითი მოძღვრება, ღმერთისგან არის სრულად განცხადებული და წარმოადგენს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას.

ეკლესია პირუთვნელად იცავს და ინახავს იესო ქრისტეს და მოციქულთა სულიერ საგანძურს და განავრცობს მთელ სამყაროში. სისტემური გადმოცემა, მეცნიერული დასაბუთება ღვთისმეტყველების საგანს წარმოადგენს.

სარწმუნოების საფუძვლები სრულყოფილად აკმაყოფილებს ადამიანის გონების ყველა სფეროს, დამაჯერებლად პასუხობს აქტუალურ საკითხებს და პოლემიკურ მოთხოვნებს, არ საჭიროებს შესწორებებს, დამატებებს და შთამა-

გონებელ გავლენას ახდენს პიროვნების რელიგიურ-ზნეობრივ ცხოვრებაზე.

ღმერთი არის არა მხოლოდ ყოფიერების და ცნობიერების წყარო, არამედ თვით ყოფიერება "მე ვარ რომელიც ვარ" (გამ.3.13) და ცნობიერება. ესე იგი თვით ჭეშმარიტება. დრო და სივრცე ჩვენთვის ღვთისაგან მომადლებულ ძვირფას საგანძურს წარმოადგენს.

ქრისტიანული ღვთისმეტყველებისათვის დამახასიათებელია აზროვნების თავისუფლების, მეცნიერული დისპუტების ფართო არეალი. ქრისტიანული ეკლესიის ცხოვრება განმტკიცებულია მსოფლიო კრებების დადგენილებებით და წმ. მამათა ღვთივგანბრძობილი თხზულებებით.

ქრისტეს მოძღვრება განსაკუთრებული გულმოდგინებით იცავს ქრისტიანული დოგმატიკის საფუძვლებს. მართლმადიდებელი ეკლესია წინ აღუდგა დასავლეთში გავრცელებულ სწავლებას-დოგმატების "განვითარების" შესახებ.

რამდენად დასაშვებია "მრწამსის" გადმოცემა ახალი სიმბოლოებით, არსებულის უარყოფის გარეშე? შესაძლებელია თუ არა დოგმატის გენეტიკური შექმნა იმისათვის, რომ ლოგიკური აღქმის ფორმა შეიძინოს?

წმ. ბასილი დიდი წერს: "დი-ალექტიკა-დოგმატებისთვის ზღუდეს წარმოადგენს". ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში არ შეინიშნება დოგმატების განვითარების არავითარი მცდელობა, გვხვდება მხოლოდ მართლმადიდებლურ დოგმატური ტერმი-

ნოლოგიის ანალიტიკური სრულყოფის შემთხვევები, რაც ავსებს ფუნდამენტურ სწავლებას.

დოკმატი თავისი არსით არის თვით მაცხოვრის იესო ქრისტეს და მოციქულთა სწავლება და განეკუთვნება ჭეშმარიტი რწმენის სამყაროს. წმ. მამათა კომენტარები ლოგიკური ფორმულებით შემოსავს და ადამიანის გონებისათვის ხელმისაწვდომს ხდის.

ცნობილი მეცნიერი ა. აინშტაინი აღნიშნავს: "არ შეიძლება სახარების წაკითხვისას არ გრძნობდე იესოს თანადასწრებას. მისი პიროვნება პულსირებს ყოველ სიტყვაში. ნაზარეველის გასხვიოსნებული სახე ჩემში გასაოცარ, ამაღლევებელ განცდებს იწვევს.. ნამდვილად დედამიწაზე არის ერთადერთი ადგილი, სადაც ვერ ვხედავთ ჩრდილს და ეს პიროვნება არის იესო ქრისტე. მასში გამოგვეცხადა ჩვენ ღმერთი, ნათელი და აღმატებული სახიერება, მე მას თაყვანს ვცემ".

"ღღეს, ისევე როგორც წარსულში ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია ცივილიზაციის განვითარების გზაზე ასრულებს უდიდეს ისტორიულ მისიას, აღსავსე მოჭარბებული ღვთაებრივი ენერგიით, განმტკიცებული სულიწმიდის შთაგონებით,

გასხვიოსნებული მაღლმოსილი ხილული და უხილავი ძალებით გადაძწყვეტ მონაწილეობას ღებულობს კაცობრიობის აღმშენებლობით ცხოვრებაში" [9.გვ.35]

1. . 200 გვ.2.
2. . 2008 გვ.231
3. ვ. ტროსტნიკოვი "მეცნიერული "სამყაროს მეცნიერული სურათი "მწყემსი კეთილი" თარგმ. ი. ლომოური გვ.61
4. ღმერთი ვინ არის იგი? "რელიგია" 1998 №7-8
5. ს. ავალიანი "აინშტაინი" თბ. 1982
6. ს. ავალიანი "მეცნიერული ონტოლოგია თბ. 1996
7. ი. ფრანგიშვილი "მეცნიერების და რელიგიის სისტემური ურთიერთობანი" კრ. "მეცნიერება და რელიგია" თბ. 2005 გვ.48
8. გ.თევზაძე ანტიკური ფილოსოფია თბ. 1995
9. საქ. პატრიარქის ეპისტოლეები, ქადაგებები. თბ. 1997 გვ. 46

არქიმანდრიტი ელისე წერეთელი

სათანადო სააფთიაქო პრაქტიკის პრინციპების დანერგვა საქართველოში

არსებული ვითარების ანალიზი

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რიგ დოკუმენტებში ხაზგასმულია ფარმაცევტისა და ფარმაცევტული სერვისის მნიშვნელობა და პოტენციური მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის.

გასული წლების განმავლობაში საქართველოში ფარმაცევტული სექტორის რეფორმა ინტენსიურად მიმდინარეობდა და ძირითადად ფოკუსირდებოდა გადაუდებელი პრობლემების გადაწყვეტაზე, წამლების წარმოებისა და მიწოდების სფეროების პრივატიზაციის ჩათვლით. დღეისათვის არსებული პრობლემები და მიმდინარეობები უკვე ორიენტირებული პრაქტიკა აუცილებლად მოითხოვს მიმართულების ცვლილებას, **ფარმაცევტული სერვისის პაციენტზე ორიენტირება** ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა. საქართველოში მიმდინარე რეფორმა განვითარების ფაზაშია და საჭიროა შემუშავდეს უკეთესი ფარმაცევტული პრაქტიკის სამომავლო კონცეპტია.

შემდგომი განვითარების აშკარა ბარიერი ნაწილობრივ წარსულში არსებული ეკონომიკური პრობლემებითაა განპირობებული, ხოლო ნაწილობრივ – ფარმაცევტული საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობასა და რეგულაციებში არსებული

ხარვეზებით. მართალია, ქვეყანამ მიიღო კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“, მაგრამ ადმინისტრაციული ორგანოები, პოლიტიკოსები, ფარმაცევტული კომპანიები და მედიცინის მუშაკები ხშირად აწყდებიან პრობლემებს, რომლებიც ფარმაცევტული საკითხებთან დაკავშირებული ნორმატიული დოკუმენტებისა და პროფესიული სტანდარტების ნაკლებობითაა გამოწვეული.

საქართველოში სათანადო სააფთიაქო პრაქტიკის სტანდარტების შემუშავება და დანერგვა პროფესიული პრაქტიკის გაუმჯობესების ინსტრუმენტია. გარდა ამისა, მას შეუძლია გასული წლების მონაპოვარზე დაფუძნება და უკვე არსებული რეგულაციების დანერგვის ხელშეწყობა, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ფარმაცევტული სექტორის განვითარების თანმიმდევრულობა და მდგრადობა.

ევროკავშირის ფარმაცევტული ჯგუფი (PGEU), ფარმაცევტთა საერთაშორისო ფედერაცია (FIP) და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) მოუწოდებენ მთავრობებსა და ფარმაცევტულ ასოციაციებს ერთობლივად შეიმუშავონ (ან გადასინჯონ) სააფთიაქო პრაქტიკის ეროვნული სტანდარტები სათანადო სააფთიაქო პრაქტიკის თანამედროვე რეკომენდაციათა შესაბამისად.

მიზანი

საქართველოში ფარმაცევტული სერვისის და მედიკამენტური მკურნალობის ხარისხის გაუმჯობესება სათანადო სააფთიაქო პრაქტიკის პრინციპების დანერგვის გზით

ამოცანები

- სიტუაციის ანალიზი და პრიორიტეტების შერჩევა
- სტანდარტების შემუშავება/გადასინჯვა
- სათანადო სააფთიაქო პრაქტიკის ეროვნული პოლიტიკის შემუშავება
- ფარმაცევტთა ტრენინგი
- მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლება

განხორციელების გზები

პროექტი განხორციელდება ევრო-ფარმ ფორუმთან მჭიდრო თანამშრომლობით, რომლის ექსპერტებიც უზრუნველყოფენ ტექნიკურ დახმარებას ყველა საკითხში დაწესებული ადგილობრივი საშუალო ჯგუფის ფორმირებიდან დამთავრებული პროექტის მენეჯმენტით.

საერთაშორისო ექსპერტი ადგილობრივ საშუალო ჯგუფთან ერთად ჩაატარებს სააფთიაქო პრაქტიკასთან დაკავშირებულ სიტუაციურ ანალიზს, რაც მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ჯანდაცვა – არსებული ვითარება;
- კანონმდებლობა და რეგულაციები – არსებული ვითარება;
- აფთიაქების ეკონომიკური სტრუქტურა და ორგანიზაცია;

➤ სააფთიაქო პრაქტიკა – პროფესიული ხარისხის დონე;

➤ დამოკიდებულება სააფთიაქო პრაქტიკის მიმართ.

აღნიშნული ანალიზი თავის მხრივ საფუძვლად დაედება სათანადო სააფთიაქო პრაქტიკის სტანდარტების ეროვნული მოდელის შემუშავებას.

სათანადო სააფთიაქო პრაქტიკა მოიცავს ოთხ ძირითად ელემენტს:

1. ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებათა პრევენცია – აქტივობები, რომლებიც უკავშირდება ჯანმრთელობის ხელშეწყობას, დაავადების თავიდან აცილებას და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას;
2. მედიკამენტებისა და სხვა სამედიცინო დანიშნულების საგნების მიწოდება და გამოყენება – აქტივობები, რომლებიც უკავშირდება მედიკამენტების, მათი მოხმარებისთვის საჭირო საგნების ან მკურნალობასთან სხვაგვარად დაკავშირებული პროდუქტების მიწოდებასა და გამოყენებას. ეს აქტივობები შეიძლება განხორციელდეს როგორც აფთიაქში, ასევე სამედიცინო დაწესებულებაში ან პაციენტის ბინაზე;
3. თვითმკურნალობა – აქტივობები, როგორცაა რჩევა-დარიგება, მედიკამენტის მიწოდება ან სხვა ტიპის მკურნალობა შესაძლო რისკის გარეშე მიმდინარე სიმ-

პტომებისა და მსუბუქი დაავადებების დროს;

4. მედიკამენტების მიღება, აღრიცხვა, შენახვა და გაცემა – აქტივობები, რომლებიც გავლენას ახდენენ მედიკამენტების ბრუნვაზე.

მოსალოდნელი შედეგები

სათანადო სააფთიაქო პრაქტიკის დანერგვა ხელს შეუწყობს:

- მედიკამენტური მკურნალობის შედეგების გაუმჯობესებას და მომხმარებელთა კმაყოფილების გაზრდას;
- პროდუქტსა და მიმწოდებელზე არსებული ორიენტაციის ნაცვლად პაციენტზე კონცენტრირებული პრაქტიკის დანერგვას;
- მედიკამენტის სწორი გამოყენების შესახებ პაციენტის ინფორმირებულობის მნიშვნელობის გაზრდას;
- მედიკამენტების რაციონალურ დანიშვნასა და გამოყენებას;
- მკურნალობის ხარჯთეფექტურობას;
- პროფესიული პრაქტიკის ხარისხის უზრუნველყოფას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Menabde N., Stobbelaar F.: The patient in focus. A strate-

gy paper//WHO/EURO (WHO/DAP/98.8). — 1998.

2. .Nielsen H.P. Kvalitetssikring af l gemidleri: L gemidler og gemiddelanvendelse. Ed. by L. Launs and E. W. Sorensen. Copenhagen, Akademisk Forlag, 1997.
3. Standards for quality of pharmacy services. International Pharmaceutical Federation FIP, 1993.
4. Good pharmacy practice (GPP) in community and hospital pharmacy settings. Geneva, WHO, 1996 (WHO/PHARM/DAP/96.1).
5. Role of the pharmacist in support of the WHO revised drug strategy//WHO. — 1994 (WHO47.12).
6. Good pharmacy practice in Europe. Pharmaceutical Group of the European Union PGEU, Community pharmacists, 1998.
7. Hepler .D., Strand L.: Opportunities and responsibilities in pharmaceutical care//Amer. J. Hosp. Pharm. — 1990.— 47.—P., 533–549.

ტატა ჭანტურია
სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

პირველი ნაბიჯი ფარმაცევტობაში



საქართველოში სულ უფრო იზრდება ფარმაცევტული სპეციალობების ავტორიტეტი. ამას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, უპირველეს ყოვლისა – საქართველოში ფარმაცევტული ინფრასტრუქტურის განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნა. პარალელურად, საზოგადოების მიერ ხდება ფარმაცევტის, როგორც ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლის როლის გააზრება. ფარმაცევტი, ჯანდაცვის სისტემის, ერთ-ერთი უპირველესი ელემენტია.

წარმატებული ფარმაცევტული საქმიანობისათვის კი აუცილებელია მაღალი ფარმაცევტული საკვალიფიკაციო დონის კადრის მომზადება და ამ საქმიანობას ემსახურება საქართველოს ილია

ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "საზოგადოება ცოდნის" სასწავლო უნივერსიტეტი. რის დამადასტურებელი ფაქტია ის, რომ ამავე უნივერსიტეტის ფარმაცევტული ფაკულტეტის სტუდენტებმა: ნოდარ აკობიამ, ბადრი ზურაშვილმა, ვალერიან გადილიამ, ეკატერინე ფერცულიანმა, ქეთევან მარიამიძემ, ხათუნა შონიამ სურვილი გამოხატეს, საკუთარი პროფესიული ცოდნა გამოეცადათ და ემუშავათ ისეთ დიდ ფარმაცევტულ კომპანიაში, როგორცაა - პე-ეს-პე.

პე-ეს-პე 1995 წლიდან წარმატებით ახორციელებს მედიკამენტების დისტრიბუციას საქართველოს ბაზარზე. მედიკამენტების იმპორტიორ სხვა კომპანიებს შორის პე-ეს-პეს პირველი ადგილი უჭირავს. ის უშუალოდ მწარმოებელი 1000-ზე მეტი ფარმაცევტული ქარხნისგან აწარმოებს 3000-მდე დასახელების მედიკამენტების, სამკურნალო კოსმეტიკის, ჰიგიენური საშუალებების იმპორტს და მათ დისტრიბუციას მთელი საქართველოს მასშტაბით. პე-ეს-პეს აქვს საკუთარი სააფთიაქო ქსელი, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს გარანტირებული ხარისხის მედიკამენტებს, კვალიფიციური ფარმაცევტების მომსახურებას.

პირველი მაგიდის ფარმაცევტები, ანუ ფარმაცევტები რომლებიც აფთიაქში მუშაობენ და უშუალო კონტაქტში არიან მომხმარებელთან - ფარმაცევტული



ნათუნა შონია



ნოდარ აკობია



ქეთევან მარიამიძე



ვალერიან გადიია



ეკატერინე ვერცულიანი



ბადრი ზურაშვილი

ინფრასტრუქტურის ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული რგოლია. აფთიაქის ფარმაცევტებს გარდა ფარმაცევტული მომსახურებისა და ფარმაცევტული კონსულტაციისა, უწევთ ეკონომიკური დაგეგმარების, პიარ და სარეკლამო აქციების, მარაგთა დაგეგმვის, მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან ურთიერთობათა მრავალი საკითხის გადაჭრა.

სტუდენტებმა წარმატებით გაიარეს პე-ეს-პეს პირველი მაგიდის ფარმაცევტის ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კონკურსის რამდენიმე ეტაპი და დაიმსახურეს კომპანიის სტუდენტ-სტაჟიორის სტატუსი, წარმატება ვუსურვოთ მათ შემდგომ კარიერულ წინსვლაშიც.

ტატა ჭანტურია
პე-ეს-პეს ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

„საზოგადოება ცოდნაში“ სისტემატურად მიმდინარეობს სამეცნიერო მუშაობა, რაშიც აქტიურად არიან ჩაბმული მოწინავე სტუდენტები. მიმდინარე წელს ჩატარდა რამდენიმე სამეცნიერო კონფერენცია, რამაც პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტ-ახალგაზრდობას შორის დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს საქმიანობა ხელს შეუწყობს მათ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბებას. ჟურნალ „სიტყვის“ მე-15 ნომერში ვაქვეყნებთ სამეცნიერო კონფერენციების მონაწილეთა მასალებს.

მიმართულება: ფარმაცევტული საქმის ორგანიზაცია და ეკონომიკა
ხელმძღვანელი: PSP ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ზ. ჭანტურია

ინტერნეტ ავთიაქი

რა არის ინტერნეტ ავთიაქი ან როგორც მას უწოდებენ ონლაინ-ავთიაქი?

ეს განსაკუთრებულად მოსახერხებელი სერვისია საჭირო ფარმაცევტული საქონლის მოსაძებნად და შესაკვეთად.



ავთიაქი ბინაზე აი მომსახურების არსი. ონლაინ ავთიაქი განსაკუთრებით გამოადგებათ საქმიან ადამიანებს და იმათ ვისთვისაც კომფორტს და დროის ფაქტორს დიდი მნიშვნელობა აქვს.

ელექტრონული ავთიაქი მოსახლეობას სთავაზობს შემდეგ მომსახურებას და ინფორმაციას:

1. პრეპარატის დასახელების ძებნა ალფავიტიის მიხედვით

2. შეკვეთა და მოწოდება

3. მედტექნიკის აღწერა

4. პრეპარატის ანოტაცია

5. სტატიები პაციენტებისათვის

6. სამედიცინო სიახლეები

7. ინფორმაცია ფასდაკლებების შესახებ

ონლაინ ავთიაქის ასორტიმენტი

1. სამკურნალო პრეპარატები

2. სამკურნალო კოსმეტიკა

3. წონაში დასაკლები საშუალებები

4. ვიტამინები
5. სამედიცინო ტექნიკა
6. ბიოლოგიურად აქტიური დანამატები
7. ორთოპედიული საშუალებები
8. ჰიგიენის საშუალებები
9. ბავშვებისათვის განკუთვნილი ასორტიმენტი.
10. ინტერნეტ – ავთიაქს უნდა ჰქონდეს სამედიცინო საქონლის გასაყიდად საჭირო ლიცენზია, შეიძლება მუშაობდეს მხოლოდ სააფთიაქო დაწესებულებების ან ორგანიზაციის ბაზაზე; და უნდა იყიდებოდეს მხოლოდ ურეცეპტოდ გასაცემი პრეპარატები.

პროდუქციის ინტერნეტში შეკვეთის ინსტრუქცია

1. ამოარჩიეთ რუბრიკა, რომელიც შეეხება თქვენთვის საჭირო ფარმაცევტულ პროდუქციას.
2. დაამატეთ არჩეული პროდუქტი კალათს.
3. შემდეგ ონლაინ ავთიაქი გთავაზობთ შეკვეთის გაფორმებას, ამისათვის ყურადღებით შეავსეთ ფორმა, მიუთითეთ მისამართი და სასრულველი დრო.
4. შეკვეთა ხვდება კვალიფიციურ ფარმაცევტულ-ოპერატორთან.
5. ოპერატორი დაგიკავშირდებათ თქვენ და დააზუსტებს მისამართს გადაამოწმებს თქვენს მიერ შეკვეთილი საქონლის დასახელებას და რაოდენობას.
6. შეკვეთა ხვდება ავთიაქში სადაც ფარმაცევტი აგროვებს მათ საფირმო პაკეტში.

7. კურიერს მიაქვს პროდუქცია დანიშნულების ადგილზე და მომხმარებელი იხდის მხოლოდ რაც შეუკვეთა იმის საფასურს.

შესაძლებელია მომხმარებლის პრობლემა დელიკატური ან ნაკლებად მნიშვნელოვანია პირადი ვიზიტისათვის ავთიაქში ასეთ შემთხვევაში ინტერნეტ ავთიაქი გთავაზობთ ონლაინ კონსულტაციას.

ბიზნეს გეგმა:

გაანალიზებული უნდა იყოს საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი, მისი ბოლო ტენდენციები. უნდა მოხდეს ინტერნეტ ავთიაქის მიმზიდველობის შეფასება და მისი შექმნის ყველა ეტაპის დაწვრილებით აღწერა. ბიზნეს გეგმა სრულიად უნდა ასახავდეს არსებულ ეკონომიკურ სიტუაციას, გათვალისწინებული უნდა იყოს სარეკლამო დანახარჯი და მის საფუძველზე მოგება, მოგების მოსალოდნელი მაჩვენებლები, საფინანსო ბალანსი ბიზნეს გეგმის შედგენის მოქმედებისათვის, ფულადი შემოსავლის გეგმა.

რეკლამა

იმისათვის, რომ ინტერნეტ ავთიაქს ყავდეს მომხმარებელი რა თქმა უნდა საჭიროა სატელევიზიო პროგრამების გამოყენება და მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება თუ რა არის ინტერნეტ ავთიაქი და რა უპირატესობა აქვს მას, ასევე სატელევიზიო რეკლამები, რეკლამა ბილბორდზე, სტატიები გაზეთებში და ჟურნალებში და ა.შ.

დალი კეკელიძე

აფთიაქი, მისი ფუნქციები და ამოცანები

ფარმაცევტის პროფესიული თვითშეგნების მოდელი

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, შემუშავებული იქნა ახალი პროგრამა - „ფარმაცევტის, როგორც სამედიცინო მომსახურების ექსპერტის ცოდნის გაღრმავება“ რომელიც, ცვლის ფარმაცევტის როლს. ცვლილებების მიზეზს წარმოადგენს ფარმაცევტული თვითშეგნების ახლებური გააზრება.

პროფესიული თვითშეგნება - განიხილება როგორც ფარმაცევტის მიერ მისი პროფესიული საქმიანობისა და გარემომცველი სამყაროს გაცნობიერებული ხედვა.

- დანიასა და შვედეთში სოციალური ფარმაციის კვლევის შედეგების საფუძველზე შეიქმნა საბუთო მოდელი, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა, ფარმაცევტული პროფესიული თვითშეგნების იდეალური მოდელის ჩამოყალიბება და მისი გამოყენება პირველადი ჯანდაცვის მომსახურების ამოცანების გადასაწყვეტად.

- სწორედ ფარმაცევტულ თვითშეგნებაზე მიგვიბრუნდეს, ფარმაცევტული ეთიკა და დეონტოლოგია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფარმაცემიანობაში.

- ფარმაცევტული ეთიკა - არის მეცნიერება, რომელიც განიხილავს ფარმაცევტულ საქმიანობაში არსებული, ზნეობისა და მორალის საპრობლემო საკითხებს, ფარმაცევტის დამოკიდ-



ბულებას ჯანმრთელი და ავადმყოფი ადამიანებისადმი.

- დეონტოლოგია - არის მეცნიერება, ადამიანთა პროფესიული ქცევის შესახებ, რომელიც განიხილავს ფარმაცევტის მორალს, ყოფაქცევას, ღირსებას, მოვალეობას და პატიოსნების საკითხებს.

ფარმაცევტულ დეონტოლოგიას აქვს საკუთარი მიმართულებანი

→ ექიმისა და ფარმაცევტის ურთიერთდამოკიდებულება.

→ ფარმაცევტისა და ავადმყოფის ურთიერთდამოკიდებულება.

→ ურთიერთდამოკიდებულება ფარმაცევტებს შორის.

→ ხელმძღვანელისა და ხელქვეითების ურთიერთობის ეთიკა.

ა ფ თ ი ა ქ ი

აფთიაქი არის მედიცინო – ფარმაცევტული დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამკურნალო საშუალებებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების შექმნას, წამლის მომზადებას, ხარისხის კონტროლს, შენახვას, რეალიზაციას და აღრიცხვას.

- აფთიაქი არის იურიდიული პირი, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშები ბანკში, აქვს ბეჭედი და შტამპი. ასევე შეუძლია ქონდეს სარეკლამო ნიშანი და ემბლემა.

აფთიაქის უფლება-მოვალეობანი

-აფთიაქი როგორც სამედიცინო-ფარმაცევტული დაწესებულება, უფლება-მოსილია გააფორმოს ხელშეკრულება იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, საქართველოსში დამ ის ფარგლებს გარეთ, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

-დამოუკიდებლად განსაზღვრავს სამკურნალო საშუალებებისა და სამედიცინო საქონლის სარეალიზაციო ფასები, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

-რეკლამა გაუწიოს თავის საქმიანობას, მომსახურებას, სერვისს დაბალ ფასებს და სხვა.

-ფარმაცევტულ საქმიანობაში იხელმძღვანელოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

აფთიაქის ორგანიზაცია და ფუნქციები:

* პირველადი სამედიცინო მომსახურების ორგანიზაცია და ფუნ-

ქციები. ტექნოლოგიების განვითარება ფარმაცევტულ სფეროში.

* საზოგადოების კომერციული და ტექნოლოგიური სტრუქტურა.

* მეცნიერული კონცეფცია ჯანდაცვის სისტემაში.

* (Good Pharmacy Practice) სათანადო სააფთიაქო პრაქტიკაა. 1991 წელს ქალაქ სტოკჰოლმში შედგა ათი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა, ფარმაციის ავტორიტეტულ სპეციალისტთა ყრილობა სადაც განიხილებოდა სამკურნალო საშუალებათა საცალო რეალიზაციის თანმიმდევრობის წესები. ამ ყრილობის შემდეგ შეიქმნა სტოკჰოლმის წერილი ს

->სამკურნალო საშუალებებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების მიწოდების მექანიზმის რეგულირება.

->პაციენტების „თვითმკურნალობაზე“ მართებული ზემოქმედება.

->წამალთა დანიშვნისა და გამოყენების მეთოდოლოგიური სრულყოფა -ის ძირითადი მიმართულებები:

1. სამედიცინო და ფარმაცევტული საქონლით მომარაგება და სარეცეპტო წამლების მართებულად გამოყენება.

2. ჯანმრთელობის განმტკიცება და დაავადებათა ფროფილაქტიკა.

3. წამლის დანიშვნასა და გამოყენებაზე ზემოქმედება.

4. თვითდახმარება და თვითმკურნალობა.

სერვისი / მომსახურება/.

თანამედრვე საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშან-თვისებად მომსახურების სფერ-

ოს მნიშვნელობის ზრდა ითვლება. ხარისხიანი სერვისი ეს კომერციული წარმატების გასაღებია. კლიენტს სიამოვნებს როდესაც მას ხარისხიანად ემსახურებიან. მომსახურების ხარისხი ძირითადად დამოკიდებულია პერსონალის სწორ, მართებულ ინფორმირებაში და ასევე მათ გადამზადებაში.

განვითარებულ ქვეყანაში, აფთიაქში მომსახურების სტანდარტების მომხმარებლის სტანდარტი უნდა იყოს უფრო მაღალი, ვიდრე სტანდარტი უნდა იყოს მათთვის მათთვის მათთვის:

„მომხმარებელს სურს“...

ამასთან გათვლისწინებული უნდა იყოს მომხმარებლის მიმართ კეთილგანწყობა და გულისხმიერება, მომსახურების ასეთი სტრანდარტი დაწესებულია კომერციული წარმატების გასაღებია.

სააფთიაქო სერვისი

სააფთიაქო სერვისში – „ავადმყოფისა და ფარმაცევტის ურთიერთდამოკიდებულებას“ ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უკავია.

ფარმაცევტს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ მის წინაშე ავადმყოფია ან მისი უახლოესი ადამიანია, არ უნდა მიაქციოს ყურადღება მის უხეშობას, გაღიზიანებას, არ უნდა განეწყოს მის მიმართ უარყოფითად, საჭიროა თავშეკავება და გულისხმიერება.

აფთიაქში მომხმარებელი „სასიამოვნო სტუმარია“ – რომელსაც ესაჭიროება მაქსიმალური ყურადღება და თანაგრძნობა. ავადმყოფს უნდა მოექცე იმგვარად, როგორც შენ გსურს რომ მოგექცნენ მის მდგომარეობაში მყოფს. კეთილი სიტყვისა და თანაგრძნობისას წამალი უფრო


ეფექტურია, ფარმაცევტმა მას უნდა ჩაუხერგოს რწმენა და იმედი გამოჯანმრთელებისა.

პაციენტზე ორიენტირებული მიდგომა

პაციენტზე ორიენტირებული მიდგომა ზრდის ფარმაცევტის როლს, როგორც რეკომენდაციის გამცემი პირის ფასუხისმგებლობას, რაც თავის მხრივ განაპირობებს მისი პროფესიონალიზმის ამაღლებას. ფარმაცევტებმა უფრო მეტი დრო უნდა დაუთმონ ავადმყოფებთან კონსულტაციას, გაითვალისწინონ ამ პროცესში ექიმების, ფსიქოლოგების, სოციოლოგების და ეკონომისტების რეკომენდაციები.

○ -დიდი ბრიტანეთის არის ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, სადაც პაციენტისთვის რჩების მიცემა წარმოადგენს ფარმაცევტის მნიშვნელოვან ვალდებულებას სააფთიაქო პრაქტიკაში.

○ სააფთიაქო სერვისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა სხადასხვა ფასდაკლებითი ოპერაციების გატარება, რაც მომხმარებლის მიზიდვის საუკეთესო საშუალებაა და აფთიაქისთვის წარ-



მოადგენს რეალიზაციისთვის მზარდ ფაქტორს.

○ აფთიაქის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ასევე მოსახლების უზრუნველყოფა: ეფექტური, უსაფრთხო და მაღალი ხარისხის სამკურნალო და სამედიცინო დანიშნულების საქონლის მიწოდება ხელმისაწვდომ ფასებში, რადგანაც ფასი ეს არის ის ძირითადი ელემენტი, რომელიც განსაზღვრავს მომხმარებლის გადაწყვეტილებას საქონლის შეძენის დროს.

ხარისხიანი სერვისი – ეს კომერციული წარმატების გასაღებია.

ფარმაცევტულ დარგში სერვისი წარმოადგენს მომსახურების კომპლექსს, რომელიც თან ახლავს წამლის შეძენას და განსაკუთრებული პირობების წაყენებას მისი რაციონალური გამოყენებისათვის. ეს შეიძლება იყოს ფარმაცევტის კონსულტაციები წამლის, სამკურნალო კოსმეტიკის, სამედიცინო დანიშნულების საგნების შეძენისას, ასევე ფარმაცევტ-კლინიციის კონსულტაციები აფთიაქში.

ხარისხიანი სერვისი მართებული ინფორმაცია მომხმარებელთან ინდივიდუალურად მიდგომა პროფესიონალიზმი ჰუმანიზმი კომუნიკაცია

წვითარებულ ქვეყანაში, აფთიაქში მომსახურების სტანდარტების

ჩამოყალიბებისას ითვალსწინებენ შემდეგ აუცილებელ კრიტერიუმებს:

1. მისაღმება – აუფილებელია პიროვნებათა შორისი კომუნიკაციის თავისებურებების ცოდნა მომხმარებლის გამოჩენისას ფარმაცევტი წყვეტს ყველანაირ საქმიანობას მთლიანად მობილიზებულია მასზე;

2. მომხმარებლის მოთხოვნა და დიაგნოსტიკა – ხშირად მომხმარებელი ჩვილით მიდის აფთიაქში ამა თუ იმ დაავადებაზე. ამ დროს ფარმაცევტის მოვალეობაა ზუსტად განსაზღვროს მომხმარებლის მოთხოვნა ისე რომ დაიცვას ფარმაცევტული ეთიკისა და დეონტოლოგიის ფროცესები;

3. კონსულტაცია – ამ ეტაპზე ფარმაცევტმა მომხმარებელს რეკომენტაცია უნდა გაუწიოს ამა თუ იმ პრეპარატზე, განუმარტოს მისი დანიშნულება, უპირატესობა, ღირებულების წესები, ასევე მოსალოდნელი უკუჩვენებები და მისი ღირებულება;

4. დამატებითი შესყიდვები – ამ სიტუაციაში ფარმაცევტი მომხმარებელს თავაზობს პრეპარატის მისაღებად აუცილებელ საშუალებებს (ერთჯერად შპრიცს, სპირტს, იოდს, ბამბას და ა.შ.);

5. კონტაქტის დასასრული – იმის შემდეგ როცა მომხმარებელი დაასრულებს შესყიდვებს ფარმაცევტი მას უნდა დაემშვიდობოს აუცილებლად და ამისთვის მას მრავალი შაბლონები აქვს;

ქეთევან მარიამიძე

ფარმაცევტული საწარმო



ფარმაცევტული საწარმო განეკთვნება ფარმაცევტული დაწესებულებას, რომელიც სათანადო საწარმოო-ტექნოლოგიური რეგლამენტით ფარმაკოპეის სტატიის მოთხოვნათა სრული დაცვით სამკურნალო სამკურნალო საშუალებების სერიულად გამოშვებას აწარმოებს. ფარმაცევტული საწარმო ყოველთვის უნდა იცავდეს

–ის სტანდარტებს და მის მოთხოვნებს. მისი ძირითადი ამოცანა სა მოთხოვნა ხარისხიანი, უსაფრთხო და ეფექტური წამლების მომზადება. საწარმოში რომ მომზადდეს ხარისხიანი და ეფექტური წამალი ამისათვის აუცილებელია სტერილური ჰაერი, ტემპერატურის, ტენიანობისა და წნე-

ვათა თანაფარდობის მუდმივი რეჟიმი. აუცილებელია ნედლეულის, მასალის, მოცემული პროდუქტებისა და მზა პროდუქციის ხარისხის კონტროლი.

დღეისათვის საქართველოში 30–ზე მეტი საწარმოა, რომლებიც უშვებენ ფართო ასორტიმენტის პროდუქციას მცირე რაოდენობით. საქართველოში სულ რამდენიმე აფთიაქში ხდება წამლების მომზადება, ამიტომ საწარმოს მიერ მარაგდება ფარმაცევტული ბაზარი: ტაბლეტებით, ნაყენებით, სითხოვანი ექსტრაქტებით, სიროფებით, ხსნარებით, მალამოებითა და სხვა წამლის ფორმებით.

საწარმოს ყოველი უბანი, საამქრო ან განყოფილება უნდა განთავსდეს შესაბამის სათავსში, რომელიც აკმაყოფილებს ფარმაცევტული და სანიტარული რეჟიმის ყველა მოთხოვნებს.

წამლის წარმოება ხორციელდება ნორმატიულ–ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე,

რომელიც წარმოდგენილია 2 რეგლამენტის სახით:

ტექნოლოგიური რეგლამენტი, რომელიც ეხება კონკრეტული დასახელების პროდუქტის წარმოებას.

ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც მოიცავს მოთხოვნებს აღჭურვილობის კომპლექსისადმი და მისი უსაფრთხო ექსპლუატაციისადმი მოცემულ საწარმოო ნაწილში ან მოცემულ საამქროში.

ტექნიკური რეგლამენტი ეს არის ძირითადი დოკუმენტი, რომელიც გამოიყენება პროდუქტის საწარმოებლად, ნახევარპროდუქტის წარმოების დროს, წარმოების ნარჩენების უტილიზაციისას, სამრეწველო წარმოების დაგეგმარებისას და ა.შ.

პროდუქტის შემუშავების სტადიის გათვალისწინებით ტექნოლოგიური რეგლამენტი შემდეგ კატეგორიებად იყოფა: **დროებითი ტექნოლოგიური რეგლამენტი და სამრეწველო ტექნოლოგიური რეგლამენტი.**

დროებითი ტექნოლოგიური რეგლამენტის მიხედვით სრულდება ლაბორატორიული და კვლევითი სამუშაოები.

სამრეწველო ტექნოლოგიური რეგლამენტი კი ქიმიურ-ფარმაცევტული პროდუქციის სერიული წარმოება. წამლის სერიული წარმოება ხორციელდება ფარმაცევტული საწარმოს მიერ. აუცილებელია მწარმოებელმა შექმნას ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური სისტემა, რომელიც აუცილებელია ხარისხის მართვის განხორციელებისათვის. ხარისხის კონტროლი დაკავშირებულია სინჯების აღებასთან, ნორმატიულ დოკუმენტაციასა და ცდებთან.

ხარისხი აკონტროლებს შესყიდვებს, გაყიდვებს, დისტრიბუტორს და ა.შ.

წარმოება დაკომპლექსებული უნდა იყოს საკმარისი რაოდენობის მაღალკვალიფიცირებული პერსონალით. თითოეულმა თანამშრომელმა

უნდა იცოდეს თავისი უფლება-მოვალეობა და ესმოდეს ინდივიდუალური პასუხისმგებლობა. ყველა მუშაკი უნდა ატარებდეს დამცავ ტანსაცმელს.

ფარმაცევტული საწარმოს უნდა გააჩნდეს: საწარმოო ზონა, მზა პროდუქციის წარმოება, ნედლეულისა და მასალების საწყობი, მომსახურებისათვის საჭირო ადგილი.

წარმოებისათვის უმნიშვნელოვანესია **ვალიდაცია**. **ვალიდაცია** ეს არის –ის წესების შესაბამისად, ექსპერტული შეფასება და დოკუმენტურად გაფორმებული ობიექტური მტკიცებულებების წარმოდგენა, რომლებიც ადასტურებენ, რომ ნებისმიერი ობიექტი ნამდვილად შეესაბამება თავის დანიშნულებას და დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო მათ გამოყენებას მიყვართ მოსალოდნელ შედეგებამდე. საწყისი ნედლეული შეძენილი უნდა იქნას მხოლოდ ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან. ნედლეულის ყოველ ჩაბარებაზე უნდა შემოწმდეს, რომ შეფუთვის მთლიანობა არ არის დარღვეული.

საწარმოს გახსნისათვის აუცილებელია ფინანსები, მარკეტინგი, იურისტები, ხარისხის ლაბორატორია, კადრები, ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური და სწავლება. მარკეტინგის კარგი ცოდნა აუცილებელია ზუსტი გეგმის შესადგენად და მის განსახორციელებლად, უნდა გვქონდეს დახსნის უფლება ანუ ლიცენზია, უნდა გვყავდეს იურისტები, გვქონდეს ხარისხის ლაბორატორია, რათა შევამოწმოთ პროდუქტის ხარისხი, რომ არ იყოს

წუნდებული. ხარისხი ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. რადგან იგი მოიცავს ისეთ ფაქტორებს როგორცაა: ეფექტური, უსაფრთხო და საიმედო წამლების მომზადება. საწარმომ უნდა უზრუნველყოს სამკურნალწამლო საშუალებების წარმოება ხარისხის იმ მაჩვენებლით, რომელიც მოცემულია ნტდ–ში. ხარისხის ერთ–ერთი მთავარი კონცეფცია არის სტანდარტიზაცია, რომელშიც ასახულია სამკურნალო საშუალებების ხარისხის უზრუნველყოფის, ეფექტურობისა და უსაფრთხოობის მოთხოვნები მოთხოვნე-

ბი. უნდა ხდებოდეს ისეთი პრეპარატების წარმოება, რომელიც ბაზარზე არის მოთხოვნადი. აუცილებელია მომხმარებელი იყოს კმაყოფილი სამკურნალო საშუალებების ეფექტურობით, სწრაფი მოქმედებითა და ხარისხით.

საწარმოში აუცილებლად უნდა სრულდებოდეს თვითინსპექცია და ხარისხის აუდიტი, რომელთა დანიშნულებაა ყოველმხრივი ზედამხედველობა, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში გამაფრთხილებელი და მაკორექტირებელი მოქმედების ჩატარების რეკომენდაციების შესრულება.

ლონდა ჯოჯუა

ს ფ თ ი ა ქ ი



აფთიაქი არის სამედიცინო ფარმაცევტული დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამკურნალო და სამედიცინო დანიშნულების საგნების შექმნას, წამლის მომზადებას, ხარისხის კონტროლს, შენახვას, რეალიზაციას და აღრიცხვას. აფთიაქი იურიდიული პირია, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშები ბანკში, აქვს ბეჭედი, შტამბი, ასევე შეიძლება ქონდეს სარეკლამო ნიშანი და ემბლემა.

აფთიაქი შეიძლება იყოს სახელმწიფო და კერძო. მისი მმართველი უნდა იყოს სათანადო კვალიფიკაციისა და სტაჟის მქონე უმაღლესი ფარმაცევტული განათლების სპეციალისტი. აფთიაქი შედგება სავაჭრო დარბაზისაგან, სადაც არის რეცეპტით გასაცემი, ურე-

ცეპტოთ გასაცემი და შეიძლება ქონდეს ოპტიკის განყოფილებაც. სამკურნალო საშუალებების მიღების დროს აუცილებელია წამლის კონტროლი ფაქტურასთან შედარებით, უნდა შემოწმდეს აუცილებლად პრეპარატის ვადა, ქარხნული წუნი და სამკურნალო საშუალებების რაოდენობა. ამ ყველაფრის შემდეგ ხდება სამკურნალო საშუალებების განთავსება მიმღებში შემდეგნაირად: 1. შენახვის პირობების დაცვით.

2. FIFO-ს პრინციპის მიხედვით.

3. ფარმაკოლოგიური ჯგუფის მიხედვით.

4. ორგანიზმში შეყვანის გზების მიხედვით.

რაც შეეხება სამარაგო განყოფილებას, მასში უნდა განთავსდეს ფარმაკოლოგიური ჯგუფის მიხედვით, ფიზიკურ-ქიმიური თვისებების მიხედვით, მიღების გზების მიხედვით. სამკურნალო საშუალებები და სამედიცინო დანიშნულების საგნები უნდა განლაგდეს ისე, რომ ფართობი მაქსიმალურად იყოს გამოყენებული.

ფსიქოტროპული საშუალებები ცალკე მაცივარში, –სიის პრეპარატები კი ცალკე ყუთში მაცივარში. სამარაგოში და ასევე საწყობ ტერიტორიაზე საჭიროა ტარდებოდეს ღონისძიებები სან-ჰიგიენისათვის. სამკურნალო საშუალებები იყოფა ფიზიკურ-ქიმიური თვისებებისა და გარემო ფაქტორების ზემოქმედების მიხედვით: სინათლისაგან დაცვა, ნესტისაგან, აქროლებისაგან

და ტემპერატურის ცვლილებისაგან. აფთიაქს უნდა გააჩნდეს სველი წერტილები, სადაც უნდა იყოს სან-ჰიგიენა. აფთიაქი აღჭურვილი უნდა იყოს კარადებით, თაროებით, მაცივრით, სამარაგო კი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით, ასევე დაცული უნდა იყოს ტენიანობა, ტემპერატურა, რომელიც უნდა შემოწმდეს დღე-ღამეში ორჯერ. უნდა კონტროლდებოდეს სამაცივრე ტემპერატურაც. უნდა მოეწიოს შემწოვ-გამწოვი ვენტილაცია. აფთიაქში უნდა იყოს ფარმაცევტსა და მომხმარებელს შორის აირ წვეთოვანი ინფექციებისაგან დამცავი მინა. აფთიაქიდან სამკურნალო საშუალებების გაცემის დროს განსაკუთრებული ყურადღება არის საჭირო: დასახელებაში არ უნდა იყოს შეცდომა, დოზირებაში, ვადებში, რაოდენობაში. თუ არის შეუსაბამო სამკურნალო საშუალება გადადის კარანტინის ყუთში. სამკურნალო საშუალებებით სააფთიაქო დაწესებულებები მარაგდებიან საწარმოდან დისტრიბუტორის საშუალებით. აფთიაქი წარმატებული რომ იყოს ამისათვის აუცილებელია ფართო ასორტიმენტი, რომელიც დააკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნას და მოიზიდავს ახალ მყიდველს.

აგრეთვე გასათვალისწინებელია რა სამკურნალო საშუალებები არის მოთხოვნადი, მომხმარებლის სოციალ-

ური მდგომარეობა. საქონლის მოთხოვნა დამოკიდებულია მომხმარებლის მოთხოვნაზე. მომხმარებლის მოთხოვნის ცვლილება იწვევს საქონლის რეალიზაციის ცვალებადობას. საქონლის რეალიზაციაზე გავლენას ახდენს პიარი, დაბალი ფასები, მაღალი ხარისხი, ასევე სამკურნალო საშუალებების ეფექტურობა, საიმედოობა, უსაფრთხოობა და სწრაფი მოქმედება, რაც იწვევს მოსახლეობის ნდობის მოპოვებას.

მომხმარებლისათვის მნიშვნელოვანია ფარმაცევტი იყოს: ყურადღებიანი, პროფესიონალი, კომუნიკაბელური და საჭირო დროს გაუწიოს დახმარება. ფარმაცევტის ამოცანაა მომხმარებელს გაუღრმავოს ცოდნა პრეპარატის გამოყენების და შეზღუდვების შესახებ, უნდა მიეხმაროს მომხმარებელს თავისუფალი არჩევანის გაკეთებაში და მის ხარჯზე გაზარდოს საქონელ-ბრუნვა აფთიაქში და შესაბამისად მოგება. ფარმაცევტმა აუცილებელია იცოდეს სრული ინფორმაცია ბაზარზე შემოსული ახალი სამკურნალო საშუალებების შესახებ. აუცილებელია დროულად აღიქვას დარგში არსებული სიახლენი.

აფთიაქში მუდმივად უნდა ხდებოდეს ფარმაცევტის კვალიფიკაციის ამაღლება. ასეთი თანამშრომლებით დაკომპლექტებული კოლექტივი ქმნის იდეალურ აფთიაქს, რაც აუცილებელი წარმატების საწინდარია.

ციური კაპანაძე
თანაავტორები: ამბარდნიშვილი თამარი
და კინწურაშვილი მარიანა

აფთიაქი და მისი ხარისხის კონტროლი



—აფთიაქი არის სამედიცინო ფარმაცევტული დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამკურნალო საშუალებებისა და სამედიცინო დანიშნულების შექმნას, წამლის მომზადებას, ხარისხის კონტროლს, შენახვას, რეალიზაციას და აღრიცხვას. იგი ირის იურიდიული პირი, მას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშები, ბეჭედი, შტამპი და სხვ.

აფთიაქის ამოცანები და ფუნქციებია: მოსახლეობის სამკურნალო პროფილაქტიკული დაწესებულებების მომარაგება სამკურნალო წამლო საშუალებით. დადგენილი რეცეპტით წამლის მომზადება, ხარისხის კონტროლი და სხვ.. ეს ის არასრული ჩამონათვალია

რისი გაკეთებაც ევალება აფთიაქს. აფთიაქის დაფუძნება ხორციელდება დამტკიცებული ნორმატივების შესაბამისად არსებული ლიცენზიის საფუძველზე. მისი მართვა ხორციელდება ქვეყანაში მოქმედი კანონით, მის კონტროლს ახორციელებს ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

—ფარმაცევტული დაწესებულების ჩვენ შემთხვევაში აფთიაქს შესაძინა სათავსოების მოწყობილობა, განლაგება და ფართობი უნდა აკმაყოფილებდეს მოქმედი ნორმატიული დოკუმენტაციის ყველა მოთხოვნას, კანონი წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ. შესაძინა სათავსოში დაცული უნდა იყოს შემწოვ გამწოვი ვენტელაცია, კარადები კარგად იყოს განათებული, შესაძინა სათავსოში სამკურნალო საშუალებები უნდა განლაგდეს ცალ ცალკე წამლის ფარმაცოლოგიური ჯგუფის შესაბამისად, ფიზიკურ ქიმიური თვისებების მიხედვით და ა.შ.

—ფრიალ ყურადსაღები მომენტია ხარისხიანი სერვისი ეს კომერციული წარმატების გასაღებია. ყველას სიაშოვნებს როცა მას ხარისხიანად ემსახურებიან, ამისთვის არამარტო ფარმაცევტის პროფესიული ცოდნა და გამოცდილებაა საკმარისი, არამედ მომხმარებელთან ინდივიდუალური

მიდგომაა აუცილებელი, სურვილი გაუჩინოს მომხმარებელს კვლავ მიმართოს მას, აღძრას ნდობის ფაქტორი, სრულყოფილი პასუხი გასცეს ნებისმიერ კითხვას, შეუქმნას კომფორტული ატმოსფერო, აფთიაქმა უნდა შეიმუშაოს შესაბამისი მომსახურების სტანდარტები, მომხმარებელი ბოლომდე უნდა იყოს დაკმაყოფილებული. მომხმარებლის შენარჩუნება უფრო ადვილია ვიდრე ახლის სექენა. ერთ ერთი მეცნიერი (გრენროსი) თვლის რომ მომხმარებლის მოზიდვა 6-ჯერ უფრო ძვირია, ვიდრე არსებულის მეორეჯერ შესთავაზო პროდუქტი. თუ მომხმარებელი დაუკმაყოფილებელი წავიდა, მაშინ მისი დაბრუნება ფირმას 25-ჯერ მეტი ძვირი დაჯდება.

– აფთიაქში მომსახურების აუცილებელი კრიტერიუმებია: მისაღმება, მომხმარებლის მოთხოვნილობათა დიაგნოსტიკა, კონსულტაცია, დამატებითი შესყიდვები და სხვ..

– მომსახურების სტანდარტების გამოყენება ზრდის ფარმაცევტის შრომის ნაყოფიერებას, იზრდება მომხმარებელთა რიცხვი, რაც საბოლოო ჯამში ზრდის აფთიაქის საქონელ ბრუნვას.

– რაც არ უნდა შესანიშნავად იყოს აფთიაქი აღჭურვილი და აკმაყოფილებდეს ნორმატიულ ტექნიკურ დოკუმენტის მოხონას და არ ისწრაბოდეს ხარისხის მართვის გაუუმჯობესებისაკენ ვერ მიახწევს

წარმატებას, სწრაფად ცვალებადი გარემოს და მზარდი კონკურენტი კომპანიების არსებობის გამო.

წარმატების მისაღწევად ერთ-ერთ მნიშვნელოვანი და ყურადსაღები მომენტია ხარისხის მართვის მენეჯმენტი-იგი წარმოადგენს ორგანიზაციის სისტემის ნაწილს, რომლისთვისაც უპირატეს ორიენტირს წარმოადგენს ხარისხი-კლიენტის მოლოდინებისა და საწიროების დაკმაყოფილება ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფით. საერთო ჯამში, სამკურნალო სასუალებების ხარისხის უზრუნველყოფის, ეფექტურობისა და უსაფრტხოების მოთხოვნები დაწვრილებითაა აღწერილი GPP(GOOD PHARMACY PRACTICE)-სათანადო სააფთიაქო პრაქტიკაში, უფრო დაწვრილებით რომ განვმარტოთ: ფარმაცევტულმა ორგანიზაციამ, სახელმწიფო მმართველი ორგანოების დარგის ნაციონალური ტრადიციების გათვალისწინებით შეიმუშავა და დანერგა მიზანმიმართული სათანადო სააფთიაქო პრაქტიკის სტანდარტების გამოყენება.

– ნაციონალური სტანდარტები იქმნება შემდეგი მიზნებისათვის: მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესება. სამკურნალო სასუალებების რეგულირება. პაციენტისთვის მკურნალობაზე მართებული ზემოქმედება და ა.შ.

ხარისხის უზრუნველყოფა თანამედროვე ფარმაციის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა.

სამკურნალო საშუალებათა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით მომარაგება, სარეცეპტო წამლების მართებულად გამოყენება

- საქმიანი სახეობები
მოთხოვნილებები შედეგები
1. მომწოდებლის არჩევანი
 2. საქონლის შეძენა
 3. შენახვა
 4. გაცემა და კონსულტაცია
 5. ადმინისტრაციული მოლვაწეობა
 6. მარეგლამენტირებელი დოკუმენტაციისა პროცედურების ცოდნა
 7. აუცილებელი შენობა-ნაგებობების, სათავსეების არსებობა
 8. კვალფიკაცია
 9. სეფასების მთეოდები
 10. შედეგები აფთიაქებისთვის
 11. შედეგები პაციენტებისათვის.
- GPP-ის მიმართულებებია:

1. სამკურნალო სასუალებები-თა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით მომარაგება, სარეცეპტო წამლების მართებულად გამოყენება.

2. ჯანმრთელობის განმტკიცება და დაავადებატა პროფილაქტიკა.

3. წამლის დანიშვნისა და გამოყენებაზე ზემოქმედება.

4. თვითდახმარება და თვითმკურნალობა სათანადო სააფთიაქო პრაქტიკის სტანდარტების შემუშავება და დანერგვა პროფესიული პრაქტიკის ინსტრუმენტია. მას სეუძლიან უზრუნველყოს ფარმაცევტული სექტორის თანმიმდევრული განვითარება. ამგვარად ხარისხი ფილოსოპიური მცნებაა და არის მახასიატებელთა ერთობლიობა,რომელიც განსაზღვრავს მზა პროდუქციის თვისებებს და მათ შესაბამისობას წინასწარ განსაზღვრულ ძირითად პარამეტრებთან.

ხარისხის კონტროლი ნებისმიერი წარმოებისთვისაა დამახასიათებელი, მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდების ჩამოყალიბება – ესაა ორგანიზაციულ ღონისძიებათა მთელი ერთობლიობა.

ნინო კაჭიური

აფთიაქი და მისი ზოგადი მნიშვნელობა



დავიწყეთ იქიდან, რომ კანონი “წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ” გვაძლევს წესდებს აფთიაქის ფუნქციონირების შესახებ და მთლიანად ფარმაცევტულ ბაზარზე მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ არ ან ვერ აკონტროლებს აფთიაქის რაოდენობას სახელმწიფოში, რის შედეგადაც ქვეყანაში ფარმაცევტული ბაზარი გარდაქმნილია არაჯანსაღ კონკურენციის ბაზრად, ანუ დიდი თუ პატარა ქსელები ემყარებიან მიდგომას: “რაც უფრო მეტი აფთიაქი მით უფრო მეტი მოგება” რაც გვაძლევს ასეთ შედეგს, დღეს დღეისობით საქართველოში რეგისტრირებულია და ფუნქციონირებს 2100 აფთიაქი, ანუ 1 აფთიაქზე მოდის 2190 ადამიანი, როდესაც ისეთ საშუალო დონის ქვეყანაში, როგორც დანია და რომლის მოსახლეობაც საქართველოს მოსახ-

ლეობაზე 1.2-ჯერ მეტია, აფთიაქის რაოდენობა აღწევს 72 ერთეულს, ანუ 1 აფთიაქზე მოდის 6667 ადამიანი.

აფთიაქი – არის სამედიცინო ფარმაცევტული დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამკურნალო საშუალებების შექმნას, აღრიცხვას, ხარისხის კონტროლს, შენახვასა და რეალიზაციას.

• აფთიაქი არის იურიდიული პირი აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშები ბანკში, აქვს ბეჭედი, შტამპი. შეუძლია ჰქონდეს ემბლემა და სარეკლამო ნიშანი.

• აფთიაქი დაფუძნებულად ითვლება და იძენს იურიდიული პირის უფლებას მისი არსებული წესით რეგისტრაცია – ლიცენზირების მომენტიდან.

აფთიაქის მოწყობა და ფუნქციონირება – ამისთვის საჭიროა, შევარჩიოთ ისეთი უბანი ან რაიონი, რომელიც ხელსაყრელი იქნება აფთიაქის ფუნქციონირებისათვის ამ ყველაფრის მისაღწევად საჭიროა წინასწარი კვლევები:

• ვიკვლევთ არის თუ არა მახლობლად აფთიაქი და რა კატეგორიის;

• ვადგენთ ექიმების რაოდენობას მოცემულ უბანზე;

• ვიკვლევთ საშუალო ასაკის ადამიანების რაოდენობას;

• ვადგენთ მოხუცების რაოდენობას;

• ვადგენთ ავადმყოფების რაოდენობას;

• ვიკვლევთ დემოგრაფიულ მდებარეობას.

ექსტერიერი – აფთიაქი განთავსებული უნდა იქნეს იზოლირებულ კაპიტალურ სათავსოში.

- შთამბეჭდავი შესახედაობის სასურველია თეთრ-ღიაშვანე ფერებში გაწყობილი.

- აფთიაქის ტერიტორიაზე ავტოპარკინგისათვის განკუთვნილი ადგილი.

- შეზღუდული უნარის მქონე პირთათვის განკუთვნილი ბილიკი (ტურნიკეტი)

- სენსონური კარი (რაზეც იქნება გამაფრთხილებელი ნიშნები: ვიდეო კონტროლის, მოწვევის ამკრძალავი, და ოთხფეხა მეგობრებთან ერთად შესვლის ამკრძალავი.)

- დამატებითი კარი მედიკამენტების თუ სხვა სააფთიაქო საქონლის მიღებისთვის.

- ემბლემა რაზეც გამოსახულია აფთიაქის დასახელება, და მისი მუშაობის რეჟიმი.

აფთიაქში უნდა იყოს შემდეგი განყოფილებები:

- სავაჭრო დარბაზი;

- საწყობი ან შესანახი სათავსო.

- მენეჯერის სამუშაო ოთახი;

- ფარმაცევტ-კლინიცისტიისთვის გამოყოფილი ოთახი (სადაც იქნება სპეც. ავეჯი, რათა მომხმარებელმა მოისმინოს კონსულტაცია და აუცილებლობის შემთხვევაში მიიღოს წამალი);

- ფარმაცევტების მოსასვენებელი ოთახი.

- სველი წერტილები.

- აფთიაქის მომწესრიგებელი (დამლაგებელი).

რაც შეეხება ინტერიერს - ფართი მოგვეყავს ჩვენთვის სასურველ მდგომარეობაში.

- კედლები იღებება მშვიდ და ნათელ ფერებში;

- იატაკი იფარება მშვიდი თეთრი ფერის მეტლახით;

- განათება არამკვეთრი სასიამოვნო;

- ვიდეო კონტროლისათვის განკუთვნილი ტექნიკა;

- ვამონტაჟებთ შემწვოვ-გამწვოვ სავენტილაციო სისტემას;

- ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობა;

- სან-ჰიგიენურ საშუალებები;

- დახლები და კარადები;

- დახლზე სამაგრი გამყოფი მინები, (რომლებიც იზოლირებას უკეთებს ფარმაცევტს მომხმარებლისაგან);

- მაცივარი;

- კომპიუტერული ტექნიკა;

- საკონტაქტო ტელეფონი;

- ა – სიის პრეპარატებისთვის განკუთვნილი სათავსო (სეიფი);

- საკასო აპარატი;

- ტერმინალი;

- ტემპერატურის და ტენიანობის საზომი საშუალება. (თერმომეტრი და ჰიგრომეტრი);

- სიგნალიზაციის მოწყობილობა (დაცვის სამსახურის გამოძახების სისტემა)

- ასევე ლაზერული აპარატი, რომელის საშუალებითაც ხდება წამლის მიღება, აფთიაქში დარეგისტრირება შტრიხ კოდის საშუალებით, შემდეგ კი მისი გაცემა ამავე ტექნიკით (რაც ფარმაცევტს და მენეჯერს, საქმის 25% ჩამოართმევს);

- ინტერნეტი (მენეჯერისთვის ამა თუ იმ ინფორმაციის მიღება გაცემისთვის)

- უპს (დამატებითი ელექტრო კვების ტექნიკა, ელ. ენერჯის გათიშვის შემთხვევაში);

- სავაჭრო დარბაზში სასურველია მონიტორი (სადაც ნაჩვენები იქნება აფთიაქის სერვისი, საკონტაქტო ტელეფონი, ცხელი ხაზის ტელეფონი, ელ-ფოსტა, ვებ-გვერდი);

- ბინულის აპარატი;

აფთიაქის მენეჯერი – მენეჯერი მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენს აფთიაქში, რომელიც უნდა იყოს:

- პროფესიონალი ფარმაცევტულ სფეროში;

- სასიამოვნო გარეგნობის;

- კომუნიკაბელური;

- უცხო ენების მცოდნე “რუსული და ინგლისური” (რადგან საქართველოში ბევრი აზერბაიჯანელი სომეხი თუ რუსი მოსახლეა, რომელიც რუსულად საუბრობს);

აფთიაქში მომუშავე ფარმაცევტი უნდა იყოს:

- პროფესიონალი ფარმაცევტულ სფეროში;

- კომუნიკაბელური;

- ინდივიდუალურად მოქმედების უნარის მქონე;

- სასურველია რუსული ენის მცოდნე;

- აუცილებელია ფარმაცევტებს ეცვათ ერთი სტილის თეთრი ფერის ხალათები, რომელზეც იქნება ამოქარგული აფთიაქის ლოგო და ფარმაცევტის სახელი და გვარი.

- ფარმაცევტები იცავენ პირად ჰიგიენურ წესებს

- სასურველია ჰიგიენის ცალკე კონსულტანტ-რეალიზატორი და აგრეთვე ოპტიკის განყოფილები

შემთხვევაში, დამატებით კონსულტანტ-რეალიზატორი;

- ასევე აფთიაქში ვისურვებელი ფარმაცევტ მამაკაცს, (რადგან არის საკიტხები რომლებსაც მამაკაცი უკეთესედ შეასრულებს);

აფთიაქში მუშაობის სტილი

– რაც შეეხება აფთიაქში ფარმაცევტის მუშაობის სტილს, ფარმაცევტი მუშაობს 8 სამუშაო საათს (რასაც ორი საათით შევამცირებდი) მომსახურების სტილს ასე ჩამოვყალიბებდი: ერთი ფარმაცევტი ზის კომპიუტერთან რომელიც ისმენს მომხმარებლის მოთხოვნას, თუ საჭიროა აკეთებს სადაზღვეო ოპერაციას, ფასდაკლებას, იღებს ფულს და ამოიღებს ჩეკს, ამ დროს მეორე ფარმაცევტი ამობეჭდილი ფაქტურის საშუალებით აგროვებს სამკურნალო საშუალებებს უწყობს პარკში და გადასცემს მომხმარებელს. (ამასთან ერთად აძლევს სავიზიტო ბარათს, სადაც აღნიშნულია აფთიაქის ლოგო მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ცხელი ხაზის ნომერი, ელ-ფოსტა და ვებ-გვერდი.) ეს ყველაფერი ხდება 4-4 საათის მონაცვლით, ჩემი აზრით ასე უფრო უადვილდება ფარმაცევტს სამუშაო, ვინაიდან ფარმაცევტი ისედაც ძლიერ მობილიზებული უნდა იყოს, რადგან მისი სამუშაო დიდ რისკებთან არის დაკავშირებული.

ფარმაცევტის მომსახურება (სერვისი) – ფარმაცევტის მომსახურება უნდა ხდებოდეს მომხმარებლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ანუ მომხმარებელს გაუღრმავოთ ცოდნა დაავადების შესახებ, რომელიც მას აწუხებს, გააცნოს დარგში არსებული სიახლეები, შესთავაზოს ახალი პრეპარატები, აუცილებლად უნდა

გაითვალისწინოს მომხმარებლის ფინანსური, ფსიქოლოგიური და სოციალური მდგომარეობა და აგრეთვე აკეთებდეს პირდაპირ რეკლამას სასურველ პრეპარატზე. კარგი იქნებოდა სერვისის დანერგვა მედიკამენტების ბინაზე მიტანის შესახებ.

ფარმაცევტ-კლინიცისტი უფლებამოვალეობანი – ფართო განათლება თითოეული წამლის ფარმაცოლოგიური მოქმედების შესახებ, აფთიაქში უნდა ჩამოყალიბდეს „ინფორმაციული მომსახურების სერვისი“ ამისთვის საჭიროა აფთიაქში ფარმაცევტ-კლინიცისტის ოთახი.

კონსულტაციისთვის პაციენტი მიმართავს ფარმაცევტ კლინიცისტს, ასევე მიმართავს პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის შედარებით მარტივი პრობლემების გადასაწყვეტად, სატელეფონო მომსახურების სრულყოფა და მომხმარებლის დაკმაყოფილება უნდა ზღებოდეს ფარმაცევტ-კლინიცისტის მიერ.

ფასს წარმოქმნის პოლიტიკა – ფასი ეს არის ძირითადი ფაქტორი რომლის მიხედვითაც მომხმარებელი აკეთებს არჩევანს ამა თუ იმ სამკურნალო საშუალების შესახებ, ამიტომ მომხმარებლის მიზიდვის საუკეთესო საშუალებაა „მარკეტინგული ოპერაციები“ ანუ ფასდაკლებითი სისტემის შემოღება. მაგ: რამოდენიმე მოთხოვნა და პოპულარულ პრეპარატებზე ან სეზონურ სამკურნალო საშუალებებზე ფასდაკლება აგრეთვე ძვირად ღირებულ პრეპარატებზე თვალშისაცემი ფასდაკლება და ამ თანხის დაბალანსება დაბალ ფასიანი სამედი-

ცინო მოვლის საგნების და პრეპარატების ხარჯზე.

აფთიაქის მთავარი ამოცანა – რაც შეეხება აფთიაქის მთავარ ამოცანას, ყოველთვის რჩება იქინიოს სასიცოცხლოდ აუცილებელი სამკურნალწამლო ფორმების ჩამონათვალი, ჰიგიენის, სანიტარული და სამედიცინო-ფარმაცევტული საქონელი, ავადმყოფის მოვლის საგნები, ხოლო ასორტიმენტის ფოქრმირება განახორციელოს მომხმარებლის მოთხოვნიდან გამომდინარე.

ფარმაცევტის მომსახურების კონტროლი – ნებისმიერი უკუკავშირის საშუალება.

- აფთიაქი ცხელი ხაზი;
- რეკლამაცია(დოკუმენტი, სადაც მომხმარებელი დააფიქსირებს თავის უკმაყოფილებას);
- საინფორმაციო რეკვიზიტები;

რაც შეეხება ფარმაცევტის მომსახურების „კონტროლს“ იქნებოდა როგორც ფარული მომხმარებლები ასევე სპეციალური აპარატურა, სადაც მომხმარებელს ექნებოდა საშუალება, ფარმაცევტიდან სასურველი მომსახურების შემთხვევაში ამ აპარატის მეშვეობით დაეფიქსირებინა თავისი კმაყოფილება ან უკმაყოფილება 10 ბალიანი სისტემით, რაც ხელს შეუწყობდა სერვისის გაუმჯობესებას, დახვეწას და შედეგად ეს აისახებოდა აფთიაქის საბოლოო რეალიზაციაზე (მოგებაზე).

სააფთიაქო ქსელის შემთხვევაში კარგი იქნებოდა თუ ფირმა იზრუნებდა ფარმაცევტების კვებაზე.

ბადრი ზურაშვილი
თეონა ალაკიძე

ფარმაცევტი და მისი როლი ფარმაცევტულ საქმიანობაში



სამედიცინო დარგის მუშაკები ავადმყოფს მკურნალობასთან ერთად არანაკლებ ყურადღებას უთმობენ. დაავადების თავიდან აცილებას, მკურნალობის ეფექტური წარმართვისთვის ისინი ითვალისწინებენ არა მხოლოდ დაავადების ბიოსამედიცინო მონაცემებს არამედ პიროვნების გარემომცველ სოციალურ და ფსიქოლოგიურ გარემოსაც აქედან გამომდინარე დაავადების პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის ჯანდაცვის სტრატეგია მიზნად ისახავს ინდივიდის ჯანმრთელობის დაცვასა და საჭიროების

შემთხვევაში მისი სოციალური გარემოს შეცვლას.

შესაბამისად ფართოვდება ფარმაცევტის როლი, იცვლება ფარმაცევტის საქმიანობის არსი და მნიშვნელობა. ფარმაცევტები დღეისათვის აღიქმებიან, როგორც ჯანდაცვის სისიტემის ერთ-ერთი მთვარი სუბიექტები. რომელთა პროფესიული როლი „წამლის“ მომარაგება გაცემის ფუნქციის გარდა მოიცავს ავადმყოფისადმი კვალიფიციური რჩევის მიცემას, კონსულტაციებს ჯანდაცვის მუშაკებთან მკურნალობის საკითხებთან დაკავშირებით და სხვ.

აღინიშნულიდან გამომდინარე დღეისათვის ფარმაცევტის მიერ გადასწვევტი ამოცანები რთული და მარავალფეროვანია, სწორედ ეს საგანი არის ერთ-ერთი ძირითადი ფარმაცევტულ დისციპლინებს შორის, რომელსაც წერიგში მოყავს ფარმაცევტის პროფესიული ღონე.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ახალი პროგრამა, რომელიც ცვლის ფარმაცევტის როლს, ცვლილებების მიზანს წარმოადგენს ფარმაცევტული თვითშეგნების ახლებური გააზრება, პროფესიული თვითშეგნება განიხილება, როგორც პროფესიული საქმიანობა და

გარემომცველი სამყაროს გაცნობიერებული და ქვეცნობიერი ხედვა.

ფარამცევებისთვის ჯანდაცვის ახალი პროგრამა გუ-ლისხმობს, რომ მათ როგორც პირველადი სამედიცინო მომსახურების პროფესიულმა ჯგუფმა ტრადიციული დისტრიბუციის გარდა შეიმუშაონ აღნიშნული პროგრამის ამოცანები.

აფთიაქში მომუშავე ფარმაცევტის ამოცანების წარმოადგენს:

1. დაავადების პროფილაქტიკა, მოსახლეობის მუდმივი კონსულტაცია ჯანმრთელობის დაცვასა და სამკურნალო საშუალებებზე.

2. ფარმაცევტსა და პაციენტს შორის ინფორმაციის გაზიარება ამა თუ იმ პრეპარატის გამოყენების შესახებ.

3. ინფორმაციის შეგროვება ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და სამკურნალო საშუალებების შესახებ, შეძენილი ცოდნის ურთიერთგაზიარებაზე სხვა პროფესიონალებთან.

4. კონსულტაციის გაწევა სამკურნალო საშუალებების სწორ გამოყენებაზე მათ ეფექტურობაზე და გვერდით მოვლენებზე.

5. ჯანმრთელობის დაცვა და სამკურნალო საშუალებებზე ცოდნის გამოცდილების გაზიარება სხვა პროსიონალური ჯგუფებისთვის ჯანდაცვის პროფესიონალია ცოდნის ინტეგრირება ფარმაცევტულ სფეროში.

ფარმაცევტული ამოცანებისა და როლის გაცნობიერებისათვის მნიშ-

ვნელოვან საფუძველს წარმოადგენს ფარმაცევტის მიერ საკუთარი ფუნქციის ხედვა ჯანდაცვის სისტემაში . ე.ი ფარმაცევტმა უნდა გააცნობიეროს თავისი პროფესიის მნიშვნელობა სამედიცინო მომსახურების სფეროში, რომელიც დაფუძნებულია მეცნიერების ჰუმანურ ხედვაზე და გამოიყენება აფთიაქის ორგანიზაციის სრულყოფისთვის, საჭიროა ფარმაცევტმა დამოუკიდებლად განსაძღვროს თავისი მდგომარეობა კონკრეტულ სიტუაციაში შეარჩიოს მოქმედების ოპტიმალური ვარიანტი.

რათქმა უნდა ფარმაცევტი უნდა იყოს პუნქტუალური და უნდა ჰქონდეს პასუხის მგებლობის გრძნობა. ორგანიზაციის პრობლემა და ამოცანები უნდა დაისახოს „როგორც საკუთარი მიზანი. სასურველი იქნებოდა სამუშაო რეჟიმი 6 საათზე მეტი არ ჰქონდეს, რადგან ფარმაცევტიც ჩვეულებრივი ადამიანია და გადაღლის გამო შეცდომა არ დაუშვას.

მრავალრიცხოვანი გამოკვლევების და ფარმაცევტული გამოკითხვის საფუძველზე გამოვლინდა 4 განსხვავებული მოდელი, რომელთა საუკეთესო მოდელად შეიძლება ჩაითვალოს ჰუმანური ხედვის ფარმაცევტი. რადგან ჰუმანური თვალთ უყურებს მყიდველს, თავის სამუშაო ფუნქციებს აფთიაქსა და ჯანდაცვის სისტემაში. ექსპერტმა უნდა იცოდეს წამლის არა მარტო, ტექნიკური მახასიათებლები არამედ, უნდა შეეძლოს გაგებით მოეკი-

დოს მომხმარებლის მდგომარეობას იზრუნოს მომხმარებლის პრობლემზე. ფარმაცევტი მოვალეა მომხმარებელს მოემსახურის და გაუღრმავოს ცოდნა სამკურნალო საშუალებებზე და გააცნოს ავადმყოფს თავისი მდგომარეობა თუ რა მდგომარეობაშია იგი.

ინტერპროფესიული ურთიერთობის პრობლემა ექიმსა და ფარმაცევტს შორის.

– ყველა ქვეყანაში არსებობს პრობლემები არსი შემდეგშია :

ექიმი თვლის, რომ ფარმაცევტს არ ესმის დაავადების ბუნება და წამლის მოქმედების ხასითი, ხოლო ფარმაცევტი თვლის რომ ექიმს ზედპირულად ესმის წამლის, როგორც ქიმიური ნივთიერების ბუნება და წამლის ფორმასთან დაკავშირებული ნიუანსები მისი ტექნოლოგიური არ ცოდნის გამო.

ამ პრობლემიდან გამომდინარე ქვეითდება ურთიერთნამ-შრომლო ბის ხარისხი, რაც ცუდად აისახება მკურნალობის პროცესზე. მიზეზად კი სახელდება განსხვავება : სტატუსის, პრესტიჟის და ავტორიტეტის მხროვ.

ზემოაღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელი გახდა მას

შემდეგ რაც რიგი ქვეყნების ჯანდავის სტრუქტურებმა გაიზიარეს ექსპერტის რეკომენდაციები. მათ შორის :

ა) ცენტრის ტიპის სამკურნალო დაწესებულების ჩამოყალიბებას, სადაც სხვადასხვა სამედიცინო პროფესიის წარმომადგენლების და მათ შორის კლინიკური ფარმაცევტი იმაშავებენ გუნდური პრინციპით.

ბ) ფარმაცევტის განათლებაში კლინიკური მეცნიერების უფრო ფართოდ შეტანა.

გ) მკურნალი ექიმებისთვის კლიკური ფარმაცევტის შესაძლებლობის და ფუნქციების გაცნობა.

ფარმაცევტმა ისევე როგორც ექიმმა უნდა აითვისოს პრობლემებზე ორიენტირებული მეთოდი, რაც კლინიკური ფარმაციის, როგორც პაციენტზე ორიენტირებულს საფუძველს წარმოადგენს.

წამალი წარმოადგენს ერთიან ჯაჭვს რომელსაც აუცილებლად აჯავშირებს პაციენტი და მათ უნდა შეძლონ პაციენტის როგორც მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილება და თუ არ იქნება მომხმარებელი ეს ჯაჭვი უბრალოდ არ იარსებებს.

ცეზარ შანთაძე

ფარმაცევტული საწარმო



წამლის სერიული წარმოება ხორციელდება ფარმაცევტული საწარმოს მიერ. ფარმაცევტული საწარმო განთავსებული უნდა იყოს არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობაში. იგი უნდა აკმაყოფილებდეს სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს და დაცული უნდა იყოს ცეცხლსაშიშროებისაგან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შენობას და დანადგარებს, ვინაიდან ისე უნდა იყოს დაპროექტებული, განლაგებული, კონსტრუირებული და აღჭურვილი, რომ შეესაბამებოდეს თავის დანიშნულებას და გამოსადეგი უნდა იყოს გათვალისწინებული საშუალებები ჩასატარებლად. მათი ზომა, კონსტრუქცია და განლაგება მინიმუმამდე უნდა ამცირებდეს შეცდომების რისკს წარ-

მოების პროცესში და უზრუნველყოფდეს ექსპლუატაციისა და დასუფთავების ჩატარების საშუალებას-ჯვარედინი მიკრობული კონსტამინაციით, მტვრისა და ჭუჭყის დაგროვებას, ასევე პროდუქციის ხარისხზე სხვა უარყოფითად მოქმედი ფაქტორების თავიდან აცილების მიზნით.

GMP-ის სტანდარტების დაცვა გულისხმობს იმას, რომ წამლის წარმოების მაღალტექნოლოგიური პროცესები და შესაბამისი აპარატურა-დანადგარები საკმარისი არაა, თუ საწარმოო უბანზე არ იქნა სტერილური ჰაერი, ტემპერატურეს, ტენიანობის და წნევათა თანაფარდობის მუდმივი რეჟიმი. საწარმოს კედლები და იატაკი დაფარული უნდა იყოს ისეთი მასალით, რომელიც გარეცხვისა და სადეზინფექციო ხსნარებით დამუშავების იდეალურ პირობებს ქმნის.

ფარმაცევტულ საწარმოს უნდა გააჩნდეს საწარმოო ზონა, მზა პროდუქტის წარმოება, ნედლეულისა და მასალების საწყობი, შესაფუთი, პერსონალის ჰიგიენის უზრუნველსაყოფად და მომსახურებისათვის საჭირო ადგილი, სპეციალური ადგილი უკან მიბრუნებული და წუნდებული პროდუქციისათვის, კაბინეტი ხელძღვანელი პირობებისათვის (ადმინისტრაცია). ფარმაცევტული საწარმო განეკუთვნება ფარმაცევტულ დაწესებულებას, რომელიც სათანადო საცარმოო-ტექნოლოგიური რეგლამენტით, ფარმაკოპეის სტატიის მოთხოვნათა სრული

დაცვით სამკურნალო საშუალებების სერიულად გამოშვებას აწარმოებს. ქართული ფარმაცევტული წარმოებისათვის ფაქტობრივად გამოკვეთილია წარმოების პრინციპების მთავარი ორიენტირი ფარმაცევტული წარმოების პრინციპების ევროსტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

განვითარებული ფარმაცევტული საწარმოები განუხრელად იცავენ GMP-ის სტანდარტებსა და მოთხოვნებს. მისი ძირითადი პრინციპები ეფუძნება იმ მოთხოვნებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია ხარისხიანი, ეფექტური და უსაფრთხო წამლების დასამზადებლად. GMP-ის სტანდარტის მიხედვით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მზა პროდუქციის ხარისხს. ფარმაცევტულ საწარმოებში მზა სამკურნალო საშუალებათა მომზადება ხორციელდება ტექნოლოგიური რეგლამენტითა და საწარმოო ინსტრუქციებით, რომლებიც მუშავდებოდა დამოუკიდებლად თითოეულ საწარმოში.

რეგლამენტი - წამლის წარმოების ტექნოლოგიური პროცესი ხორციელდება ნორმა-ტიულ-ტექნიკური დოკუმენტის საფუძველზე (ნტდ - არის დოკუმენტი, რომლებიც ადგენენ წესებს,საერთო პრინციპებსა და განსაზღვრულ მეთოდებს). ლომლებიც წარმოდგენილია ორი რეგლამენტის სახით: ტექნოლოგიური რეგლამენტი, რომელიც ეხება კონკრეტული დასახელების პროდუქტის წარმოებას და ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც მოიცავს მოთხოვნებს აღჭურვილობის კომპლექსისადმი და მისი უსაფრთხო ექსპლუატაციისადმი მოცემულ საცარმოო ნაცილში ან მოცემულ საამქრო-

ში. რეგლამენტის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა 1995 წელს ივლისის თვეში ისლანდიაში, რეიკიავიკში PIC-ის (Pharmaceutical Inspection Convention) მიერ წამლის ხარისხის კონტროლის ოფიციალური ლაბორატორიისთვის ევროსტანდარტის 45001-ის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები: 45002 და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციები. პროდუქციის შემუშავების სტადიის, მისი წარმოების ათვისების, ხარისხის და სამუშაო მიზნების გათვალისწინებით ტექნოლოგიური რეგლამენტი იყოფა: დროებითი და სამრეწველო.

დროებითი-ტექნო-ლო-გიური რეგლამენტი რომლის მიხედვითაც სრულდება ლაბორატორიული და კვლევითი სამუშაოები, მზადდება სამკურნალწამლო საშუალებების საცდელი პარტიები კლინიკამდელი და კლინიკური კვლევების ჩასატარებლად. სამრეწველო- რომელიც განსაზღვრავს წარმოების ხაზს.

ტექნოლოგიური რეგლამენტი წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს, რომელშიც განსაზღვრულია, ცალკე აღებულ საწარმოში კონკრეტული ფარმაცევტული პროდუქტების წარმოების: ტექნოლოგიური პროცესი, ტექნიკური საშუალებები, ნედლეული და მასალები, მათი ხარისხი და ხარჯები, მუშაობის უსაფრთხოების, შრომის დაცვის და სანიტარულ - ჰიგიენური ნორმები. პროდუქციის დამუშავების სტადიის, მისი ტექნოლოგიური პროცესის ათვისების ხარისხის ან

ტექნოლოგიური სამუშაოების მიზნიდან გამომდინარე ტექნოლოგიური რეგლამენტი არის: 1. ლაბორატორიული – რეგლამენტი არის დოკუმენტი, რომელიც უნდა დასრულდეს ლაბორატორიულ პირობებში, ტექნოლოგიურ წარმოებაში ახალი ტექნოლოგიური მეთოდის ან სერიულად გამოსაშვები ახალი სახეობის პროდუქციის ათვისებისათვის განკუთვნილი მეცნიერული კვლევა. 2. საწარმოო – რეგლამენტი არის სასაქონლო პროდუქციის მოქმედი სერიული წარმოების ტექნოლოგიური დოკუმენტი. 3. ტიპური – ტექნოლოგიური რეგლამენტი არის დოკუმენტი, რომელიც ცალკე აღებულ საწარმოსათვის განსაზღვრავს ერთგვაროვანი ჯგუფის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიურ მეთოდებს, ტექნიკურ საშუალებებს წარმოების პროცესისათვის, გამოსაყენებელი ნედლეულის და მასალების ხარისხისა და ხარჯის ნორმებს, განაპირობებს უსაფრთხო მუშაობას და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. ტექნოლოგიური რეგლამენტი კატეგორიის მიუხედავად შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან: 1. მზა პროდუქციის დახასიათება. 2. წარმოების სქემა და ტექნოლოგიური პროცესები: წარმოების ბლოკ-სქემა, ტექნოლოგიური პროცესების აღწერა, მატერიალური ბალანსი. 3. წარმოების კონტროლი. 4. დანართი: დამზადების ტექნოლოგიური ინსტრუქციები ჩამონათვალი, ოქმის ფორმების ჩამონათვალი. რაც შეეხება, ტექნიკურ რეგლამენტს იგი მოიცავს საწარმოო სათავსოების და პერსონალის მო-

მზადებას სამუშაოდ, წარმოებისათვის აუცილებელი სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შექმნას, შრომეს, ტექნოლოგიურ, სახანძრო უსაფრთხოებასთან, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულებას, აღჭურვილობის კვალიფიცირებულ, ექსპერტურ ექსპლუატაციას, რომელიც იძლევა ნტდ-ს მოთხოვნების შესაბამისს სამკურნალო საშუალებების მიღების გარანტიას. თექნიკური რეგლამენტი გამოიყენება, როგორც ძირითადი დოკუმენტი: 1. დამუშავების პროცესში მყოფი ქიმიურ-ფარმაცევტული პროდუქციის წარმოების დროს კლინიკამდელი და კლინიკური შესწავლისათვის და ასევე წარმოებაში ახალი პროდუქციის დამოშვების დანერგვისას. 2. სერიულად წარმოებული ქიმიურ-ფარმაცევტული პროდუქციის და მისთვის განკუთვნილი ნახევარპროდუქტის წარმოების დროს. 3. ტექნიკური უსაფრთხოების, სამრეწველო სანიტარიის და ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებების საწარმოო ინსტრუქციების შედგენისას. 4. წარმოების ნარჩენების უტილიზაციისა და სამრეწველო ჩამონალვარი წყლების გასუფთავება-გაუვნებელყოფის ღონისძიებების განხორციელების დროს. 5. სამრეწველო წარმოების დაგეგმარებისას. ისევე როგორც ტექნოლოგიური, ასევე ტექნიკური რეგლამენტიც შედგება განყოფილებებისაგან: 1. წარმოების ზოგადი დახასიათება. 2. აპარატურული სქემა, აღჭურვილობის სპეციფიკა და საკონტროლო გამზომი ხელსაწყოები. 3. ტექნოლოგიური აღჭურვილობის ექსპლუატაცია სა საკონტროლო გამ-


ზომი ხელსაწყოები. 4. ხარისხის სისტემის სქემა. 5. წარმოების უსაფრთხო ექსპლუატაცია და გარემოს დაცვა. 6. წარმოების ინსტრუქციების ზოგადი ჩამონათვალი. 7. საინფორმაციო მასალები: წარმოების ტექნიკური მდგომარეობის დანართი, სამკურნალწამლო საშუალებებზე საინფორმაციო დანართი.

GMP-ის მოთხოვნებთან მჭიდროდაა დაკავშირებული ვალიდაციის მცნება, რომელიც გულისხმობს სათანადო შემოწმების საფუძველზე კვალიფიციურ შეფასებასა და დოკუმენტურად გაფორმებული მტკიცებულებების წარმოდგენას იმის შესახებ, რომ წარმოების პროცესში გამოყენებული ყოველი მეთოდი, პროცესი, აღჭურვილობა, პროდუქტი და სისტემა ნამდვილად შეესაბამება თავის დანიშნულებას, საზღვრავს ადეკვატურად სრულდება თუ არა მისი დანიშნულება და უზრუნველყოფს ხარისხიან სამკურნალო საშუალებების სტაბილურ წარმოებას. ოპერაციას, რომელსაც გავლილი აქვს ვალიდაცია ეს არის უკვე ის ოპერაცია, რომელმაც აჩვენა იმის მაღალი გარანტია, რომ ერთი და იგივე პროდუქტის სერიები იქნება სტანდარტის შესაბამისი და ამიტომ იქნება მოწონებული. დეკვატური ვალიდაციის არსი მგომარეობს იმაში, რომ იგი აღრმავებს პროცესის შესწავლას, ამცირებს საწარმოო გართულებების რისკს და საშუალებას იძლევა სწორად წარიმართოს პროცესი და ასევე ამცირებს შესაბამობის რისკს.

ხარისხის მართვის მენეჯმენტი წარმოადგენს ორგანიზაციის მართვის სისტემის ნაწილს, რომლისთვისაც უპირატესობას წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფა, რაც გამოუხატება კლიენტის მოლოდინისა და საჭიროების დაკმაყოფილებას ხარისხიანი მომსახურებით. სწრაფად ცვალებადი გარემო და მზარდი კონკურენცია კომპანიებს დიდი გამოწვევის წინაშე აყენებს, ვერც ერთი კომპანია ვერ მიაღწევს წარმატებას თუ გაუმჯობესებისაკენ სწრაფვა მის მამოძრავებელ ძალას არ წარმოადგენს. ხარისხის სისტემა არის ორგანიზაციული სტრუქტურის, მეთოდების, პროცესების და რესურსების ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია ხარისხის მართვის განხორციელებაში. დაც შეეხება ხარისხის კონტროლს – ეს დაკავშირებულია სინჯების აღებასთან, ნორმატიულ დოკუმენტაციასა და ცდებთან. ჭარბობის ლიცენზიის მფლობელს უნდა გააჩნდეს ხარისხის კონტროლის განყოფილება. ეს განყოფილება წარმოების განყოფილებისაგან უნდა იყოს დამოუკიდებელი და მას უნდა ხელმძღვანელობდეს სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პირი. საწარმოს უნდა გააჩნდეს ხარისხის კონტროლის ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილი უნდა იყოს თანამედროვე ტექნიკით, ძირითადი ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების, დაფასოებული და მზა პროდუქტის ანალიზისათვის საჭირო ადეკვატური ტექნიკური საშუალებებით. ხარისხის უზრუნველყოფა – ყოვლისმომცველი მცნებაა, რომელიც მოიცავს პროდუ-

ქციის ხარისხზე მოქმედ ყველა საკითხს ცალ-ცალკე ან ერთნაირად, ასევე ორგანიზაციულ ღონისძიებათა მთელი ერთობლიობაა, რომელიც ტარდება სამკურნალო საშუალებათა ხარისხის შესაბამისობის გარანტიით მათ დანიშნულებასთან. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ქარმოება აუცილებელია დაკომპლექტებული იყოს საკმარის რაოდენობის მაღალკვალიფიციური პერსონალით. თითოეულმა თანამშრომელმა უნდა იცოდეს თავისი უფლება-მოვალეობები და ნათლად უნდა ესმოდეს მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობა, ეს ყველაპერი კი უნდა აისახოს თანამდებობრივ ინსტრუქციებში. ყველა თანამშრომელმა დასაქმებამდე უნდა გაიაროს ინსტრუქტაჟი სათანადო საქარმოო პრაქტიკის პრინციპებისა და წესების შესახებ. საქარმოო ზონაში აკრძალულია სმა-ჭამა, თამბაქოს მოწევა და

ასევე პირადი მედიკამენტების შენახვა. ყველა საწარმოს უნდა გააჩნდეს დოკუმენტაციის პაკეტი: ტექნოლოგიური და ტექნიკური რეგლამენტი, სახელმწიფო ფარმაკოპეა, სახელმწიფო სტანდარტები, ნორმატიულ ტექნიკური დოკუმენტი და სხვ. სამკურნალო პრეპარატების ხარისხის კონტროლი წარმოებს ფარმაკოპეასა და GMP-ის კრიტერიუმებით. ხარისხის მართვა მოიცავს პროდუქციის ხარისხის საჭირო დონის დადგენას, უზრუნველყოფასა და შენარჩუნებას მისი პროექტირების, წარმოების და ექსპლუატაციის პროცესში. სამკურნალო პრეპარატების ხარისხს, უნდა აღინიშნოს, რომ წამალი სპეციფიკური პროდუქტია, რომლის ხარისხის განსაზღვრას მომხმარებელი ვერ მოახერხებს, ამიტომ ამ ფაქტის გათვალისწინებით მუდმივად ფორმირდება სამკურნალო პრეპარატების ხარისხ-



ის კონტროლის ისეთი საშუალებები, როგორცაა ფარმაკოპეა და GMP. წარმოებაში ხდება ეტაპობრივი კონტროლი, რაც უზრუნველყოფს საბოლოო პროდუქტის ხარისხს.


ფარმაცევტული საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა დამოკიდებულია გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტსა და საწარმოს სიმძლავრეზე. ცალკეულ საწარმოში შეიძლება ორგანიზებულ იქნას შემდეგი დამოუკიდებელი განყოფილებები: გალენური, სატაბლეტე, საამპულე, საფასო, შესაფუთი და ტექნიკური კონტროლის განყოფილება.

საწარმო აწარმოებს ტაბლეტებსა და ამპულებს, ამიტომ PDCA ციკლი საშუალებას გვაძლევს სწორად გამოვუყენოთ ის ოთხი ეტაპი, რომლისგანაც შედგება დემინგის ციკლი.

1. Plan- დაგეგმა, ამ ეტაპზე ხდება პროცესის დადგენა და მისი მიზნების განსაზღვრა, რომლებიც აუცილებელია მომხმარებელთა მოთხოვნისა და ორგანიზაციის პოლიტიკის შესაბამისი შედეგების მისაღწევად.

2. Do- შესრულება ანუ წინა ეტაპზე დაგეგმილი პროცესის განხორციელება.

3. Check- ეს ეტაპი მნიშვნელოვანია იქიდან გამომდინარე რომ, აქ ხდება ზემოთ დაგეგმილი პროცესისა და პროდუქციის



მუდმივი მონიტორინგი და კონტროლი, რათა დადგინდეს შესაბამისობა დასახულ მიზნებთან და პროდუქციის ხარისხის მოთხოვნებთან. 4.ACT- ეს ეტაპი საშუალებას გვაძლევს განხორციელებდეს კონტროლის შედეგად აღმოჩენილი უზუსტობების მუდმივი გაუმჯობესება. (საკოტროლოწერტილები).

წამალთა ბაზრის კონიუნქტურის შესწავლა საშუალებას გვაძლევს სწორად და დროულად იქნას გათვალისწინებული მოთხოვნის ცვლილება დასაწარმოში ოპერაციული კორექტირების შეტანა. ბაზრის კონიუნქტურის ანალიზისას შესწავლიან ქარმოების დინამიკას, მოცულობას, სტრუქტურას, ქიმიო-თერაპევტული საშუალებების მოხმარების მოთხოვნის სიდიდეს. ისიც უნდა ითქვას, რომ ბაზრის კონიუნქტურის შესწავლისას აუცილებელია ანალიზი გაუკეთდეს ფარმაცევტული საქონლის მომხმარებლის სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ სტრუქტურებს, ასაკს და პროფესიულ დონეს, ფულადი შემოსავლის დინამიკას, გარდა ამისა, შესწავლილი უნდა იქნას ჯანმრთელობაზე მოქმედი მავნე გარემო ფაქტორები და საცხოვრებელი პირობები. მასასადამე, ბაზრის კონიუნქტურის შესწავლა მოიცავს არა მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორების და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიული შემადგენლობის ანალიზს, არამედ მოსახლეობის ჯანმ-

რთელობის მდგომარეობას და მასზე მოქმედ ფაქტორებს მსოფლიო ეკონომიკაში ფარმაცევტული ბაზარი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მაღალშემოსავლიან და სწრაფადმზარდ სექტორს. მრეწველობის დანარჩენ დარგებთან შედარებით, სადაც შემოსავლიანობის საერთო მაჩვენებელი საერთო მაჩვენებელთან შეადგენდა 5%-ს, ფარმაცევტულ სექტორში კი ეს მაჩვენებელი აღწევს 18%-ს წელიწადში. რეპარატების რეალიზაციის ზრდა განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით, რომელთაგან უპირველესია დაავადების ზრდა ტექნოლოგიური ფაქტორების გაძლიერებული ზეგავლენითა და გაუარესებული ეკოლოგიური ფაქტორებით. მაგრამ ფარმაცევტური ბაზრის ძირითად პრობლემას წარმოადგენს კვლევებზე დახარჯული ფინანსების მკვეთრი ზრდა. დღევანდელი მონაცემებით ერთი ახალი პრეპარატის შემუშავებისათვის ხარჯები 800 მილიონ აშშ დოლლარს, ექსპერტთა მონაცემებით ეს თანხა მილლიარდ აშშ დოლარამდე გაიზრდება. მიუხედავად ამისა, ფარმაცევტული ბაზარი კვლავ განაგრძობს ზრდას, თუ აქამდე მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნებოდა ჩრდილოეთ ამერიკაში, არსებული მონაცემების მიხედვით მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება ჩინეთში, ლათინურ ამერიკაში, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპაში.

*სალომე მამულაშვილი,
ანა ახვლედიანი*

ფარმაცევტული ბაზა



▪ ქვეყანა რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, გაცილებით საწრაფად იცვლება, ვიდრე მსოფლიო, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის მაინც. სწრაფად იცვლება ჩვენი მოთხოვნილებები, დამოკიდებულება ქვეყნის მიმართ და გვინდა, იგი უფრო ლამაზი და ძლიერი იყოს. ვხედავთ, თუ როგორ იზრდება და ვითრდება ერი, რომელიც ახალი ცხოვრების დაწყებას იმ კანონებით ცდილობს, რომლითაც ადრე არასდროს უცხოვრია.

▪ საბაზრო ეკონომიკაზე ქვეყნის გადასვლასთან ერთად მნიშ-

ვნელოვნად შეიცვალა ფარმაცევტულ დაწესებულებათა საქმიანობის ფორმები და მეთოდები. ხარისხიანი, ეფექტური და უსაფრთხო წამლებით მოსახლეობის უზრუნველყოფა დამოკიდებულია ფარმაცევტული დაწესებულების მუშაობის დონეზე, ფარმაცევტული საქმიანობის ხარისხზე, სამკურნალო საშუალებებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნების მოწოდების ორგანიზაციაზე. მნიშვნელოვანი გახდა აგრეთვე ექიმებისა და ფარმაცევტების საქმიანობის მიზანმიმართული და სწორი კოორდინირება.

▪ ეხლა კი უშუალოდ მინდა მოგახსენოთ ფარმაცევტული ბაზის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ის, რა სტრუქტურაა და რა ფუნქციები აკისრია .

▪ ფარმაცევტული ბაზა არის ფარმაცევტული დაწესებულება, რომლის საქმიანობა მოიცავს: სამკურნალო საშუალებების შექმნას, შენახვას, ხარისხის კონტროლს, იმპორტს, ექსპორტს და სხვა სამედიცინო დაწესებულებებზე საბითუმო გაცემას.

▪ ბაზა იურიდიული პირია, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი ანგარიშსწორებისა და სხვა ანგარიშები ბანკში. ასევე ბეჭედი, შეუძლია ჰქონდეს ემბლემა და სარეკლამო ნიშანი.

▪ ფარმაცევტული ბაზა უნდა განთავსდეს არანაკლებ 200 კვ.მ. ფართის იზოლირებულ კაპიტალურ სათავსში, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მისი მუშაობის მოცულობას და შინაარსს.

▪ ბაზა უნდა აღიჭურვოს შესაბამისი ინვენტარით, ავეჯით, მოწყობილობა-დანადგარებით, ტრანსპორტით, სატვირთო სამუშაოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშვალებებით, ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკით.

▪ ბაზის თანამშრომლები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სანიტარული და სპეციალური ტანსაცმლით, ფეხსაცმლითა და იდივიდუალური დაცვის სასვალებებით.

▪ ბაზაში დაცული უნდა იქნეს სამკურნალო საშვალებების და სამედიცინო დანიშნულების საგნების განთავსებისა და შენახვის პირობები.

ბაზა შეიძლება იყოს სახელმწიფო და კერძო. ფარმაცევტ-

ული ბაზა ითვლება დაფუძნებულად და იძენს იურიდიული პირის უფლებას მას შემდეგ, როდესაც გატარდება რეგისტრაციაში და მიიღებს ფარმაცევტულ საქმიანობაზე ლიცენზიას

▪ თუ ბაზას თავისი სტრუქტურაში არა აქვს წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორია, მაშინ იგი აფორმებს ხელშეკრულებას ჯანდაცვის მიერ ლიცენზირებულ და აკრედიტირებულ ხარისხის კონტროლის ლაბორატორიასთან.

▪ ბაზის დირექტორი უნდა იყოს უმაღლესი ფარმაცევტული განათლების მქონე სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს დარგში სპეციალობით მიშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი.

▪ დღესდღეობით მზასამკურნალო საშუალებების მწარმოებელ მრავალ ქვეყანაში ოფიციალურად აღიარებულია მოთხოვნები, რომლებიც აწესრიგებენ სამკურნალო საშუალებების ორგანიზაციის, წარმოების პროცესის მსვლელობისა და ხარისხის კონტროლის საკითხებს.

▪ „ხარისხი უპირველეს ყოვლისა“

▪ აღნიშნული მოთხოვნა წარმოადგენს სათანადო საწარ-

მოო პრაქტიკის ქვაკუთხედს. კონტროლი ამ პროცესში განიხილება, როგორც დამხმარე საშუალება, რომელიც ადასტურებს თუ რამდენად პასუხობს წარმოებული სამკურნალო საშუალებების ხარისხი ზემოთაღნიშნულ მოთხოვნებს.

▪ ხარისხის კონტროლი წარმოადგენს GMP-ის ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია ნიმუშის შერჩევასთან, ნორმატულ დოკუმენტაციასა და კვლევებთან. ხარისხის კონტროლი არ უნდა იფარგლებოდეს მხოლოდ ლაბორატორიული კვლევებით, აუცილებელია რომ იგი იყოს დაკავშირებული ყველა პროცედურასა და პასუხისმგებლობასთან დადგენილების გამოტანისას, რომელიც ეხება პროდუქციის ხარისხს.

▪ ხარისხის კონტროლს წაყენება შემდეგი ძირითადი მოთხოვნები: ბაზას უნდა გააჩნდეს აუცილებელი ტექნიკური საშუალებებილი, მომზადებული პერსონალი, ნიმუშის შერჩევის, კონტროლისა და ნედლეულის, მასალების, შუალედური და მზა პროდუქციის კვლევის დამტკიცებული მეთოდიკები.

▪ დაახლოებით 140 სახელმწიფო შეუერთდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას საერთაშორისო ვაჭრობაში მედიკამენტების ხარისხის სერთიფიკაციის სისტემას, რომლებიც მზადდებიან სათანადო საწარმოო პრაქტიკის (GMP) სტანდარტებით.

▪ პირველად ასეთი მოთხოვნები ფორმულირებულ იქნა 1963წელს აშშ-ში -ის წესების ან სათანადო საწარმოო პრაქტიკის სახით. 60-იანი წლების დასასრული და 70-იანი წლების დასაწყისი ითვლება GMP-ის კონცეფციის ფართო გავრცელების პერიოდად

▪ GMP-ის კონცეფციას საფუძვლად უდევს სამკურნალო საშუალებათა კონტროლიდან ხარისხის უზრუნველყოფაზე გადასვლა.

▪ GMP-ის წესების სხვა დირექტივები არეგულირებს სამკურნალო საშუალებების გაფორმებასა და შეფუთვას, ხარისხის კონტროლს, სამკურნალო საშუალებების მიღების შემდეგ გამოვლენილი არასასურველი ეფექტების შესახებ მონაცემთა დამუშავება-განხილვას და ა.შ.

ფარმაცევტული ბაზა



ფარმაცევტული ბაზა ეს არის დაწესებულება, რომლის საქმიანობაა სამკურნალო საშუალებების შექმნა, შენახვა, ხარისხის კონტროლი, იმპორტი, ექსპორტი და სხვა სამედიცინო დაწესებულებებზე საბითუმოდ გაცემა. ასევე იგი სამეურნეო ობიექტია, რომელიც დასაქმებულია სამკურნალო საშუალებებზე, მის საწარმოო ნედლეულზე, სამედიცინო დანიშნულების საგნებზე და პარაფარმაცევტულ ნაწარმზე შეკვეთის მიღებით.

მისი ძირითადი ამოცანაა სააფთიაქო და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მომარაგება სამკურნალო პრეპარატებითა და სამედიცინო დანიშნულების საგ-

ნებით და ასევე სხვა ნებადართული საქონლით.

ბაზა იურიდიული პირია და აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშსწორება და სხვა ანგარიშები ბანკში, აქვს შტამპი, ემბლემა, ბეჭედი, სარეკლამო ნიშანი და სხვ.

ბაზა უნდა ასრულებდეს შემდეგ ძირითად ფუნქციებს :

* ღებულობდეს მომწოდებლთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად ხარისხისა და ვადების გათვალისწინებით სამედიცინო დანიშნულების საგნებს და სამკურნალო საშუალებებს.

* უზრუნველყოფდეს მათ შენახვას ფიზიკო-ქიმიური თვისებებითა და ფარმაკოპეის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

* უზრუნველყოფდეს საქონლის მიღებას, შენახვასა და გაცემის პროცესში ვადების კონტროლს.

* აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი ინვენტარებით, ავეჯით, მოწყობილობა-დანადგარებით, კომპიუტერული ტექნიკით და ა.შ.

ბაზის კარგად ორგანიზებული საქმიანობა უზრუნველყოფს აფთიაქებისა და სხვა სამედიცინო დაწესებულებების დროულ მომარგებას სამკურნალო საშუალებებით და სამედიცინო საქონლით.

ბაზა უფლებამოსილია :

* შეიძინოს სამკურნალო საშუალებები და სამედიცინო დანიშნულების ნაწარმი მხოლოდ ლიცენზირებული მწარმოებლისგან.

* ბითუმად გასცეს ბაზარზე სამკურნალო საშუალებები და სამედიცინო დანიშნულების საგნები - ფარმაცევტულ ბაზარზე, აფთიაქებზე, საწარმოზე - ნედლეული, დამხმარე ნივთიერებები და სხვ.

* აწარმოოს სამკურნალო საშუალებების ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი, გადაზიდვა-გადმოზიდვა, შექმნა, შენახვა, ხარისხის კონტროლი, დახარისხება და ა.შ.

საქართველოს ფარგლებში ბაზას უფლება აქვს შეიძინოს სპეცკონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებები, მხოლოდ ლიცენზირებული იურიდიული პირებისგან და გასცეს მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის მქონე პირებზე. მისი მიღება წარმოებს მხოლოდ ბაზის ღირებულების ბრამანებით გამოყოფილი მიმღები კომისიის მიერ.

ბაზაში შხამები, ნარკოტიკული საშუალებები, ძლიერმოქმედი ნივთიერებები უნდა ინახებოდეს შესაბამის სპეციალურ ოთახში, ცეცხლგამძლე სეიფში, ხოლო შხამთა შორის შხამები სეიფის შიდა განყოფილებაში. ოთახი დაცული უნდა იყოს რკინის კარებით. მათი გაცემა შეიძლება სათანადო მოთხოვნის ან ერთჯერადი მინდობილობის საფუძველზე და უნდა იყოს დალუქულ მდგომარეობაში.

ფარმაცევტულ ბაზაში საწყობები უზრუნველყოფილი უნდა სრულყოფილი ინვენტარებით, აპარატურა დანადგარებით ასევე დაცული უნდა იყოს თითოეული მედიკამენტის შენახვისას განსაზღვრული ყველა პირობა, სპეციალური ტენიანობა, ტემპერატურა. პრეპარატების უმრავლესობა ოთახის ტემპერატურაზე შენახვას საჭიროებს, ამიტომ სასაწყობე სივრცეში ზამთარ-ზაფხულ სტაბილურად 22 გრადუსამდე. ხოლო სამაცივრე პრეპარატებისთვის საწყობი აღჭურვილია სპეციალურად დამონატაჟებული დიდი მოცულობის მაცივრებით. ასევე მაქსიმალურად მოწესრიგებული უნდა იყოს ცეცხლსაწინააღმდეგო სისტემა და სანჰიგიენური პირობები.

ამ ყველაფერს უზრუნველყოფს სათანადო შენახვის პრაქტიკა ანუ GSP (Good storage practice) მისი პრინციპები მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ შეიმუშავა ფარმაცევტულ ფედერაციასთან ერთობლივი თანამშრომლობით.

GSPP სახელმძღვანელო პრინციპები მოთხოვნებს უდგენს :

- * პერსონალს.
- * სათავსოს და მოწყობილობებს.
- * შენახვას.
- * გაცემას.
- * პროდუქციის ტრანსპორტირებას.
- * უკუკავშირს და ა.შ.

ბაზის ორგანიზაციული სტრუქტურა:

ბაზას აუცილებლად უნდა ჰქონდეს :

* წამლის შესანახი სათავსოები;

* საექსპედიციო;

* სამიმღებო;

ბაზაში მაქსიმალურად უზრუნველყოფილი უნდა იყოს სასაწყობო საშუალებები, ის ასრულებს ერთ-ერთ მთავარ ელემენტს ლოგისტიკურ არხში, რადგანაც სამარაგო საქონლის შენახვა და დაცულობა სპეციალურად კეთილმოწყობილ ადგილას ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს .

საწობში ხდება პროდუქციის შენახვა, დახარისხება, დაფასოება, სარეალიზაციოდ/გასაშვებად მომზადება საბითუმოდ ან საცალო ქსელის მომხმარებელზე.

საწყობი სასწყობო ტიპების მიხედვით შეიძლება იყოს: ღია, დახურული, ნახევრადდახურული;

საკუთების მიხედვით: ინდივიდუალური და კოლექტიური.

დანიშნულების მიხედვით: ზოგადი, საბაჟო, კონსიგნაციური.

ბაზის უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული ქვედანაყოფია სამიმღებო განყოფილება, რომელიც აწარმოებს მომწოდებლებიდან სამკურნალო საშუალებების და სამედიცინო დანიშნულების საქონლის მიღებას. ასევე აწარმოებს შემოსულ ტვირთებზე ოპერატიულ კონტროლს და რეგისტრაციას შესაბამის ჟურნალში. პასუხისმგებელია საქონლის დაგვიანებით მიღებაზე, უხარისხო პროდუქციაზე, დოკუმენტაციის არასწორ

გაფორმებასა და ფასეულობათა შენახვაზე.

ბაზის შიდა საშუალებების ეფექტურად წარმართვა დამოკიდებულია მექანიზაციის საშუალებების სწორედ შერჩევაზე. სადაც სრულდება დიდი მოცულობის სატრანსპორტო და სატვირთო საშუალები, ამიტომ ბაზა ალტურვილი უნდა იყოს სხვადასხვა ავტომობილებით, კონტეინერებით, ურიკებით, ტვირთის ვერტიკალური და ჰორიზონტალური გადაადგილების საშუალებებით.

სწორედ ამას შეისწავლის „ლოგისტიკა“ ანუ საქონლის მიმოქცევასა და მისი გადაადგილების გზებს.

თანამედროვე პრაქტიკამ და სტატისტიკურმა მონაცემებმა ცხადყო, რომ ლოგისტიკური პრინციპების გათვალისწინება იწვევს მატერიალურ ფინანსური ხარჯების 30-70%-ით შემცირებას, რაც მოიაზრებს საქონლის დასაწყობების დროის შემცირებას, საქონლის მიმოქცევის დაჩქარებას მის მწარმოებლიდან მომხმარებელამდე და ამით ეკონომიკური ეფექტურობის გაზრდას საქონელბრუნვის სისტემაში.

ლოგისტიკაში შუამავალი, რომელიც ახორციელებს სავაჭრო ოპერაციებს მწარმოებელსა და საცალო რეალიზატორს შორის დისტრიბუტორი ეწოდება. დისტრიბუტორი არის სამეურნეო სუბიექტი, რომელიც ფლობს შესაბამის ლიცენზიას სამკურნალო საშუალებების საბითუმო რეალიზაციაზე და ახორციელებს

შესაბამის საქმიანობას დისტრიბუციაში.

სამკურნალო საშუალებების ხარისხის შესანარჩუნებლად დისტრიბუტორებს წაეყენებათ - ის მიხედვით შემდეგი მოთხოვნები:

- დისტრიბუციას ექვემდებარება მხოლოდ სახელმწიფოში რეგისტრირებული მედიკამენტები.

- მუდმივად უნდა ხდებოდეს სამკურნალო საშუალებების შენახვის პირობების დაცვა, როგორც საწყობში ასევე მათი ტრანსპორტირებისას.

- სამკურნალო საშუალებები უნდა ინახებოდეს გარემო ფაქტორებისგან შემოქმედების უსაფრთხო ადგილას, რომელიც მოიცავს ფიზიკურ და ატმოსფერულ შემოქმედებას.

- სამკურნალო საშუალებების უსაფრთხო მიწოდება დამკვეთზე, წინასწარ შეთანხმებული პირობებისა და დროის შუალედის გათვალისწინებით უნდა მიმდინარეობდეს.

ისეთმა მსხვილმა კომპანიებმა როგორცაა ბაზა უნდა შეიმუშაოს შესაბამისი მომსახურების სტანდარტ-

ები, ეს გარკვეული წესია, რომელიც შეიცავს ისეთ ორგანიზაციულ მომენტებს, რომელიც სერვისის მაღალი ხარისხის გარანტიას იძლევა, ის რაც ბოლომდე დააკმაყოფილებს მომხმარებელს. ბაზის წარმატებულად და ეფექტურად წარმართვისთვის მნიშვნელოვანია მმართველს შერჩეული ჰყავდეს უმაღლესი განათლების და დიდი გამოცდილების მქონე პერსონალი როგორც ფარმაცევტები, ასევე ბუღალტრები, მარკეტოლოგები და ა.შ. მარკეტინგის განყოფილება ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას ასრულებს, იგი განსაზღვრავს ფარმაცევტული ბაზრის პროგნოზებს ასევე სასაქონლო, გასაღების და კომუნიკაციურ პოლიტიკას.

ფარმაცევტული ბაზა ფარმაცევტულ საქმიანობაზე კონტროლს ახროციელებს წამლის სააგენტოს ფარმაცევტული ინსპექცია. ბაზის სამეურენო-ფინანსურ საქმიანობაზე კონტროლს, რევიზიას ნებისმიერ დროს და ნებისმიერი შუალედებით ახორციელებს მესაკუთრე, ასევე სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოები.

ხათუნა შონია
თანაავტორები: ვალერიან გადილია,
ნოდარ აკობია


ფარმაცევტული საწარმო, ხარისხის მენეჯმენტის სისტემა და GMP.



თუკი ადრე ფარმაცევტები მხოლოდ წამლის რეალიზატორად გვევლინებოდნენ, დღეს ისინი აღიქმებიან, როგორც ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთი მთავარი სუბიექტები, რომელთა პროფესიულ როლს „წამლის მომარაგება-გაცემის“ ფუნქციის გარდა მოიცავს: ავადმყოფისათვის კვალიფიციური რჩევის მიცემას, კონსულტაციებს ჯანდაცვის მუშაკებთან, რაციონალური მკურნალობის საკითხებთან დაკავშირებით და ა.შ. საბაზრო ეკონომიკაზე ქვეყნის გადასვლასთან ერთად მნიშვნელოვნად შეიცვალა ფარმაცევტული დაწესებულების საქმიანობის სტილი. პარ.დაწ.არის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ფარმაცევტულ საქმიანობას დადგენილი წესით. „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის“ შეახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ფარმაცევტული დაწესებულება განეკუთვნება :აფთიაქი, აფთიაქის ფილიალი, არმაცევტული ბაზა,

- ფარმაციის ორგანიზაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაპროფილებელი ფარმაცევტული დისწიპლინაა, რომელის ფარმაცევტის როგორც სპეციალისტის პროფილს განსაზღვრავს.

ფარმაცევტული საქონლის მოძრაობის გზა



წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორია და ა.შ. სამკურნალო საშუალება რომელიც მიეწოდება მოსახლეობას ხორციელდება აფთიაქების მეშვეობით, რომელიც მარაგებიან ლიცენზირებული ფარმაცევტული საწარმოდან.

ფარმაცევტული საქონლის მოძრაობის გზა ასე შეიძლება გამოისახოს:

- წამლის დამზადება დამზადება აფთიაქში პრაქტიკულად აქა იქ თუ ხდება, ამდენად მცირე და საშუალო ზომის საწარმოები ნაწილობრივ მაინც იღებენ თავის თავზე ისეთი პროდუქციის გამოშვებას, რომელიც ავსებენ ფარმაცევტულ ბაზარს: ნაყენებით სითხოვანი ექსტრაქტებით და სხვა წამლის ფორმით. მათი სამრეწველო საწარმოების უდიდესი წილის კერძო სექტორის ხელშია, რამაც დააჩქარა მეცნიერებისა და ტექნიკის მიხვევათა დანაერგვითი ღონისძიებათა განხორციელება.

- ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა და მოწყობილობათა მოდერნიზაცია. ცალკეულ საწარმოში შეიძლება ორგანიზებული იქნეს დამოუკიდებლად შემდეგი ნსაწარმოები, გალენური, სატაბლეტე, საამპულე და ა.შ.

- უფრო მსხვილ საწარმოებს აქვთ მარკეტინგის მომარაგებისა და გასარების, ასევე საფინანსო, რეგისტრაციის დაცვის და სხვა განყოფილებები. ფარმაცევტული საწარმო განთავსებული უნდა იყოს არასაცხოვრებელ შენობა ნაგებობებში.

- საწარმოს კედლები, ჭერი და იატაკი უნდა იყოს გლუვი ზედაპირით დაფარული, რომელისც ადვილად ირეცხება და სუფთავდება.

- წარმოება საჭიროა დაკომპლექტებულ იქნას მარალკვალიფიციური პერსონალით. ყველა მუშაკი, რომელიც იმყოფება საწარმოს ტერიტორიაზე აუცილებელია ატარებდეს დამცავ ტანსაცმელს.

- საწარმო და სასაწყობო ზონაში აკრძალულია ჭამა, სმა, თამბაქოს მოწევა. შენობა დანადგარები ისე უნდა იყოს დაპროექტებული, განლაგება და აყვურვილი, რომ შეესაბამებოდნენ თავის დანიშნულებას და გამოსადეგი იყოს სამუშაოს ჩასატარებლად, მინიმუმამდე უნდა შეამციროს შეცდომის რისკი. ყველა საწარმოს აუცილებლად უნდა გააჩნდეს სათანადო დოკუმენტაცია.

- ტექნოლოგიური და ტექნიკური რეგლამენტი..


- სახელმწიფო ფორმალობა.
- ფარმაცოპეის სტატიები.
- ღრობითი ფარმაცოლოგიური სტატიები.

- სახელმწიფო და დარგობრივი სტანდარტები.

- ტექნიკური პირობები..

- სამკურნალო საშუალების წარმოების პროცესში დაუშვებელია მონაწილეობდნენ პირები, რომლებიც დაავადებულნი არიან, ასევე ის პირები რომლებსაც აქვთ ღია ცრილობები, საწარმოს პერსონალი სისტემატიურად უნდა გადიოდეს სამედიცინო შემოწმებას. ქართული ფარმაცევტული წარმოებისათვის ფაქტობრივად გამოკვეთილია

კომპანიის საქმეში პროცესიული მიდგომის პრინციპის დანერგვა




მთავარი ორიენტირი-ფარმაცევტული წარმოების პრინციპების ევროსტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. მსოფლიო განვითარებული საწარმოები განუხრელად იცავენ სატანდარტებს, რაც კარგ საწარმო პრქტიკას ნიშნავდა მისი ძირითადი პრინციპები ეფუძნება იმ მოთხოვნებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია ხარისხიანი, ეფექტური და უსაფრთხო სამკურნალო საშუალების დასამზადებლად. - ის წესების სხვა ღირებულებები არეგულირებს სამკურნალო სასუალებების გაფორმებას და შეფუთვისას, ხარისხის კონტროლს, "ხარისხიანი უპირველეს ყოვლისა". აღნიშნული მოთხოვნა წარმოადგენს საწარმო პრაქტიკის ქვეკუთხედს, მისიძირითადი კრიტერიუმებია: 1. ეფექტურობა და

უსაფრთხოება. 2. ნორმატიულ დოკუმენტის მოთხოვნის შესაბამისობა... 3. სამკურნალო საშუალებების მომხედება სატანადო საწარმო პრაქტიკის წესების დაცვით.

- ყოველ საწარმოს უნდა გააჩნდეს ხარისხის მენეჯმენტის სისტემა,იგი საშუალებას იძლევა უზრუნველყოილი იყოს: მომხმარებელის დაცვა უხარისხო პროდუქციისა და მომსახურებისაგან. კომპანიის გამჭირვალობა თანამშრომლებისათვის,პარტნიორებისათვის და საზოგადოებისათვის.

- კომპანიის საქმეში პროცესიული მიდგომის პრინციპის დანერგვა.

კომპანიის საქმეში პროცესიული მიდგომის პრინციპის დანერგვა.



• ამრიგად ხარისხის მენეჯმენტის სისტემა უზრუნველყოფს კომპანიის ისეთი ბიზნეს მოდელის სექმნას, სადაც პროდუქციის მიღების ყველა პროცესი და მომსახურება განიხილება, როგორც უწყვეტი ჯაჭვის ერთი რგოლი, რომლის ბოლოშიც დგას მომხმარებელი. წამლის წარმოების ტექნოლოგიური პროცესი ხორციელდება ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს იმ რეგლამენტის სახით: 1. ტექნიკური და 2. ტე-

ქნოლოგიური. რეგლამენტი საწარმოს ინტელექტუალური საკუთრებაა და წარმოადგენს სამეცნიერო ტექნიკური სახის კონფიდენციალურ ინფორმაციას. მისი გაცნობის უფლება აქვს ფარმაცევტული საქმიანობის ხარისხის მკონტროლებელ ორგანოს. რეგლამენტში შესული ნორმები და მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ დარგობრივ და დარგთა შორის დოკუმენტებს: სტანდარტებს, ფარმაცოპიის სტატიას, ტექნიკური პირობები, სამშენებლო ნორმები და წესები.

• მისი მოთხოვნები უნდა განაპირობებდეს გამოშვებული პროდუქციის ხარისხს, წარმოების პროცესის უსაფრტხოებას, მოწყობილობა-დანადგარების სწორ ექსპლუატაციას. რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

• ყოველივე ზემო აღნიშნულიდან ვფიქრობ, რომ ქართული ფარმაცევტული მრეწველობის განვითარება მოსალოდნელია შემდეგი მიმართებით. თუკი მოქმედი ფარმაცევტული საწარმო შეეცდება ევროსტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლას და დაიცავს - ის სტანდარტებს. გაიზრდება იმ საწარმოების რიცხვი. რომელიც იმუშავებენ ნახევარფაბრიკატებზე დაფასობაზე,

შეფუთვასა და მარკირებაზე. თითოეული საწარმოს მიზანი უნდა იყოს ინოვაციური. ფარმაცევტული საწარმოს წარმოება დამოკიდებულია საწარმო ხელმძღვანელის უდაოდ სწორი გეგმების შედგენაზე, რომელიც კარგად უნდა ერკვეოდეს ფარმაცევტულ წარმოებასა და ფარმაცევტული ბაზრის პერსპექტივებში. შემუშავებული უნდა ქონდეს ისეთი პორმები, რომელიც მომხმარებლის დაინტერესებას, მიწოდვას და ნდობის ფაქტორს გააღვიძებს. ამისთვის არსებობს რეკლამები, პრეზენტაციები. უნდა შეძლოს საკუთარი საქმის მოდერნიზაცია, ქონდეს ფართო ასორტიმენტი და მოსახლეობისთვის მისაღები ფასები.

ეკა ფერცულიანი

მიმართულება: მმართველობითი თეორიები და მისი ამოცანები ფარმაცევტულ მენეჯმენტში.

ხელმძღვანელი: ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი ნ. კორგასლიძე.

მენეჯმენტის განვითარების ისტორია

მენეჯმენტი, როგორც მეცნიერული დისციპლინის განვითარება, XIX საუკუნის ბოლოს დაიწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს განაპირობა იმ ობიექტურმა პროცესებმა რომლებსაც ადგილი ჰქონდა ამ ქვეყნის ეკონომიკაში. ინგლისურმა სიტყვამ „მენეჯმენტ“-მა ქართულად ბიზნესის „მართვა“ შეიძინა, ინტერნაცი-ონალური მნიშვნელობით იგი გულისხმობს ადამიანთა ხელმძღვანელობას სხვადასხვა ორგანიზაციებში. მარტივად მენეჯმენტი ნიშნავს დასახული მიზნის მიღწევის უნარს სხვა ადამიანების შრომის, ინტელექტის, ქცევის მოტივების გამოყენების საფუძველზე. ეს არის აგრეთვე სპეციალური ცოდნის დარგი, რომელიც ეხმარება მუშაკებს განახორციელონ მართვა ე.ი. დაეუფლოს მართვის მეცნიერებას. არსებობს განსხვავება შეხედულებებში მენეჯმენტსა და საბაზრო ეკონომიკის ურთიერთკავშირის თაობაზე. მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ მენეჯმენტის წარმოშობაში საბაზრო ეკონომიკამ გადამწყვეტი როლი შეასრულა. მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ამერიკული ეკონომიკა იქმნებოდა მენეჯმენტის ამერიკული ტიპის შესაბამისად.

ამრიგად ტერმინი „მენეჯმენტი“ ამერიკული წარმოშობისაა და სიტყვა-სიტყვით სხვა ენაზე არ ითარგმნება. ინგლისურენოვან ქვეყნებში მას იყენებენ ყოველთვის სამეურნეო საქმიანობის მართვასთან დაკავშირებით. თავისი არსით „მენეჯმენტი“ ტერმინი „მართვის“ ანალოგია, მაგრამ მის სინონიმად გამოცხადება მოკლებულია ჯეროვან საფუძველს. საქმე ის არის, რომ ტერმინი „მართვა“ გაცილებით ფართოა, ვიდრე მენეჯმენტი, რადგან მართვას ადგილი აქვს როგორც საზოგადოებაში, ასევე ბუნებაში, კერძოდ იგი უშუალო კავშირშია ადამიანის სხვადასხვა საქმიანობასთან. ხოლო „ტერმინი „მენეჯმენტი“ მიესადაგება ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციებს.

მენეჯმენტის მნიშვნელობა განსაკუთრებით კარგად წარმოჩნდა გასული საუკუნის 30-იან წლებში. ეს ის პერიოდია, როდესაც შეიქმნა გეგანტური კორპორაციები, რომლებიც ფლობდნენ უზარმაზარ ეკონომიკურ, საწარმოთ, მეცნიერულ და ტექნიკურ პოტენციალს, რამაც დასაბამი მისცა მენეჯერთა რეკოლუციას. მენეჯმენტს, როგორც მეცნიერებას, გააჩნია თავისი შესწავლის საგანი, რომელიც გულისხმობს ადამიანთა ურთიერთობებს მართვის

პროცესში. მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა მმართველობითი შრომის შინაარსის გარკვევა და შედეგს შორის კავშირის დადგენა, ფაქტებისა და პირობების გამოვლენა, რომელიც უფრო სასარგებლოს და ეფექტიანს ხდის ადამიანთა ერთობლივ შრომას. მენეჯმენტი ხელს უწყობს არა მარტო მიმდინარე საქმიანობის ოპერატიულად და ხარისხიანად მართვას, არამედ მოვლენათა განვითარების პროგნოზირებას და ამის შესაბამისად ორგანიზაციების სტრატეგიების და პრობლემების დამუშავებას.

მენეჯმენტი, როგორც მართვის მეცნიერების მეთოდოლოგია სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ანალოგია. მისი თეორიული მეთოდოლოგიური საფუძვლებია ფილოსოფია, ზოგადი ეკონომიკური თეორია და კიბერნეტიკა. შემეცნების პროცესში იგი იყენებს ინდუქციისა და დედუქციის, ანალიზის და სინთეზის, ინტერპოლაციის და ექსტრაპოლაციისა და სხვა მეთოდებს. მართვა მოიცავს ფირმის, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ, ისე ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარეებს. მართვის მეცნიერული მეთოდების დამუშავების აუცილებლობა, თავდაპირველად სამრეწველო რევოლუციამ წარმოქმნა. ამ პერიოდში უკვე შეუძლებელია სულ უფრო მზარდი წარმოების მართვა და საჭირო ხდებოდა ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც ახლად ფეხადგმულ კაპიტალიზმს ეფექტიანი განვითარების საშუალებას მისცემდა.

მენეჯმენტი, როგორც მართვის ხელოვნება, ნიშნავს მართვის თეორიას,

აგრეთვე მენეჯმენტის დარგში დაგროვილი მოწინავე გამოცდილების შემოქმედებით გამოყენებას, ორგანიზაციის პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტის დროს.

მართვა არის არა გარე იმპულსებზე პასიური რეაქცია კომპანიის გადარჩენის მიზნით, არამედ განვითარება საწარმო მიზნების ჩამოყალიბების და მიღწევის გზით. 50-იან წლებში მენეჯერები კონცენტრირებული იყვნენ ფუნქციებსა და პროცესებზე, დრუკერი კი ამტკიცებდა, რომ მართვა უნდა დავიწყოთ მიზნის ჩამოყალიბებით და მხოლოდ შემდგომ უნდა გადავიდეთ ფუნქციების ურთიერთქმედების და პროცესების ფორმირებაზე.


მართვა, როგორც პერსპექტიული საქმიანობა უკავშირდება ორგანიზაციების წარმოშობის პროცესს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ორგანიზაციათა ერთი ნაწილის მართვის სტრუქტურამ დროს გაუძლო და დღესაც არსებობს იმ სახით, როგორც ორგანიზაციის ჩამოყალიბების თავდაპირველ სტადიაზე იყო. ამის მაგალითია რომის კათოლიკური ეკლესია, რომელსაც დღესაც შენარჩუნებული აქვს მისი მართვის თავდაპირველი სტრუქტურა.

ორგანიზაციის ეფექტიანი საქმიანობისათვის მთავარი ფაქტორია ადამიანები. დრუკერის აზრით თანამედროვე ადამიანის მთავარი მოთხოვნილება, მისია არის საკუთარი თავის მართვა. ნაცვლად იმისა, რომ მხოლოდ ის აკეთოს, რასაც ეუბნებიან საკუთარი ადგილის პოვნის პროცესში. „ცოდნის ეკონომიკის მუშაკებისათვის“ ერთად-

ერთი კრიტერიუმი უნდა იყოს საკუთარი ფასეულობები. ამავე დროს მათ უნდა იკისრონ პასუხისმგებლობა ორგანიზაციებში არსებულ ურთიერთობებზე, ვინაიდან თანამედროვე ორგანიზაცია „ნდობას და ურთიერთგაგებას“ ეყრდნობა.

მართვის დონეთა რაოდენობის მიხედვით მენეჯერები ტრადიციულად იყოფიან 3 კატეგორიად:

ძირეული, საშუალო და უმაღლესი დონის ხელმძღვანელები.



ამრიგად მენეჯმენტი მოგვაგონებს მედიცინას, რომელიც მომავალ ექიმს აძლევს განათლებას და არა კონკრეტულ ცოდნას, როგორ უმკურნალოს კონკრეტულ (აღამიანს) ავადმყოფს.

მენეჯმენტის საფუძვლების დაუფლება მენეჯერს დიდად ეხმარება პირადი თვისებების განვითარებასა და ხელმძღვანელობის სტილის დახვეწაში, რათა წარმატებით შეასრულოს პრაქტიკულად მართველობითი მუშაობა. მენეჯერული აზროვნების განვითარება ძირითადად ევოლუციური პროცესია, რომელიც უწყვეტად მიმ-

დინარეობს და ორიენტირებულია როგორც მსოფლიო ეკონომიკურ პოლიტიკაში პანორამის ცვლილებებზე, ისე ორგანიზაციათა მიზნებზე, სტრატეგიებსა და ამოცანებზე.

მენეჯმენტის, მისი როგორც მეცნიერების ერთ-ერთი დარგის ფუძემდებლად ითვლებიან ამერიკელი ინჟინერი ფრედერიკ ტეილორი და მისი თანამოაზრეები. მან პირველმა განსაზღვრა მენეჯმენტი, როგორც „წარმოების ორგანიზაცია“. დაამუშავა მეც-

ნიერული მართვის პრინციპები, რომელსაც „ტეილორიზმი“ ეწოდა. მისი აზრით მენეჯმენტის პრინციპული მიზანი უნდა იყოს დამქირავებლის და თანამშრომლის მაქსიმალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა. სწორედ ამიტომ მეცნიერული მართვის სკოლის ფუძემდებლად ამერიკელი ინჟინერი ფრედერიკ ტეილორი ითვლება.

მენეჯმენტის შემდგომი განვითარება უკავშირდება ე.წ. ადმინისტრაციული მართვის კლასიკური სკოლის წარმოშობას. სკოლის განვითარება ორი მიმართულებით მიმდინარეობდა:

წარმოების რაციონალიზაცია და მართვის პროგრამების შესწავლა. ამ სკოლის მიზანი იყო მართვის ისეთი უნივერსალური პრინციპების შექმნა, რომლის გამოყენებაც აუცილებლად მოითხოვდა წარმატებას.

თანდათანობით ჩამოყალიბებას იწყებს ადამიანურ ურთიერთობათა ან სხვანაირად – მეცნიერული მენეჯმენტის ნეოკლასიკური სკოლა. ნეოკლასიკური და ბიჰევიორისტული სკოლების წარმომადგენლებმა აჩვენეს, რომ ადამიანთა ქცევის მოტივაცია ძირითადად არის არა ეკონომიკური, არამედ სხვა ხასიათის, რასაც ფულით ვერ დააკმაყოფილებს.

სკოლის ფუძემდებლები განიხილავდნენ რა ორგანიზაციას, როგორც ერთიან მთლიანს, თვლიდნენ, რომ ადმინისტრაციული პრინციპების მიხედვით უნდა აგებულიყო სტრუქტურა, რაც დაეხმარებოდა მენეჯერს შემდეგი ფუნქციების შესრულებაში. დაგეგმვა, ორგანიზება, კოორდინაცია და კონტრო-

ლი. ადმინისტრაციული პრინციპების შემუშავებაში მთავარი წვლილი შეიტანეს ანრი ფაიოფიმ, ჩასტერ ბერნარმა და სხვა.

მაშასადამე მართვის პროცესში რაოდ. მეთოდების გამოყენება ეხმარება მენეჯერს ორგანიზაციული სისტემების რთული პრობლემების ოპერატიულად გადაჭრაში. სისტემათა თეორიის საშუალო ხელმძღვანელობას შეუძლია უკეთ განსაზღვროს ფორმაში ურთიერთდამოკიდებულება ორგანიზაციის შემადგენელ ნაწილებს შორის, ხელმძღვანელობასა და მუშაკებს შორის, ორგანიზაციასა და გარე გარემოს შორის.

ამრიგად მენეჯმენტის როგორც მეცნიერების წარმოშობის კვლევისას ვრწმუნდებით, რომ იგი ცარიელ ნიადაგზე არ წარმოშობილა. მას წინ უძღოდა სოციალური მართვის აზროვნების და პრაქტიკის თანდათანობითი ევოლუციის პროცესი.

ეკა ფერცულიანი

მარკეტინგის კავშირი მენეჯმენტთან, ბიზნესთან

ბიზნესის მისია— უნდა გააჩნდეს სტრატეგიული ბიზნეს-ერთეულს და ის უნდა განსხვავდებოდეს უფრო ფართო ფირმის ამოცანებისაგან.

გარე ბიზნესის გარემოებების ანალიზი— შედგება მარკეტინგული შესაძლებლობებისაგან, რომლებიც წარმოადგენს ფირმის ძირითად მოგებას, ფირმის შესაძლებლობების კლასიფიკაცია ხდება მათი მიმზიდველობის და შედეგის ალბათობის შესაბამისად.

არსებობს ბიზნესის 4 ტიპი:

იდეალური— როდესაც საშიშროება არ არსებობს და ყველაფერი კარგად მიდის.

რისკიანი— როდესაც პერსპექტივები და საშიშროებები თანაბარია.

მომწიფებული— როცა ერთნაირადაა დაბალი დონის შესაძლებლობები და საშიშროება.

პრობლემური— როცა დაბალი პერსპექტივები და ღილი სირთულეებია.

შიდა გარემოებები— ანუ ეს ეხება თვით ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას.

მიზნების ფორმულირება — აუცილებელია წინა ეტაპების ანალიზის შემდეგ გადასვლა შემდეგ ეტაპზე სტრატეგიული ბიზნეს ერთეულისათვის მიზნის ფორმულირებასთან.

ბიზნესში არ არსებობს ერთი მიზანი, უფრო ხშირად არის რამდენიმე რომელსაც წაეყენება შემდეგი მოთხოვნები:

მიზნები უნდა იყოს დაწყობილი **იერარქიულად** — როდესაც მენეჯერი გადადის ძირითადი მიზნებიდან **სპეციფიკურ** მიზნებამდე და თავის თანამშრომლებს წაუყენებს. იზნები უნდა იყოს თანმიმდევრული.


სტრატეგიის ფორმულირება მიზანი ეს არის სტრატეგიული ბიზნეს ერთეულის ორიენტირი, სტრატეგია— მისი მიღწევის გეგმა.

პროგრამის ფორმულირება როგორც კი იქნება შერჩეული ძირითადი სტრატეგია უნდა იქნას შემუშავებული დეტალური დამხმარე პროგრამები. ვთქვათ თუ ფირმამ გადაწყვიტა ლიდერობა მომსახურების დონეზე უნდა იქნას შემუშავებული დამატები თი პროგრამები პროდუქციის მომსახურების სფეროში.

სტრატეგიის რეალიზაცია თუ არ მოხდა რაც არ უნდა კარგი პროგრამები და სტრატეგია იყოს ამათა შედეგის მოლოდინი.

უკუკავშირი და კონტროლი სტრატეგიის რეალიზაციის პერიოდში ბიზნეს გარემოება ხშირად არასტაბილურია, ამიტომ უნდა იყოს მუდმივი კონტროლი. რათა მოხდეს დროული რეაგირება და კორექტირება.

ყოველივე აქედან გამომდინარე ნათლად ჩანს რომ ბიზნესში პირველ რიგში მთავარია ფინანსების სწორი მართვა და ეს რომ შევძლოთ აუცილებელია მარკეტინგისა და მენეჯმენტის კარგი ცოდნა.



მარკეტინგის კავშირი მენეჯმენტთან, ბიზნესთან

ალბათ 80%-მა მაინც არ იცით, რომ მარკეტინგი მხოლოდ რეკლამა არ არის, მხოლოდ დარწმუნება და დადებითი აზრის შექმნა არ არის, ბევრს ალბათ სჯერა და დარწმუნებულია რომ

ფასების ზრდა კრიზისის გაღრმავების მაჩვენებელია, მაგრამ ეს ასე არ არის.

თანამედროვე მარკეტინგის მთავარი დანიშნულებაა საქონლის წარმოებისა და სხვა ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობის შეგუება ბაზართან, მომხმარებელთა მოთხოვნასთან, ბაზრის წინასწარი შესწავლისა და მისი გან-

ვითარების პერსპექტივების განსაზღვრის შემდეგ უნდა გადაწყდეს ისეთი პროდუქციის წარმოების საკითხი, რომელსაც ექნება რეალიზაციის გარანტია.

მარკეტინგი დიდ როლს თამაშობს ბიზნესში. მრავლესობა ბიზნესისა იწყება ასე:

ვიშოვო ფული საქმის დასაწყებად, მოვიფიქრო საქმე, რასაც ჩემი ნაშოენი ფული ეყოფა, დავიწყო საქმე. შედეგად ხდება:

90% კოტრდება მაშინვე, 9% მალევე და მხოლოდ 1%-ს უმართლებს. ასე რომ არ მოხდეს აუცილებელია სწორად მართვა ანუ მენეჯმენტის კარგი ცოდნა და რეკლამის სწორად გაკეთება ანუ მარკეტინგი უშუალოდ კავშირშია მენეჯმენტთან.

მარკეტინგის ცოდნა მნიშვნელოვანია ბიზნესის სწორად დაგეგმვისათვის. ფირმისა და სხვა რაიმე კომპანიის დამფუძნებელმა უნდა იცოდეს განსაზღვრა ამა თუ იმ დაწესებულების მისია რა არის, განსაზღვროს სტრატეგიული ბიზნეს-ერთეულები, გამოყოს რესურსები ყოველი ბიზნეს-ერთეულისათვის და აუცილებლად დაგეგმოს ახალი სახეობის მოღვაწეობა.

მუდმივად უნდა ჩაატაროს მმართველმა ბიზნეს პორტფელის ანალიზი, რათა განსაზღვროს ბიზნესი უნდა გააფართოვოს თუ არა.

ბიზნესის დაგეგმვა მოიცავს 8 ეტაპს:

ლონდა ჯოჯუა

მენეჯმენტის თეორია.

მენეჯმენტის როგორც მართვის სისტემას წინ უძღოდა მრავალი თეორია, რომელშიც სხვადასხვაგვარად განმარტავდნენ – ცნებებს: "მენეჯმენტი" და „ორგანიზაცია“.

მისი კლასიკური განმარტება ეკუთვნის ფრანგ მეწარმეს და თეორიტიკოსს – ჰენრი ფეიოლს, რომელიც ასე ასახავს „პროგნოზირება და დაგეგმვა იმისთვის რომ მოვახდინოთ საქმის ორგანიზება, მართვა, კოორდინირება და კონტროლი.

მენეჯმენტის განმარტებაში შეიძლება გამოვკვეთოთ ექვსი ძირითადი აქტივობა:

1. ტექნიკური აქტივობები, მაგ: წარმოება.

2. კომერციული აქტივობები. მაგ: გაყიდვები და შეძენები.

3. ფინანსური აქტივობები მაგ: კაპიტალის გაზრდა.

4. აღრიცხვიანობის აქტივობა მაგ: ფინანსური ინფორმაციის მიწოდება.

5. უსაფრთხოების აქტივობები. მაგ: ქონების დაცვა.

ნ.მენეჯერული აქტივობა. მაგ: დაგეგმა და ორგანიზაცია.

ყოველ ცალკე აღებულ სიტუაციაში მენეჯერს აქვს შემდეგი მიდგომები გასათვალისწინებელი.

გააცნობიეროს, თუ რას ნიშნავს იყო ამ დონის მენეჯერი (თუ რა როლი უნდა შეასრულოს);


- ისწავლოს, თუ როგორ უნდა გაიუმჯობესოს სხვების შეფასების უნარი (იმის გათვალისწინებით, რომ მენეჯერი უნდა დაეყრდნოს მათ ვისზეც მოხდა გარკვეული უფლებების დელეგირება);

- ისწავლოს, თუ როგორ უნდა შეაფასოს სწორედ სხვების უნარები და სისუსტეები;

- ისწავლოს, თუ როგორ უნდა დაძლიოს სტრესი.

ფეილი თვლის, რომ მენეჯერულ საქმიანობაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

- სამუშაოს არსი (მაგალითად, პერსონალური პასუხისმგებლობები, რომელთა დელეგირებაც არ შეიძლე



ბა), რომელიც განიმარტება როგორც სამუშაოს "მოთხოვნები";

- სამუშაოს "შეზღუდვები" (შეზღუდული რესურსები);

- "არჩევანი", რომელიც აქვს მუშაკს სხვა თანამშრომლების მიერ გაწეული განსხვავებული სამუშაოს გათვალისწინებით.

მენეჯმენტის ძირითადი ფუნქციებია:

დაგეგმვა: არის ისეთი აქტიობა რომელიც განსაზღვრავს „მდგომარეობას“, რომელშიც კომპანიას უნდა რომ აღმოჩნდეს გარკვეული დროის შემდეგ დაგეგმაში როგორც წესი, გულისხმობს

მომავლისათვის ორგანიზაციის ფუნქციონირების მიზნებს, შედეგებს და ამ მიზნების შესასრულებლად საჭირო რესურსების განსაზღვრას. აღსანიშნავია რომ არასაკმარისმა ყურადღებამ შეიძლება კომპანიას ზარალი მოუტანოს ან უფრო მეტიც გააკოტროს კიდევ.

ორგანიზება: გეგმის შესრულებისათვის საჭირო მეთოდების და აქტივობების გამოყენება. ორგანიზება გულისხმობს სამუშაოსათვის საჭირო ამოცანების დასმას.

ლიდერობა: ლიდერობაში გულისხმობენ მენეჯერს, გავლენის გამოყენებას, თანამშრომელთა მოტივაცი

ის გაზრდისათვის, ორგანიზაცი-
ის მიზნების მისახწევად..

კონტროლი: გულისხმობს თან-
ამშრომელთა ქმედებებზე დაკვირვებას,
წარმატებას და მოსალოდნელ შეც-
დომებს შეფასების მიზნით.

არსებობს მენეჯმენტის ტიპები:

კონცეპტუალური, ადამიანური და
ტექნიკური უნარები (ცოდნა). ამ

სამივეს შეუძლიან განახორციელონ
მათთვის ძირითადი ფუნქციები იმის-
და მიხედვით თუ რა იერარქიულ საფეხ-
ურზეა ესა თუ ის მენეჯერი.

• რა პასუხისმგებლობა აკისრი-
ათ მენეჯერებს? სოციალური – ორ-
განიზაციის ხელმძღვანელმა მიიღოს
ისეთი გადაწყვეტილება და განახორ

<p>ფიზიკური მახასიათებლები ენერგიულობა ამტანობა</p>	<p>ხასიათის თავისებურებები თავდაჯერებულობა პატიოსნება და პირდაპირობა ენტუზიაზმი ხელმძღვანელობის სურვილი დამოუკიდებლობა</p>	<p>შრომის პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებული მახასიათებლები შედეგის, უპირატესობის მიღწევისკენ სწრაფვა კეთილსინდისიერება მიზნის მიღწევისას სიძნელეების მიუხედავად მუშაობის უნარი, შეუპოვრობა</p>
<p>გონებრივი შესაძლებლობები ინტელექტი, კოგნიტიური ნიჭი ცოდნა წინდახედულება, გამბედაობა</p>	<p>სოციალური მახასიათებლები გულდიაობა, პიროვნებათშორისი ურთიერთობის ჩვევები სხვა ადამიანების სათანამშრომლოდ მიზიდვის უნარი კოლექტივში მუშაობის უნარი ტაქტი დიპლომატია</p>	<p>სოციალური წინაპირობები განათლება მობილურობა პრაქტიკული მაგალითი</p>

ციელოს ისეთი ქმედებები, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც საზოგადოების, ასევე თვით კომპანიის კეთილდღეობის ზრდას.


- ეკონომიკური პასუხისმგებლობა - იგი პასუხის მგებელია საზოგადოებისათვის საჭირო და მომსახურების შექმნაზე.

- იურიდიული პასუხისმგებლობა - რომ კომპანიამ ეკონომიკური მიზნების მიხვევისას გარდუვალად უნდა იცავდეს საზოგადოების მიერ დადგენილ წესებს და კანონებს, კანონი შეიძლება გამოცემული იქნას როგორც ადგილობრივი ისე ცენტრალური მმართველობის ორგანოები.

- ეთიკური პასუხისმგებლობა - ნიშნავს ისეთ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას, რომელიც კანონით არ არის მოთხოვნილი, ან პირდაპირ არ ემსახურება ეკონომიკურ

მოგების მიღებას. ამ ყოველივეს ჭირდება ლიდერი (ხელმძღვანელი) იგი შეიძლება განისაძღვროს როგორც ინდივიდის უნარი გავლენა მოახდინოს სხვა ადამიანზე, საორგანიზაციო მიზნების მისაწვდამად. ლიდერობა ორმხრივი პროცესია, რომელიც ადამიანებს შორის მიმდინარეობს. ეფექტური მენეჯერი ვალდებულია იყოს ლიდერი, ლიდერის დამახასიათებელი თვისებები - არის ადამიანის მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური თვისებებები, გონებრივი შესაძლებლობები, მორალური, ეთიკური საფუძვლები და გარეგნული სახე.

მიუხედავად გარეგანი ანაზღაურების მთელი მნიშვნელობებისა, კარგი მენეჯერები იმისკენ ისწრაფიან, რომ მათმა ხელქვეითებმა შინაგანი ჯილდოებიც მიიღონ.



თანამედროვე ავთიაქის მენეჯმენტი

ავთიაქი – ჯანმრთელობის სისტემის სპეციალიზებული ორგანიზაციაა, რომელიც დაკავებულია სამკურნალო საშუალებების დამზადებით, დაფასობით, ანალიზითა და გაყიდვით.

საავთიაქო შენობის სტრუქტურა:

1. სათავსო სამკურნალო პრეპარატების შესანახად ან ძლიერ მოქმედი და შხამიანი ნივთიერებებისათვის.

2. ავთიაქის მენეჯერის კაბინეტი.

3. პერსონალის ოთახი (საკვების მისაღები ზონით)

4. გასახდელი

5. სველი წერტილი

6. წამლების მოსამზადებელი ოთახი (საჭიროების შემთხვევაში)

7. ოთახი ასეპტიკურ პირობებში დასამზადებლად (სასტერილიზაცი-ოთი)

8. დისტრიბუციის ოთახი

9. კომპლექსი ჭურჭლის დასამუშავებლად.

გარდა ამისა საჭიროა: სავაჭრო დარბაზი, მედიკამენტების შესანახი ოთახი ავთიაქში დიდი ყურადღება ექცევა ვიტრინას. რომელიც განსაკუთრებულად ლამაზად უნდა იყოს მოწყობილი დღესასწაულებზე, კარგი იქნება თუ ავთიაქთან ახლოს იქნება მანქანის პარკირების საშუალება. მო-

მხმარებელი კომფორტულად იგრძნობს თავს, თუ ავთიაქში იქნება დასაჯდომი ადგილი. გათვალისწინებული უნდა იყოს ავთიაქის ინტერიერის ფერი, რადგან ფერი ძალიან მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე და სულიერ მდგომარეობაზე.

განათლება არ უნდა იყოს მკვეთრი და პირდაპირ არ უნდა ხვდებოდეს თვალს.

ავთიაქმა შეიძლება შეასრულოს შემდეგი ფუნქციები:

1. წამლების გაცემა ექიმის რეცეპტის გარეშე

2. ქარხნულად დაფასოებული მცენარეული ნედლეულონა და პირადი ჰიგიენის ნივთების რეალიზაცია.

3. მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება სახლის პირობებში ურეცეპტოდ გასაცემი სამკურნალო პრეპარატების გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ.

4. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.

5. კვალიფიციური ავთიაქარი სადღეღამისო კონსულტაციით.

ავთიაქში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირველადი მაგიდის ფარმაცევტს ანუ ფარმაცევტს, რომლებიც ავთიაქ-

ში მუშაობენ და უშუალო კონტაქტი აქვთ მომხმარებელთან.

პირველადი მაგიდის ფარმაცევტი ასრულებს ორ ფუნქციას:

1. რჩევის მიცემა პაციენტისათვის მკურნალობის შესახებ

2. პრეპარატის შერჩევაში დახმარება

აფთიაქში უნდა იყოს არა მარტო დიპლომატიური სპეციალისტი, არამედ პუნქტუალური, თავაზიანი, პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს თავის სამუშაოს. მონაწილეობს უნდა ლეზიონობდეს ტრენინგებში.

აფთიაქის ასორტიმენტი უნდა მოიცავდეს:

1. ხარისხიან სამკურნალო საშუალებებს

2. სამკურნალო საშუალებების დიდ ასორტიმენტს: ბადებს, პარფიუმერულ, სამკურნალო კოსმეტიკას, საბავშვო და ჰიგიენურ საშუალებებს.

თანამედროვე აფთიაქის

ფინანსური მენეჯმენტი

1. ფინანსური ანგარიშების პრინციპი

2. ავტონომიურობა – ბიზნესის ფინანსური მდგომარეობის განსაზღვრა, აქტივები, პასივები, ბალანსი.

3. შემოსვლის განსაზღვრა: შემოსავალი, გასავალი

4. ხარჯთაღრიცხვა

5. ხარჯი მუდმივი და პერიოდული, პერიოდული ანალიზისთვის

6. ბიუჯეტირება როგორც მართვის სისტემის ელემენტი, ფასწარმოქმნის დაგეგმარება და გადაწყვეტილების მიღება.

7. ფინანსური ანალიზი – კოეფიციენტური ანალიზი, ფინანსური მდგომარეობის ანალიზი, ბალანსის მაჩვენებლის ანალიზის საფუძვლებზე.

აფთიაქო ორგანიზაციის ხარისხის მენეჯმენტში გასარკვევად საჭიროა თანამედროვე კონცეფციაში გარკვევა.

ხარისხის მენეჯმენტი ძალიან დიდი და მოცულობითია და არ არის დაკავშირებული პროვიზორ ანალიტიკოსის ფუნქციონალურ მოვალეობასთან. ძალიან მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ მენეჯმენტის სისტემამ როგორ შეიძლება გაზარდოს სააფთიაქო დაწესებულების კონკურენტუნარიანობა, მიაღწიოს ეფექტურ შედეგებს, რომლებიც დგანან სამეურნეო სუბიექტის წინაშე.

ქვეყნის თანამედროვე ფარმაცევტულ ბაზარზე ჩნდება ახალი კონკურენტები, იზრდება მომწოდებლის ფასები, მომხმარებლის მიზანს კი წარმოადგენს ფასების გარკვეულ დონეზე შენარჩუნება. კონკურენციის გამო აფთიაქს ზოგჯერ უხდებათ ფასების შემცირება, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე აფთიაქის წინაშე დგება საკითხი, როგორ შეასრულოს ერთის

მხრივ სოციალური ფუნქცია, რომელიც მის წინაშე დგას და მეორე მხრივ მიაღწიოს კომერციულ მიზანს. აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტა აიძულებს ავთიაქების ხელმძღვანელებს და სპეციალისტებს მუდმივად ეძებონ პასუხი დასახული ამოცანების გადასაჭრელად.

ფარმაცევტული ბაზრის ლიდერობისათვის საჭიროა ავთიაქის შედარება კონკურენტ ავთიაქთან. უნდა გამოიყოს ავთიაქის უნიკალური და ძლიერი მხარე, როგორცაა: ფასი (ფასდაკლების უკეთესი პოლიტიკა), დარბაზების უკეთესი განლაგება და აღჭურვილობა, იმიჯი, ასორტიმენტი, მედიკამენტების ხარისხი.

ფარმაცევტული რეკლამა

თანამედროვე ფარმაცევტული ბაზრის პირობებში სარეკლამო საშუალებების გამოყენება გადადის თავისი განვითარების ახალ ეტაპზე, რაც აიხსნება: ახალი ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების შექმნით, ახალი მომხმარებლის გაჩენით, რაც საჭიროებს როგორც სიახლის (indoor) ასევე სახლის გარეთ (outdoor) რეკლამის ზემოქმედებას. მომხმარებლის ფრაგმენტაცია დაკავშირებულია სამედიცინო და ფარმაცევტული გამოცემების მნიშვნელოვანი ზრდით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩემი აზრით, თანამედროვე ავთიაქში მთავარია: ფუნქციონალურობა, თავაზიანი თანამშრომლები, კომფორტი, ხარისხი და მიმზიდველობა.

დალი კეკელიძე

ფარმაციის პიარი

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისათვის „მენეჯმენტის“ მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება. „მენეჯმენტი“ ინგლისური წარმოშობის მცნებაა და „მართვას“ ნიშნავს.

მართვა საქმიანობის განსაკუთრებული სახეა, რომელიც ხალხის არაორგანიზებულ ჯგუფს, ეფექტურ, მიზანმიმართულ მწარმოებელ ჯგუფად გარდაქმნის.

ფარმაცევტული საქმიანობის მართვის (მენეჯმენტის) სპეციფიკით ამ დარგის თავისებურებებიდან გამომდინარეობს. ფარმაცია ჯანდაცვის სისტემის განუყოფელი ნაწილია და იმის მიხედვით, თუ როგორაა დაყენებული ეს სამსახური მნიშვნელოვნად განისაზღვრება ადამიანის ჯანმრთელობა, განწყობა, საზოგადოებაში მორალურ-ფსიქო-ლოგიური კლიმატი. ფარმაციის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია ეთიკის და დეონტოლოგიის წესების დაცვა – {ფარმაცევტული ეთიკა – არის მეცნიერება, რომელიც განიხილავს ფარმაცევტულ საქმიანობაში არსებული ზნეობის და მორალის საპრობლემო საკითხებს, ფარმაცევტის დამოკიდებულებას ჯანმრთელსა და და-

ვადებული ადამიანისადმი, კოლეგებისა და საერთოდ საზოგადოებისადმი}.

{ფარმაცევტული დეონტოლოგია – არის მეცნიერება ადამიანთა პროფესიული ქცევის შესახებ, იგი ეთიკის ერთ-ერთი ნაწილია}.

ფარმაცია მედიცინასთან ერთად ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განუყოფელი ნაწილია. იგი მოიცავს: ფარმაცევტულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებს, უმაღლესი და საშუალო ფარმაცევტული განათლების სისტემას, ფარმაცევტულ დაწესებულებებს და ფარმაციის მართვის ორგანოებს.

ფარმაციის მართვის იერარქიული დონეები და შესაბამისად მართვის ფუნქციები სამართავი ობიექტის დანიშნულებიდან მისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მეტნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ერთმანეთში არ უნდა აურიოთ ცნებები: „ფარმაციის მართვა“ და „ფარმაციის მენეჯმენტი“.

წამლისა და ფარმაციული საქმიანობის დეპარტამენტი და მისი ქვესტრუქტურები, ფარმაციის

მართვის სახელმწიფო ორგანოებია და მათთან მიმართებაში გამოიყენება ტერმინი „ფარმაციის მართვა“, ხოლო როცა საუბარია ფარმაცევტული დაწესებულებებზე ეს იქნება აფთიაქი, ბაზა, საქარმო – მაშინ მართებულია ვიხმაროთ სახელწოდება „ფარმაციის მენეჯმენტი“.

წამლისა და ფარმაციული საქმიანობის დეპარტამენტი წარმოადგენს სახელმწიფო სამმართველო მაკონტროლებელ ორგანოს, რომელიც მიზნად ისახავს უზრუნველყოს ქვეყანაში წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის ერთიანი სახელმწიფო ნორმის დაწესების შემუშავების, დანერგვისა და მათ დაცვაზე სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემის ორგანიზება და მართვა.

ფარმაცევტულ დაწესებულებათა მარტვის ფუნქციების განხორციელების პროცესში ინფორმაციის დიდი ნაწილი ფიქსირდება და აისახება დოკუმენტებში. დოკუმენტი არის განსაზღვრული წესით შედგენილი საქმიანი ქაღალდი, რომლითაც ფორმდება სხვადასხვა საწარმოო და ეკონომიკური ოპერაციები, იურიდიული პირების და ცალკეული მოქალაქეების სამართლებრივი ურთიერთობები.

ფარმაცევტული და სააფთიაქო საქმიანობა შეისწავლის წამალთმცოდნეობის შექმნისა და განვითარების აღრიცხვა-ანგარიშგებისა და დაგეგმვის საკითხებს. ცნებებში „მედიცინა“ და „ფარმაცია“ გაერთიანებულია ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული დარგები, როგორცაა – ფარმაცევტული ქიმია, ფარმაკოგნოზია, ფარმაცევტული საქმის ორგანიზაცია და მისი განვითარების ისტორია.

1924 წელს მოსკოვში სრულიად რუსეთის ფარმაცევტების ყრილობაზე ცნება „ფარმაცია“ შემდეგნაირად განისაზღვრა: „თანამედროვე ფარმაცია მეცნიერებათა კომპლექსია, რომელიც სწავლობს ყველა სახის წამლის სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალების მოპოვების, გადაზუსტების, შენახვის, დამზადების, გაცემა-გამოყენების და ხარისხის კონტროლის საკითხებს“

სააფთიაქო ქსელი ყოველწლიურად იზრდება და ვითარდება. იხსნება აფთიაქები მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ თავს იჩენს შემდეგი პრობლემები. დავიწყვით იქედან, რომ ქართულ ფარმაციას მრავალსაუკუნოვანი, მდიდარი ისტორია და სახელოვანი


ტრადიციები აქვს, რითაც ქართველი ხალხი ჭეშმარიტად ამაცობს.

ამჟამად საქართველოში ფარმაცია უპირატესად ბიზნესის საგანი გახდა. ფარმაცია ამოღებულია რეგულირებად პროფესიების სიიდან. სახეზეა ფარმაცევტული პრეპარატების სიჭარბე, მაგრამ წამლები უმთავრესად არაპროფესიონალების ხელშია. დავიწყებულია ჰიპოკრატეს ფიცი, რაციონალური ფარმაკოთერაპიის პრინციპები და წამლის მონიტორინგი. პენსიონერს წამლის

შეზენის შესაძლებლობა პრაქტიკულად არ აქვს.

ქვეყანაში არ მოქმედებს წამლის ხარისხის (ლაბორატორია) უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემა და ხარისხის კონტროლი არ მოქმედებს ექიმის რეცეპტის ინსტიტუტი. ფარმაცევტული საქმიანობის კანონმდებლობა არაპროფესიონალების ხელშია. არსებული კანონები ქაოსურ მდგომარეობას ქმნიან, წამლები იყიდება სუპერმარკეტებში და სხვა შეუსაბამო ადგილებში.

ფარმაცია



მენეჯმენტის ფუნქციები განსაზღვრავს სამექარმეო მართვის სტრუქტურას, ანუ მართვის ფორმების ნაირსახეობას. მენეჯმენტის ორგანიზაციული ფორმები შედარებით მყარია და სტატისტიკურობით ხასიათდება, ხოლო მენეჯმენტის პროცესი და ფუნქციები ცვალებადია.

კონკრეტულობით ხასიათდება სისტემის აგების შემდეგი პრინციპები: მენეჯმენტის ფუნქციების დანაწილება და ამის საფუძველზე სტრუქტურების აგება ისე, რომ დაცული იყოს მათი ფუნქციების და სისტემების დაქვემდებარების წესი.

მენეჯმენტის სტრუქტურაში ფიქსირდება ფუნქციების დანაწილება თვით მენეჯმენტის განვითარების, მისი ორგანიზა-

ციული ფორმების ჩამოყალიბებაზე მოქმედებს ობიექტური პრინციპები.

მენეჯმენტის ფუნქციების განხორციელებისათვის საჭიროა კავშირები: სატელეფონო, ჯგუფური, ინტერნეტის და სხვა.

ნორმალურ ვითარებაში ყოველთვის ყალიბდება სავსებით გამოკვეთილი ფუნქციები მენეჯმენტის სხვადასხვა დონეებს შორის. მენეჯმენტის მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ნორმატიულდოკუმენტაციაზე დაყრდნობით ფუნქციების რეგლამენტაცია ყველაზე ეფექტური საშუალებაა საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის, მისი მართვის სისტემის რაციონალური ორგანიზაციის უზრუნველყოფისათვის.

თამარ გაჩეჩილაძე

ზარმაცვეთული ინფორმაციის მინეჯმენტი

ინფორმაციის გაცვლის უმნიშვნელოვანესი ინდიკატორია საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმიანი ურთიერთობისა და კონტაქტების დამყარების რთული სისტემა. აქედან გამომდინარე, ფარმინფორმაციული მენეჯმენტი წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან საკითხს, ამიტომ ეს თემა ორიენტირებულია იმაზე, რომ ადამიანს სწორად ჩამოუყალიბდეს თანამედროვე ინფორმაციული კულტურა შეეძლოს ინფორმაციის გააზრება და წარმოდგენა შეეძლოს თანამედროვე ინფორმაციული მეთოდოლოგიის შესახებ, ასევე ჩამოუყალიბდეს წარმოდგენა ნაციონალურ და მსოფლიო საინფორმაციო რესურსებზე.

მართვის ფუნქციების განხორციელება წარმოუდგენელია ინფორმაციათა გაცვლის პროცესების გარეშე, რადგან იგი აუცილებელია დროული და ეფექტური გადაწყვეტილების მისაღებად. არასაკმარისი ინფორმაციის პირობებში მენეჯერი შეიძლება აღმოჩნდეს გაურკვევლობის მდგომარეობაში. საჭირო ინფორმაცია მნიშვნელოვნად ამცირებს მისთვის საინტერესო მოვლენის შედეგების მოულოდნელობის ხარისხს. საქმიანი ორგანიზაციის მართვის პროცესში გამოყენებული ინფორმაციის ყველა სახე ქმნის ინფორმაციულ სისტემას თავისი წყაროებით, არხებითა და იერარქიული დონეებით. ინფორმაციის შეუფერხებელი მოძრაობა უზრუნველყოფს ორგანიზაციის ყველა განყოფილებისა და მართვის პროცესის წარმატებას.

მენეჯმენტის პროცესების ელემენტების ამოქმედებისათვის აუცილებელია მათ შორის კავშირისა და კომუნიკაციის დამყარება. კომუნიკაცია ინფორმაციის მიმოცვლის პროცესია, რომელიც მართვის სუბიექტისაგან კომუნიკაციური არხებით იღებს ინფორმაციას და გადასცემს ობიექტს. საქმიანობის ყველა პროცესს თან ახლავს ინფორმაციული ნაკადის წარმოშობა და მიზან-მიმართული მოძრაობა. რაც შეეხება ფარმაცევტულ ინფორმაციას ეს არის სამკურნალო საშუალებების მიმოქცევა სამედიცინო და ფარმაცევტული საკითხების დამახასიათებელი ინფორმაცია. მაშასადამე, **ინფორმაცია** არის ისეთი სახის შეტყობინება, რომელიც გარე სამყაროში მიმდინარე მოვლენების რაიმე ცნობას სეიცავს.

ინფორმაციის სახეებისა და წყაროების მიხედვით არსებობს: ეკონომიკური და საწარმო-ტექნიკური, ხოლო მეცნიერული შინაარსის მიხედვით რაოდენობრივი და ხარისხობრივი. მაშასადამე ინფორმაცია შეიძლება იყოს ციფრობრივი, გრაფიკული, სიმბოლოებით გამოსახული, ალფაბეტით დალაგებული მაჩვენებლებით ან წერილობითი ტექსტით გაფორმებული. ინფორმაციის მატარებელი შეიძლება იყოს ქაღალდი, დისკი და გამოსახულებითი ეკრანის დისპლეი.

ინფორმაციის გადაცემის წყაროს წარმოადგენს რეკლამა, რომლის საშუალებითაც დამკვეთი არაპირდაპირ

ზემოქმედებას ახდენს მიზნობრივ ბაზარზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებით. რეკლამა მენეჯმენტის სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლის საშუალებითაც იმართება ინფორმაცია და რომელიც მიდის მომხმარებელამდე და არწმუნებს მყიდველს საქონლის შეძენის მიზანშეწონილობაში. ასევე რეკლამა წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ საშუალებას სტიმულირების კომპლექსში, ამასთანავე კომუნიკაციის ფორმაა, რომლის საშუალებითაც საქონლის ან მომსახურების ხარისხი შეიძლება დაყვანილი იქნას მომხმარებელთა საჭიროებისა და მოთხოვნილების დონეზე. იმისთვის, რომ სარეკლამო განცხადებები დაყვანილი იქნას მომხმარებელამდე ამისათვის აუცილებელია სწორად იქნას შერჩეული საინფორმაციო საშუალებები ანუ ინფორმაციის გადაცემის არხები. ეს იმდენად მნიშვნელოვანია, რომ კომპანიები, საინფორმაციო კუთხით, ხშირად უნდა მიმართავდნენ ინფორმაციის გადაცემის საკუთარ არხებს. მაგ: ამ მიზნით იაპონიაში იყენებენ დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებსაც, კომპანია "მიცუი ბუსანის" სამსახური ამ დარგში თავის მაშტაბით არ ჩამოუვარდება აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამართველოს სამსახურს. მხოლოდ მის ერთ მთავარ განყოფილებას ერთდროულად კავშირი აქვს 70 ქვეყნის 150 ორგანიზაციასთან.

ფარმაცევტული ინფორმაციის მახასიათებლებია: რაოდენობრივი მახასიათებელი, ინფორმაციის ხელმისაწვ-

დომობა, სიზუსტე, ოპერატიულობა და სარწმუნოობა.

რაოდენობრივ მახასიათებელში იგულისხმება ინფორმაციის რომელიმე რაოდენობრივი მაჩვენებლის გამოსახვა. მაგ: დღეისათვის 20 000 დასახელების ჟურნალი გამოდის სამედიცინო ინფორმაციის შესახებ, სადაც ყოველწლიურად ქვეყნდება 2 მილიონი სტატია. გამოკითხვების საფუძველზე დადგინდა, რომ ამერიკელი ექიმები 2-დან 5 საათამდე დროს უთმობს სამედიცინო ინფორმაციის გაცნობას, აქედან გამომდინარე ინფორმაციის რაოდენობა დამოკიდებულია მისი მოძიების შესაძლებლობაზე.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა დაკავშირებულია ფინანსურ შესაძლებლობებზე და ინფორმაციის საჯაროობაზე.

ინფორმაციის სიზუსტე გულისხმობს ფაქტებთან რეალურად მიხლოებული მონაცემებს.

ინფორმაციის ოპერატიულობა მნიშვნელოვანი მახასიათებელია, გარდა ამისა თანამედროვე პირობებში ინფორმაციის სასიცოცხლო ციკლი შეადგენს 3-5 წელს, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ ინფორმაცია უნდა განახლდეს 3-5 წელიწადში. წინააღმდეგ შემთხვევაში ინფორმაცია დაკარგავს მნიშვნელობას და აქტუალობას, რაც ადრე იყო მიღებული დღეისათვის მიუღებელი იქნება, ასევე აუცილებელია ინოვაციების შემოტანა და ამასთანავე უნდა შეიცვალოს არსებული საკანონმდებლო სივრცე.

ინფორმაციის სარწმუნოება განსაზღვრება სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობის შენარჩუნებით.

ფარმაცევტული ინფორმაცია იყოფა: მმართველობით ფუნქციებად და წარმოშობის ადგილის მიხედვით.

მმართველობითი ფუნქცია თავის მხრივ იყოფა: ნორმატიულ-საცნობარო ინფორმაცია ითვალისწინებს სხვადასხვა საცნობარო და ნორმატიულ მონაცემებს დაკავშირებულს ფარმაცევტული დაწესებულებების ფუნქციონირებასთან.

გეგმიური სააღრიცხვო ინფორმაცია აერთიანებს დაგეგმილი და საკონტროლო მაჩვენებლების, გარკვეულ დონეზე გათვლილი ბიზნეს-გეგმის ღირებულებას მნიშვნელობას. სააღრიცხვო ინფორმაცია კი გამოხატავს დაგეგმილი მაჩვენებლების ფაქტიურ მნიშვნელობას, რომლის საფუძველზეც შეიძლება დაწესებულების გეგმის კორექტირება უფრო ეფექტური მმართველობისათვის.

სააღრიცხვო-სტატისტიკური ინფორმაცია გამოხატავს ფარმაცევტული დაწესებულებების საქმიანობის ფაქტიურ შედეგებს.

რაც შეეხება წარმოების ადგილის მიხედვით ანუ მმართველობითი დონის მიხედვით ინფორმაციას – ამ დონეზე ფიგურირებს შემომავალი და გამავალი ინფორმაცია.

შემომავალი ინფორმაცია არის დაწესებულების სტრუქტურული დანაყოფებიდან შემოსული პირველადი ინფორმაცია მისი ფუნქციების რეალიზაციისთვის.

გამავლი ინფორმაცია მმართველობის ერთი სისტემიდან გადადის მეორეში.

ფარმაცევტული ინფორმაციის სახეებია: ოფიციალური და არაოფიციალური.

ოფიციალური ინფორმაცია არის სახელმწიფო ფარმაცოპია და გამოყენების ინსტრუქციები.

პირველადი წყარო – აქ მოიაზრება კლინიკური გამოყენების შედეგები და კლინიკური კვლევის შედეგები.

მეორადი ლიტერატურა – პირველადი ლიტერატურული მონაცემების გადაამუშავების შედეგად მიიღება.

მესამედი ლიტერატურა – მოიცავს ავტორის ანალიზს და მეორადი წყაროს ინტერპრეტაციას, ავადმყოფის ისტორიის ანალიზს, ასევე სარეკლამო ინფორმაციას და კლინიკურ კვლევებზე ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ მონაცემებს.

ისევე როგორც ყველაფერს, ფარმაცევტულ ინფორმაციასაც ყავს თავისი მომხმარებლები: ფარმაცევტები, ფარმაცევტის თანამშემწეები, სამედიცინო დარგის თანამშრომლები, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოები. სამედიცინო დარგის თანამშრომლებისთვის განკუთვნილი ინფორმაციაა: პაციენტის ანამნეზი, დიაგნოსტიკური ინფორმაცია, მკურნალობის მეთოდები, მკურნალობა (სპეციფიკური მკურნალობა), მკურნალობის ხელმისაწვდომობა და ღირებულება. ფარმაცევტული ინფორმაციის წყაროებია ფარმაცევტული დაწესე

ბულებები, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოები.

*ფარმაცევტული დაწესებულება არის ფარმაცევტული საქმიანობის განხორციელების მიზნით შექმნილი, დადგენილი წესით ლიცენზირებული იურიდიული პირი.

*ფარმაცევტული საქმიანობა არის სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის სფეროში დაკავებული ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აღნიშნული განმარტებებიდან გამომდინარე, რომ ფარმაცევტული დაწესებულებები და მათი საქმიანობა, რომელთაც არეგულირებს საკანონმდებლო ბაზა, ორივე თავისებურად წარმოადგენს ინფორმაციის წყაროს.

ფარმაცევტული დაწესებულების ფუნქციონირებისათვის საჭიროა სუბიექტის მიერ სწორად გააზრებული მოტივირებული საქმიანობის წარმართვა. ანუ სუბიექტის მოქმედება რეალიზებული უნდა იყოს ობიექტზე, ამისათვის კი საჭიროა ჩამოვაცალიბოთ სუბიექტის მოტივაცია, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს რა, სად, როდის, როგორ უნდა განახორციელოს. თითოეული ნაბიჯი წინასწარ უნდა დაიგეგმოს, რისთვისაც მას დასჭირდება არსებული სიტუაციის შესახებ ინფორმაციის მობილიზაცია და ანალიზი.

ინფორმაციის გაცვლის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომუნიკაციას. როგორც ზემოთ აღვნიშნე,

კომუნიკაცია ეს არის ინფორმაციის მიმოცვლის პროცესი, რომელიც მართვის სუბიექტისაგან კომუნიკაციური არხებით იღებს ინფორმაციას და გადასცემს ობიექტს. მენეჯერები დროის სულ მცირე 80% ხარჯავენ სხვა ადამიანებთან ურთიერთობებზე, იღებენ მათთვის საჭირო ინფორმაციას როგორც კომპანიის შიგნიდან ასევე გარედანაც, გაანალიზებენ და შემდეგ აწვდიან იმ ადამიანებს ვინც ამ ინფორმაციით არიან დაინტერესებულნი.

კომუნიკაცია არის პროცესი, რომლის დროსაც ორი ან მეტი ადამიანი ცვლის და იაზრებს მიღებულ ინფორმაციას. მაგ: ჰარვარდის უნივერსიტეტის ერთ-ერთმა პროფესორმა სტუდენტებს სთხოვა კომუნიკაციების "პორტრეტი" დაეხატათ. მათმა უმრავლესობამ დახატა მენეჯერი, რომელიც რაღაცას წერს ან ლაპარაკობს და ა.შ. მათ ნახატებზე პროფესორმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ვერცერთმა მათგანმა დავალებას თავი ვერ გაართვა და ამასთანავე მან განმარტა, რომ კომუნიკაცია ეს არის პროცესი, რომლის დროსაც მენეჯერი უპირველეს ყოვლისა კი არ "წერს" რაიმეს ან "ლაპარაკობს", არამედ "უზიარებს". მენეჯერს შესაძლებლობა აქვს შეარჩიოს მისთვის ყველაზე მოსახერხებელი არხები სხვა ხელმძღვანელებთან და თანამშრომლებთან კომუნიკაციისთვის. კომუნიკაციის სახეებია: თათბირი, სამსახურეობრივი ჩანაწერები, სატელეფონო მოლაპარაკებები, დოკუმენტაციები, ვიდეო მასალები და პირისპირ საუბრები. კომუნიკაციას შეიძლება ქონდეს უახლოესი და

შორეული საუბრები, რომლებიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგ საკითხებს.

უახლოესი საუბრის მიზანია საკითხების შესახებ მსჯელობა, ფაქტების მოხსენება, ემოციური მდგომარეობის განმუხტვა, შესრულებული სამუშაოს შემოცმება და მითითება შესრულებული სამუშაოს შესახებ. რაც შეეხება შორეულ საუბრებს, მისი მიზანია ურთიერთობების დამკვიდრება, თანამშრომლების უზრუნველყოფა, მათი დაკმაყოფილება და ზრუნვა თანამშრომლებზე-განვითარებისთვის. დაწესებულება რომელშიც დაკავებულია ორ ადამიანზე მეტი, ერთიანდება საკომუნიკაციო არხები და წარმოიქმნება კომუნიკაციური ქსელი, რომელიც არის ღია, დახურული და კომბინირებული. ღია კომუნიკაციის დროს შესაძლებელია ინფორმაცია შეჩერებული იქნას, ვინაიდან იგი შეიძლება მოხვდეს შუამავლებთან და მაკონტროლებლებთან, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ამ მოძრაობას. დახურულ კომუნიკაციურ ქსელში შუამავლები და მაკონტროლებლები არ არსებობენ. კომბინაციური ქსელი კი მოიცავს კომუნიკაციის ორივე პრინციპს, რომელიც დამახასიათებელია შედარებით მსხვილი დაწესებულებისათვის.

თუ საქმიან ორგანიზაციაში ინფორმაცია მოძრაობს ზემოდან ქვევით და პირიქით, იერარქიის ყველა დონის გავლით, მაშინ საქმე გვაქვს ვერტიკალურ სტრუქტურასთან-კომუნიკაციასთან. მენეჯმენტში აუცილებლად არსებობს ჰორიზონტალური კომუნი-

კაციებიც, ე.ი. კავშირები მართვის იერარქიის ერთი და იმავე დონის მენეჯერებსა და განყოფილებებს შორის. კომუნიკაციების გამოყენება ორგანიზაციის შიგნით და გარეთ. შიდა ფაქტორები გავლენას ახდენს ორგანიზაციის საქმიანობაზე, მათზე დამოკიდებული კომუნიკაციური აუცილებლობა. დაწესებულება სარგებლობს კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით, ესაა: რეკლამა, გასაღების სტიმულირებით და სხვ.

დაწესებულებათა შორის კომუნიკაცია – ამ შემთხვევაში კომუნიკაციის დროს ინფორმაციის გადაცემა ხდება მაღალი დონეებიდან დაბალ დონეებზე.

აღმავალი კომუნიკაციის დროს ფარმაცევტ-ექსპერტი საკონლის წუნის შესახებ დაუყონებლივ აცნობებს განყოფილების გამგეს. ამ დროს კი ინფორმაცია გადაეცემა ქვევიდან ზევით არსებული მდგომარეობის შესახებ.

ჰორიზონტალური კომუნიკაცია არის ინფორმაცია, რომელიც ქვეგანყოფილებებს შორის გამოიყენება ამოცანათა კოორდინაციისა და მოქმედებისათვის.

საქმიანობის 2/3 რეალიზდება ხელმძღვანელსა და თანამშრომლებს შორის. ხელმძღვანელსა და მუშა ჯგუფს შორის კომუნიკაცია აუცილებელია ჯგუფის საქმიანობის ეფექტურობის გასაზრდელად. არაფორმალური კომუნიკაციები ეს არის "ხმების" გავრცელების არხი.

კომუნიკაციის დრო საუბრის წარმართვას დიდი მნიშვნელობა აქვს

ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნე ინფორმაცია რომელიც უნდა მივიღოთ სუბიექტისგან არის ღია და დახურული, ამიტომ საუბრის დროს უფროსი უსმენს და იწერს მოკლე ინფორმაციას და მოსაუბრეს აჩვენებს, რომ იგი არის დაინტერესებული და ყურადღებიანია მის მიმართ, რაც განაპირობებს საუბრის გაგრძელებას. უფროსს უნდა შეეძლოს ფაქტის გაანალიზება და თანამოსაუბრეს მისცეს საშუალება გამოხატოს თავისი პოზიცია და ინტერესი, ასევე უნდა ხდებოდეს ღია კითხვების დასმა, რომლებიც პასუხად მხოლოდ თანხმობას ან უარყოფას მოიცავს და საუბრის წარმატებულად დასრულებისას

უფროსმა აუცილებელია მიიღოს შესაბამისი ზომები და მიცემული დავალების შესრულების კონტროლი განახორციელოს.

მაშასადამე, ზოგადად "ინფორმაცია" ეს არის სუბიექტსა და ობიექტს შორი კავშირის ფორმა, შესაბამისად ნებისმიერი სფეროსათვის, ასევე ფარმაცევტული სფეროსათვის ინფორმაცია წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად მამოძრავებელ და მაცოცხლებელ ძალას. ფარმინფორმაცია კი ე სარის ფარმაცევტული საქმიანობის წარმატების ერთ-ერთი და მნიშვნელოვანი ფაქტორი. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ყველაფრის სიზუსტეს და გამართულობას.

სალომე მამულაშვილი

გადაწყვეტილების მიღება ფარმაცევტული დაწესებულების მართვის პროცესში

როგორც ცნობილია ნებისმიერ დაწესებულებას, ფირმას თუ საწარმოს ჰყავს მმართველი, დირექტორი ან მენეჯერი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ძირითად და მნიშვნელოვან კრიტერიუმებს თუ რას ამას განვიხილავთ მოცემულ თემაში.....

„გადაწყვეტილება“-შეგნებული არჩევანა, თუ როგორ უნდა მოიქცე ან იაზროვნო გარკვეულ სიტუაციაში, ხოლო გადაწყვეტილების მიღებას პროცესია, როდესაც ერთი ან მეტი ალტერნატივიდან უნდა აირჩიოს მოქმედების კურსი.

მმართველობითი გადაწყვეტილება მართვის პროცესში უნდა იქნეს მიღებული დროულად და ხარისხიანად, რათა მოგვცეს ფარმაცევტული დაწესებულებისთვის დადებითი შედეგი. სამედიცინო დაწესებულების მართვა გულისხმობს პირველ რიგში პროცესების ეფექტურად განხორციელებას, ამისთვის აუცილებელია წინასწარ განისაზღვროს ძირითადი ამოცანებია :


სტრატეგია - რაც გულისხმობს სამედიცინო დაწესებულების პროფილისა და სამექმედო არეალის განსაზღვრას.

ოპერატიული ამოცანები -სასურველი შედეგის მიღება მოთხოვნის სათანადო მოქმედების დაგეგმვას გარკვეულ დროში ანუ იმ გზების განსაზღვრას, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტას.

დაწესებულებაში მენეჯერს უწევს სხვადასხვა სახის, შინაარსის ნეგატიური ან პოზიტიური გადაწყვეტილების მიღება,ის ირჩევს გამიზნულ მო-

ქმედებას და არა მარტო თავისთვის და დაწესებულებისთვის „არამედ თანამშრობლებისთვისაც.

მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება მოიცავს სფეციკურ საქმიანობას, რომელიც მმართველობითი სისტემის გასახორციელებელია და მიმართულია მოქმედების ვარიანტების შერჩევისაკენ.



რაც შეეხება მართვის იერარქიას: საზოგადოდ, ცნობილია ორგანიზაციაში მენეჯერების დაყოფა ზდება მათი ფუნქციების, ვალდებულებების, პასუხისმგებლობის მიხედვით, აქელა გამომდინარე არსებობს სამი დონე:

ლოგიკურია ზედა რგოლის მენეჯერები ფლობენ ყველაზე დიდ ძალაუფლებას და ეკისრებათ ყველაზე მეტი პასუხისმგებლობაც. ისინი ძირითადად ყურადღებას უთმობენ იმას თუ „რა“ უნდა გაკეთდეს და არა იმას თუ „როგორ“ უნდა გაკეთდეს. ანუ

ფირმის მმართველი განსაზღვრავს ორგანიზაციის მიზნებს და ამოცანებს, ამუშავებს გრძელ ვადიან გეგმებს, წამართავს ფირმის პოლიტიკას და წარმოადგენს სხვა საქმიანი ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე. საშუალო და ქვედა რგოლებს რაც შეეხება ისინი ახორციელებენ ზედა დონის მიერ დასმულ ყველა ამოცანას.

გადაწყვეტილების მისაღებად ორგანიზაციის მმართველს ევალება გარკვეული ფუნქციების შესრულება: მან უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდება, როგორც ზემდგომი ზელმძღვანელებისადმი ასევე ინფორმაციის გაცვლა თავისსავე პოზიციაზე მყოფ ადამიანებზე.

მათ ფუნქციებს და ქცევებს შეიძლება ვუწოდოთ მენეჯერის როლი, რომელიც იყოფა სამ ჯგუფად:

1. პიროვნებათაშორისი როლები - კომუნიკაციის როლი.
2. ინფორმაციული როლი.
3. გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული როლები.

აქედან გამომდინარე ჩანს, რომ კომუნიკაციის საშუალებით მიიღება ინფორმაცია და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაბამისი გადაწყვეტილების მიიღება.

ზემოთ აღნიშნული როლები, რომ წარმატებით შესრულდეს მენეჯერს სჭირდება გარკვეული უნარჩვევები. ესა არის:

- კომუნიკაციური ჩვევები.
- ტექნიკური ჩვევები.
- ანალიტიკური ჩვევები.

ეს ჩვევები ძირითად საჭიროა ზედა რგოლის მმართველებისათვის ინფორმაციის ანალიზისა და გადა-

მუშავების, სირთულეებისა და ხელსაყრელი შესაძლებლობების გამოვლენის, დასკვნის ფორმულირებისა და გადაწყვეტილების მისაღებისას.

რატომ არის სწორი გადაწყვეტილების მიღება ძნელი? – აქ მთავარი პრობლემაა ინფორმაცია - უფრო სწორედ ინფორმაციის ნაკლებობა. მენეჯერს გადაწყვეტილების მიღება უწევს არასრული ინფორმაციის პირობებში, ვინაიდან სიტუაცია როდესაც ის ფლობს მისთვის საჭირო ყველა ინფორმაციას, როგორც წესი ბუნებაში არ არსებობს. პირობები რომლებშიც მიიღება გადაწყვეტილება შეიძლება დავყოთ 4 ტიპად:

1. როდესაც მენეჯერს გააჩნია სასურველი ინფორმაცია, და ისინი დარწმუნებულნი არიან თავის თავში და იღებენ გადაწყვეტილებას ყოველგვარი ეჭვის გარეშე.

2. როცა მენეჯერს გააჩნია საჭირო ინფორმაცია, მაგრამ არ არის საურველი მოცულობის ანუ გადაწყვეტილებას იღებს რისკის ხარჯზე.

3. მენეჯერს გააჩნია არასაკმარისი ინფორმაცია. უწევს ვარაუდის გაკეთება, და დიდი ალბათობაა გადაწყვეტილება არასწორი აღმოჩნდეს.

4. მენეჯერი დგას გარკვეული ამოცანების წინაშე და ცუდად არის განსაზღვრული ალტერნატივები და თითქმის არ არსებობს ინფორმაცია და რასაკვირველია მენეჯერი იღებს მცდარ გადაწყვეტილებას. ვინაიდან მათი მიღება ხდება საეჭვო დაშვებებზე დაყრდნობით.

კლასიფიკაცია - კლასიფიკაციის მიხედვით მმართველობითი გადაწყვეტილება შეიძლება იყოს :

- ფუნქციური
- დამუშავების
- სამოქმედო სფეროს
- ამოცანების და საკითხების გადაჭრის მიხედვით და სხვ.

დაწესებულებაში მმართველობითი გადაწყვეტილების მიიღება იყოფა: ერთპიროვნულად, კოლექტიურად და კოლეგიალურად.

ერთპიროვნული - გადაწყვეტილება შემუშავდება და მიიღება ხელმძღვანელის მიერ.

კოლექტიური - გადაწყვეტილება მიიღება საერთო კრებაზე.

კოლეგიალური - გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისად ხელმძღვანელისა და სპეციალისტების მიერ.

გადაწყვეტილების ამოცანების მიხედვით მმართველობითი გადაწყვეტილება არის: ოპერატიული (ხელმძღვანელის რეაქცია მიმდინარე ცვილებებზე), ინფორმაციული (მიღებული ინფორმაციის შეფასებით), ორგანიზაციული (საბოლოო მიზნის მიღცევა), სტარატეგიული..... წამოჭრილი მიზნების მიხედვით მმართველობითი გადაწყვეტილება შეიძლება იყოს: სიტუაციური, საინიციატივო, ზემდგომი ორგანოს მიერ გაცემული განკარგულების მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომელ დონეზე იქნება მიღებული გადაწყვეტილება ის უნდა მოიცავდეს ყველა თვისებას, რომელიც განსაზღვრავს მის ხარისხს. აქ შედის:

კონკრეტულობა - ანუ გამოკვეთილი უნდ იყოს მიზანთან კავშირი.

დროულობა - დროულად იქნეს მიღებული გადაწყვეტილება აუცილებლობის მომენტში.

ეფექტურობა და ეკონომიურობა - ანუ დასახული მიზნის უზრუნველყოფა.

საიმედოობა - სიტუაციის შეცვლასა გადაწყვეტილების სამართლიანობა.

განხორციელების რეალობა - რეალური რესურსების კონკრეტული პირობების და საშუალებების არსებობა.

გადაწყვეტილების მიღების პროცესი - გადაწყვეტილების მიღების პროცესს რაც შეეხება აქ შეიძლება განისაზღვროს რამოდენიმე ალტერნატივა ერთ-ერთის შერჩევის მიზნით.

გადაწყვეტილების მიღების ეტაპები :

1. პრობლემის განსაზღვრა (პრობლემის კარგად წარმოჩენა, მისი ნახევრად გადაჭრის ტოლფასია).

2. პრობლემის ანალიზი.

3. ალტერნატივის ჩამოყალიბება.

4. შეფასება და საუკეთესოს შერჩევა.

5. გადაწყვეტილების განხორციელება.

6. შედეგის შეფასება.

ალტერნატივის შერჩევა და შეფასება - ანუ ხელმძღვანელი განიხილავს მის ხელთ არსებულ ყველა ალტერნატივას, საუკეთესოს შეფასების შედეგად მიიღებს შედარებით ეფექტურ გადაწყვეტილებას.

აქვე აუცილებელია გადაწყვეტილებათა ნაკრების ფორმულირე

ბა. პრობლემების აღმომფხვრელი ყველა მოქმედების განსაზღვრა, რომელიც დაეხმარება დაწესებულებას მიზნის მიღწევაში.

გადაწყვეტილების მიღების გზები : - გადაწყვეტილება შეიძლება მივიღოთ ძალიან ადვილად, მაგრამ კარგი გადაწყვეტილების მიღება ძალზედ რთულია.

აქ ადგილი აქვს გარკვეულ ფსიქოლოგიურ მომენტსაც. ამ დროს პიროვნება შეიძლება იმყოფებოდეს რაღაცის ზემოქმედების ქვეშ და იმის მიხევით ღებულობდეს გადაწყვეტილებას. აქედან გამომდინარე არის ინტუიციური, განსჯაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება და პრობლემის რაციონალური გადაჭრის გზა.

ალტერნატიული გადაწყვეტილების რეალიზაცია: - მიღებული გადაწყვეტილება ფასდება მისი განხორციელების შემდეგ...

რეალიზაცია მოიცავს შემდეგ ეტაპებს :

- შემსრულებლის წინაშე ამოცანის დაყენება.
- მიღებული გადაწყვეტილების შესრულების ორგანიზაცია.
- კოორდინაცია.
- ოპერატიული რეგულირება.
- კონტროლი.

საბოლოო გადაწყვეტილებას რაც შეეხება ანუ თუ პრობლემა სწორედ იქნე გამოვლენილი, ასევე ალტერნატიული გადაწყვეტილებები ზედმიწევნით დახვეწილი და შეფასებული მაშინ გადაწყვეტილების მიღება იოლია. ამის შემდეგ იგი ფორმდება დოკუმენტურად და მას შემსრულებელს გააცნობენ სიტყვიერად.

გადაწყვეტილება არსებობს:

ბრძანების სახით.

განკარგულების სახით.

რეკომენდაციის სახით.

მიღებული გადაწყვეტილების შედეგის შეფასება:

მას შემდეგ რაც მიღებული გადაწყვეტილება შედის ძალაში, აუცილებელია უკუკავშირის დადგენა. ანუ დაკვირვების და კონტროლის სისტემა აუცილებელია, რათა მოხდეს ფაქტობრივი შედეგების შედარება იმ მონაცემებთან თუ რა იყო მოსალოდნელი გადაწყვეტილების მიღებით. ამ ფაზაში თანმიმდევრულად ფასდება და გაანილიზდება ის შედეგები, რომლებიც მოჰყვება გადაწყვეტილებას, რასაც ხემძღვანელი გადაწყვეტილების მიღებამდე და შემდეგ აგროვებს და კორექტივებისთვის გამოიყენებს ვიდრე გადაწყვეტილებას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

ხათუნა შონია

გამოჩენილი ქართველი არქიტექტორი



საზოგადოება ცოდნის ჟურნალ „სიტყვის“ №14-ის რუბრიკაში – ამაგდართა გახსენება, როცა წავიკითხე მოგონება გამოჩენილი ქართველი არქიტექტორის ბატონ ზაქარია მინდორაშვილის შესახებ, გამახსენდა მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროში კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს მთავარ ინჟინრად მუშაობის პერიოდში ამ საინტერესო პიროვნებასთან სამსახურებრივი ხასიათის ურთიერთობა, რამაც გადამაწყვეტინა მასზე მოგონების დაწერა.

საქართველოს რელიეფის სირთულისა და ბუნებრივი პირობებიდან გა-

მომდინარე, დიდ ყურადღებას თხოვლობდა მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგები (სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მორწყვა, ჭარბტენიანი მიწების დაშრობა, მდინარეების და ხევეების ნაპირსამაგრი, მეწყერისა და ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობათა მშენებლობა, მიწების რეკულტივაცია და ა.შ.), რომელთა შეუფერხებლად განხორციელები-სათვის რესპუბლიკის რეგიონებში შენდებოდა მძლავრი საწარმოო ბაზები და ქარხნები.

მათ ძირითადად აპროექტებდა ინსტიტუტი „საქსახპროექტი“. იმ პერიოდში ინსტიტუტი განთავსებული იყო სანაპიროზე, ბარათაშვილის ხიდთან დღევანდელი კულტურის სამინისტროს შენობაში.

საქართველოში მელიორაციის განვითარების გენერალური გეგმით 1980-1982 წლებში ერთ-ერთი მძლავრი სარემონტო მექანიკური ქარხნის მშენებლობა გათვალისწინებული იყო ქალაქ სამტრედიისაში. პროექტირებისათვის საჭირო საწყისი მონაცემების განხილვისას ინსტიტუტის დირექტორს ვთხოვე, რომ ობიექტის დაპროექტება გამოცდილი სპეციალისტებისათვის დაევალებინა. – ჩვენთან ყველა თანამშრომელი სანიმუშო სპეციალისტია, საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ უამრავი სამოქალაქო და სამრეწველო ობიექტი ჩვენი ინსტიტუტის დაპროექტებულია და მადლობის მეტი არაფერი უთქვამთ, მათგან კი უმრავლესი ბატონ ზაქარიას

საავტორო პროექტიაო. ვთხოვთ ინსტიტუტის უზუცეს არქიტექტორს ბატონ ზაქარია მინდორაშვილს და თუ ის დაინტერესდება ობიექტით, საწინააღმდეგო არაფერი გვექნება.

არქიტექტორის სახელოსნოში, ნახაზებში ჩაფლულმა ბატონმა ზაქარიამ დარბაისლურად მიგვიღო. ყურადღებით მოგვისმინა და საქმიანი მსჯელობის შემდეგ თანხმობა განაცხადა სამუშაოთა შესრულებაზე, შევთანხმდით ვადებზე, მშენებლობის ადგილმდებარეობის დათვალიერება გადაწყდა მომავალ არასამუშაო დღეს.

სამტრედიისში, ჩემთან ერთად სამინისტროდან მექანიზაციისა და ტრანსპორტის სამმართველოს უფროსის მოადგილე ვახტანგ უგულავა წამოვიდა საკუთარი მანქანით. ინსტიტუტიდან ზ. მინდორაშვილს ახლდა პროექტის ტექნოლოგიური ნაწილის ავტორი სამრეწველო ობიექტების საწარმოო ნაწილის პროექტირების გამოცდილი სპეციალისტი, ძირძველი თბილისელი, სამამულო ომის ვეტერანი ნურაიკ კაროიანი.

ცნობილია, თუ როგორ ახლოვებს მგზავრობა ერთმანეთს უცნობ ადამიანებს და მით უმეტეს საერთო საქმეზე მივლინებულებს. მკაცრი გარეგნობის მიუხედავად, ბატონი ზაქარია, საინტერესო და კომუნიკაბელური პიროვნება აღმოჩნდა. გამოგვიჩნდა საერთო უფროსი თაობის ნაცნობებიც, მისი ბავშვობისა და სიყრმის სამშობლო ქალაქ თელავიდან, რომლის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობაში დიდი როლი მიუძღვოდა. სამამულო ომის შემდეგ პერიოდში, როდესაც ქალაქის ძველ ნაწი-

ლის შენარჩუნებას მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ, მისი მეოხებით იგი შენარჩუნებული და ბუნებრივად იქნა შერწყმული ახლად რეკონსტრუირებული თანამედროვე ქალაქისათვის დამახასიათებელ ცენტრსა და მოსაზღვრე ქუჩებს. გულღია ლაპარაკში ნელნელა წარმოჩნდა მისი როლი საქართველოს ქალაქების განაშენიანების საქმეში. განსაკუთრებით გულთბილად იგონებდა ჭიათურას, სადაც მისი პროექტებით მრავალი სამოქალაქო-სამრეწველო ობიექტი და უნიკალური საბაგრო გზები აშენდა. საუბარში ხშირად ერთგვებოდა ბატონი ნურაიკ კაროიანიც, რომელიც ძველი ქალაქური იუმორით ახალისებდა მგზავრობას. პაექრობაში ძარღვიანი კახური იუმორით მას ყოველმხრივ ამეტებდა ბატონი ზაქარია, რომელსაც ჩვენ უკვე შიგა და შიგ ილიჩად ვიხსენიებდით, მის მიერ ახალგაზრდობაში რუსეთში გატარებული წლების მოგონებათა შემდეგ, სადაც მრავალი სერიოზული საწარმო ჰქონდა დაპროექტებული და საჩუქრად თურმე მსუბუქი მანქანაც ჰყავდა მიღებული. უცბად აღმოვაჩინეთ, რომ ვახტანგ უგულავას, რომელიც მართლაც ვირტუოზულად მართავდა მანქანას, დასავლეთ საქართველოში მიმავალ ცენტრალური ტრასისათვის გვერდი აუხვევია და ზემო იმერეთისაკენ გაუწევია გომი-საჩხერის გზით. მან ღიმილით ჩაურთო, ისე ტკბილად იგონებდით საჩხერე-კვერეთს, დარკვეთს და კაცხის მთებს, რომ მომენატრა მათი დანახვაო, თანაც დაგვამშვიდა – სამტრედიისში დანიშნულ დროზე უფრო ადრე ჩავალთო. ბატონმა ზაქარიამ სთხოვა

– ჩემო ვახტანგ, ძალიან თავს ნუ გამ-
ოიდებ, რაჭაშიც კარგი ბუნება არის
და შაორზე არ ამოგვაყოფინო თავიო.
ჩვენს თხოვნაზე გზაში „წახემსების“
თაობაზე, უფროსი თაობის წარმომად-
გენლებმა თავაზიანი უარი განაცხადეს
და ოჯახიდან წამოღებული საგზალი
შემოგვთავაზეს: რა გზა გვქონდა, ჩვენც
დავეთანხმეთ.

სამტრედიაში დანიშნულ დროზე
ადრე ჩავედით. ქალაქის აღმასკომის
შენობასთან დაგვხვდა სამინისტროს
დასავლეთ საქართველოს ზონაში
მშენებარე ობიექტების უფროსი,
ასაშენებელი ქარხნის მომავალი დირექ-
ტორი ბატონი დავით ნიკოლაიშვილი,
სამტრედიაში ცნობილი კოლორიტი,
ზრდილობით აღსავსე იმერელი. წე-
სისამებრ შევხვდით ქალაქის ხელმძღ-
ვანელობას, გავაცანით ვიზიტის მიზა-
ნი და შევპირდით, რომ აუცილებლად
გამოვუვლიდით, შესრულება დავითს
დაავალეს.

ქარხნის ტერიტორიის დათვა-
ლიერებისა და მის მშენებლობასთან
დაკავშირებულ საკითხებზე შეხედულე-
ბათა საკუთარი მოსაზრებების დაცვი-
სას გამოვლინდა ბატონ ზ. მინდორაშ-
ვილის პრინციპულობა. ქალაქის
საწარმოო რაიონის პერსპექტიული
განვითარების გეგმის მოკლე მიმოხ-
ილვის შემდეგ, მან ვიზუალურად მოგ-
ვიხაზა ფორმატზე, თუ როგორ უნდა
ჩამჯდარიყო ქარხანა თავისი ინფრას-
ტრუქტურით და შენობა-ნაგებობით ამ
სისტემაში. ჩვენ ღიმილითა და კმაყ-
ოფილებით შევახსენეთ არქიტექტორს
ლოზუნგად ქცეული მაშინდელი ფრა-
ზა „ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს“
და სამტრედიის სარემონტო მექანი-



კური ქარხნისა და მისი ადმინის-
ტრაციულ-საყოფაცხოვრებო კორპუსის
მშენებლობისათვის განსაზღვრული
საორიენტაციო ღირებულებების ოდე-
ნობა. ბატონმა ნ. კაროიანმა ჩაიქირ-
ქილა: ზაქარია ილიჩს ჰგონია, რომ
მეორე ულიანოვსკის ქარხანას აშენებსო,
რომლის 12-სართულიანი ადმინის-
ტრაციული შენობის – აღჭურვილი
იმ პერიოდის უახლესი ტექნიკით,
კინო-საკონფერენციო და საგამოფენო
დარბაზებით, სასადილოებითა და ა.შ.
მშენებლობისათვის ბატონი ზაქარია
ოლქის მთავრობამ, როგორც ვთქვით,
მანქანით დააჯილდოვა და სახელმწიფო
პრემიაზე წარადგინა. ხანგრძლივი
პაექრობის შემდეგ, რესპუბლიკის

რესურსების გათვალისწინებით, როგორც იქნა მივედით კონსესუსამდე. ბოლოს ქარხნის დირექტორმა დავით ნიკოლაიშვილმა შემოგვაპარა – ყველაფერი კარგია, ბატონებო, მაგრამ მგონი სადილობის დრო ვახშმისად გადაგვექცაო.

საღამოს გამოძგზავრების დროს ვახტანგს ისევ „აერია გზა“, რასაც კულამის დასახლების დანახვაზე მივხვდი. მან კი სხვათაშორის აღნიშნა, რომ წელიწადზე მეტია ხონში მამისეულ სახლში არ ყოფილა და არ დაგაგვიანებთ, ოღონდ თვალი შემაკლებინეთო. როდის და როგორ გააფრთხილა მან თავიასიანები, საიდუმლოდ დარჩა (მაშინ ხომ მობილური ტელეფონის ხსენებაც არ იყო), მასპინძელმა გამოგვიცხადა – მე ორი ჭიქის მეტს არ დავლევ, თქვენ კი გარანტიას გაძლევთ, რომ ყველას დროულად დაგარიგებთ ოჯახებშიო. თბილისში დაბრუნება საკმაოდ დაგვაგვიანდა, გზაში იყო ოჯახის მასპინძლების და იმერული სუფრის ქება. ამასთანავე ვიგონებდით კახურ ბარაქიან პურმარილს და წარაფს, რაზედაც ბატონი ზაქარიაც ხალისით გვეთანხმებოდა.

პროექტის ავტორებისა და ტექნიკური ზედამხედველობით აშენებული სარემონტო მექანიკური ქარხანა თავისი ინფრასტრუქტურით სამტრედიის პერსპექტიული სამრეწველო რაიონის პირველი მერცხალი უნდა ყოფილიყო, მაგრამ... გასული საუკუნის 90-იანი წლების ცნობილი მოვლენებისას ქარხანა საქართველოს სამრეწველო საწარმოების დიდი უმრავლესობის მსგავსად გაიძარცვა და ისე დაიშალა ომის შემდეგ სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა მოგავონდებოდათ.

გამოჩენილი ქართველი არქიტექტორის, დიდად ამაგდარი ადამიანის ზაქარია მინდორაშვილის საინჟინრო პროექტით აშენებული დიდი სამრეწველო შენობა კი დარჩა და აღდგენაგანახლებას ელოდება. საუკუნოდ დარჩა გამოჩენილი ქართველი არქიტექტორის ბატონ ზაქარია მინდორაშვილის ნათელი ხსოვნაც. იგი დღესაც მაგალითია მომდევნო თაობებისათვის, თუ როგორ უნდა უყვარდეთ საკუთარი სამშობლო და როგორ იღწვიან მისი კეთილდღეობისათვის.

*ნოდარ ცხვირავაშვილი,
საქართველოს დამსახურებული ინჟინერი,
მელიორაციის დამსახურებული მუშაკი.*

მაქცია, მეთსახელად ლუსი

(შტრიხები გივი ალხაზიშვილის პორტრეტისათვის)

„ხდება წიგნის მასობრივი ინფლაცია... ეს საშინელებაა! დღევანდელი მწერლებისათვის მთავარია ოღონდ წერონ, მაგრამ რა და როგორ – ამას მნიშვნელობა არ აქვს. ისინი კი არ მუშაობენ, არამედ წერენ“.

„ახალი რომანის“ ფუძემდებლის ალენ რობ-გრიეს ეს ტკივილიანი გამონათქვამი გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ ამოვიკითხე ამ ათიოდე წლის წინ და ახლავა გამახსენდა, როცა გივი ალხაზიშვილის ავტობიოგრაფიული რომანი „მომავალი წარსული“ ჯერ ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“ გამოქვეყნდა და მერე ცალკე წიგნადაც გამოიცა.

სრული პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ ეს არის განდიდების მანიით შეპყრობილი ერთი გაქსუებული კაცის ნაბოღვარი, რომელიც მისი კოლეგების ვითომდა განქიქებას, ღვარძლის, შურის გადმონთხევას ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ.

მკაცრი ბრალდებაა არა, ბატონებო? დიახ, მკაცრზე მკაცრია, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, ქართული მწერლობის არიოზად ქცეულ ქონდრისკაცს ნილაბი უნდა ჩამოვგლიჯოთ, რათა ქვეყანამ დაინახოს მისი ნამდვილი, შემზარავი სახე.

ღმერთმა იცოდეს, სულაც არ მიხდოდა ამ თემაზე წერა, იმედი მქონდა, ეგებ ეს ჩვენი ცოდვით სავსე გამოფხიზლდეს და ბოდიში მოუხა-

ლოს, როგორც ცოცხალ მწერლებს, ისე გარდაცვლილთა სულებს, ვისაც სრულიად დაუმსახურებლად გაუგონარი შეურაცხყოფა მიაყენა-მეთქი. კალმის ხელში ალებისგან ერთ ბერძნულ ზღაპარში ამოკითხული ბრძნულზე ბრძნული ანდაზაც მაკავებდა. სალამოს ბრაზი დილამდე შეინახეო. ვინახე ბრაზი, ვინახე, მაგრამ რა? ვერა და ვერ მოვეო გონს ბატონი გივი, უფრო მეტიც – რომ დაინახა, ჩემს ნაბოღვარზე ხმას არავინ იღებსო, უფრო გაუტია და ინტერვიუებს არიგებს. აი, როგორ გვმოდღვრავს „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებიდან: „მას მერე, რაც რამდენიმე ნაწყვეტი გამოქვეყნდა ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“, ყველა ჩემზე განაწყენებული ერთად ამოცოცხლდა და გააქტიურდა, მაგრამ ჩემი ნაამბობის გაბათილება ჭირს, რადგანაც სიმართლეს ვწერ და გაბრაზებულები მსაყვედურობენ: სიმართლეს ამბობ, ამაში ვერ შეგედავებით, მაგრამ რატომ ამბობ, არაა ლამაზი“.

ახლა კუდის რიკამდე მივყვით ავტორს და ვნახოთ, რა სიმართლებზეა აგებული მისი „რომანი“ (ფუი ეშმაკს!).

გივი ალხაზიშვილის სულიერი პორტრეტის დასახატად ძალზე ნიშანდობლივია ჯანსუღ ღვინჯილიასადმი მიძღვნილი პასაჟები. წაჯექ – უკუჯექობანას დიდოსტატი ისეთ მალაყებს

გადადის, წესიერ ოჯახში აღზრდილ კაცს სული შეგეკვრება. ისტორიას შორიდან იწყებს. თურმე თავის დროზე ელუარდ შევარდნაძემ, საქართველოს კომპარტიის იმდროინდელმა ლიდერმა აკაკი ბაქრაძეს შესთავაზა გიორგი სააკაძეზე წიგნის დაწერა. ბატონ აკაკის უარი უთქვამს. მცირე ხანში, ჟურნალ „განთიადში“ გამოქვეყნდა ჯანსუღ ღვინჯილიას მონოგრაფიული თხზულება „გიორგი სააკაძის პიროვნება“. ჰოდა, ამის შემდეგ დანიშნულა ღვინჯილია „ცისკრის“ მთავარ რედაქტორად. გენიშნათ, მკითხველო? რა თქმა უნდა, დაიხატა მედროვე, დაქირავებული მწერლის პორტრეტი, რომელმაც თანამდებობა დიდმოხელისთვის გაწეული სამსახურის გამო მიიღო. საქმეში ჩაუხედავი მკითხველი თავს გააქნევს და ბატონ ჯანსუღზე გარკვეული კლიშეც ჩამოუყალიბდება. ცოტამ თუ იცის, გიორგი სააკაძის პიროვნებისადმი დამოკიდებულება, მისი ავ-კარგის პრინციპული გააზრება ჯანსუღ ღვინჯილიას, მწერლისა და ისტორიკოსის, ღირსების საქმეს წარმოადგენდა სიცოცხლის ბოლომდე. მას რა ხდება, ვის გაუგორა კოჭი ამ პასაჟით აღხაზიშვილმა, საქართველოს ერთ-ერთ გულანთებულ გარდაცვლილ პატრიოტთან ბრძოლის რომელი მსურველის ავადმყოფური პატივმოყვარეობა დაკმაყოფილდა ამ შემთხვევაში. რა თქმა უნდა, აღხაზიშვილის მამისა და მარჩენალის, რომელსაც ფინიასავით შესციცინებს თვალეებში დღე და მოსწრება. მაგრამ აქ ერთი უკუმაღაყიც სჭირდება

„პირუთენელ“ მემუარისტს, კარგად იცის, რომ არსებობს ჯანსუღ ღვინჯილიას მეგობრთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფიც, (ამ ჯგუფს იგი, ალბათ, საკუთარ თავსაც აკუთვნებს), რომელსაც ძალიან არ მოეწონებოდა მსგავსი ცილისწამება. ჰოდა, მაღაყების დიდოსტატი ნიანგის ცრემლების ღვრას იწყებს იმის თაობაზე, რომ თურმე ჯანსუღს უსამართლოდ ებრძოდნენ და შევარდნაძემ ეს არ იცოდაო. ამ უკანასკნელმა ხომ მისი ტომეულების გამოსაცემად განკარგულებაც კი გასცაო. ხედავთ, რა გულშემატკივარი ჰყოლია ბატონ ჯანსუღს? აფერუმ, გივი აღხაზიშვილის მაღაყებს! ხედავთ, უკვე როგორ აქოთდა ეს მელაკუდა! მოიყვანეთ ნებისმიერი ორლოლოგი და ყველა ერთხმად იტყვის, რომ ამ საცოდავს ჩეჩმაში ჩავარდნილის სუნი უდისო. ბატონო გივი, ოდესმე მართლა ხომ არ ჩავარდნილხართ ჩეჩმაში, და თუ ჩავარდნილხართ, აღარ უნდა დაგებანათ, ის სიმყრალე პირდაპირ სულსა და გულში რატომ ჩაიღვარეთ მარტვილობისთვის „განწირულო“?

რას კადრულობთ, როგორ გიტრიალდებათ ხელში კალამი, როცა თეიმურაზ ჯანგულაშვილისა და სოლომონ დემურხანაშვილის ფიზიკურ ნაკლზე წერთ. თქვენს მართლაც ჟანგიან რომანში ასეთი მარგალიტიც გვხვდება, ჟანგიან ლურსმანს რომ ფიცრიდან ამოაძრობ, აი, ისეთი დაგრეხილია თეიმურაზ ჯანგულაშვილი, შაყრობდა ბესიკ ხარანაულიო. ბესიკს შეიძლება

ისიც ეთქვა, სოლომონ დემურხანაშვილის ნიკაპი საფერფლეს წააგავსო, მაგრამ, შე უბედურო, ჯერ ერთი, ამის გამოქვეყნება რომ სდომებოდა, ბესიკი თავადაც მოახერხებდა მშვენიერად, მაგრამ მეგობრების წრეში ანგლობის ტირაჟირება რომ არ ინდომა, მის წესიერებაზე და პატიოსნებაზე მეტყველებს ეს ფაქტი. შენ როგორ იძუორებ ამას, რა ღირსებას გმატებს ამ საზიზღრობის ქალაქზე გადატანა, ნუთუ სულის წარწყმედის მაინც არ გეშინია, როგორ შეიძლება ადამიანს ფიზიკური ნაკლის გამო დასცინო, მით უმეტეს, გარდაცვლილ კოლეგას, მათ ხომ ოჯახები, ახლობლები, ნათესავები დარჩათ, რატომ უნდა აფიქრებინო, რომ ქართული მწერლობა მთლიანად შენისთანა ნაძირალებითაა სავსე. ანკი, სოლომონ დემურხანაშვილზე რომ წერ, უფრო დაბალი იყო, ვიდრე სიმაღლეზე დაწერილი მისი გვარ-სახელი, თუკი დაეტოლებოდაო, შენ თავად რომელი ყარამან ყანთელი მყევხარ, საროსტანიანი, რომ ასე უდიერად, აგდებულად ექცევი კარგ მწერალსა და მოქართულეს. საროსტანიანი არა და სირისტანიანი უფრო გეთქმის ამის შემდეგ. პატივცემულ მკითხველს ბოდიშის მოხდით შევკადრებ, რომ ამ სიტყვათწყობაში ნახსენები სირი ძველქართულ ჩიტში არ აერიოს. ან კიდევ, სხვა საქმე არ გქონდა, ჭუჭრუტანიდან რომ უმზერდი სოლომონის ლაღობას ლიტერატურის ინსტიტუტის ვილაც დამლაგებელთან. რა ლიტ-

ერატურული ღირებულება აქვს ამას ქართველი მკითხველისთვის.

რა ქედმაღლური დამოკიდებულება გამოსჭვივის ისეთ მშვენიერ პოეტთან მიმართებაში, როგორც იოსებ ნონეშვილი იყო. „ქართული პოეზიის ანთოლოგიის შედგენისას ალბათ, ვერ აუვლიან გვერდს მის რამდენიმე ლექსს“. რა ალბათობა აგიტყდა, იოსების ლექსები ნებისმიერ ანთოლოგიას დაამშვენებს, შენ შენს თავს და საკუთარ, აურაცხელ ცოდვებზე იფიქრე, შენ რა გეშველება, ბატონო გივი, და შენს უზომოდ პრეტენზიულ პოეზიას, როცა დრო, ყველაზე მკაცრი და პირუთენელი მსაჯული, კარზე გყავს მომდგარი.

რა სიძულვილით და ღვარძლით ლაპარაკობ კაცზე, ვინც თურმე ლაღო ასათიანს წიგნი დაუჭრა. ეგ კიდევ დასამტკიცებელია, მაგრამ იმ კაცმა, პოეტმა და მოღვაწემ, ვისაც შენ გულისხმობ, მერე ისე იცხოვრა, რომ სამუდამოდ დარჩა ქართულ მწერლობაში გინა ლექსით და გინა ღვაწლით, ესეც შენგან განსხვავებით.

მართლაც რომ გულისამრევია „რომანის“ ის ნაწილი, ჟურნალ „ვარსკვლავსა“ და მის მთავარ რედაქტორს რომ ეხება. როგორი დამთრგუნველია მკითხველისთვის იმის მოსმენა, თუ რა სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა მავანს ბიჭვინთაში რომელიღაც სიძვის დიაცთან. ზღვისპირა საკურორტო რომანების აფიშირება, სექსუალური აქტის დეტალების აღწერა ასე დაგემოვნებით, ასე ურცხვად მხოლოდ ჭაობის ბინადართ ანიჭებთ სიამოვნებას.

შე უბადრუკო, ასე როგორ დაეცი, რომ მსგავსი „მარგალიტებით“ გვიხედნი ყურსა და გონებას. მაგრამ საქმეც ისაა, რომ შენი ავტობიოგრაფიული „ქმნილები“ მთავარ მარგალიტს ლუსისადმი – ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ერთი კახაა წარმომადგენლისთვის მიძღვნილი ლექსი წარმოადგენს. ჯერ ერთი, რამდენად ზნეობრივია სხვა ერის თუნდაც მსუბუქი ყოფაქცევის წარმომადგენლების საქციელის განზოგადება.

ლუსიზე რომ წერ, სარკეში მაინც არ უნდა ჩაიხედო! ახლა არ თქვა, მე რა შუაში ვარო, მაგრამ სულიერი პროსტიტუცია, შუბლზე ძარღვის გაწყვეტა რომ მრუმობაზე, სიძვაზე უარესია, ეს კი უნდა იცოდეს შენი ხნის კაცმა. კაცი რომ თავის ავტობიოგრაფიულ რომანში გამოქვეყნებული სამიოდე ლექსიდან ერთს სწორედ კახას მიუძღვნის, თანაც, მისი აზრით, მაღისაღმძვრელ კომენტარებს დაურთავს, უნებლიედ გიჩნდება ეჭვი, საკუთარ თავს სწორედ იმ კახასთან ხომ არ აიგივებსო. თუ ჩავუღრმავდებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ გივის ხსენება ამიერიდან ლუსის გარეშე აღარ შეიძლება. მაშ ასე, გივი-ლუსი აღზაზიშვილი. ღმერთმა, არა ღმერთმა კი არა, ეშმაკმა მოგახმაროს სავალალოდ ეს სახელი.

პარტიაში არ შევედიო, თავს გვამადლის ბატონი გივი-ლუსი. ახლა კი მაპატიონ მათმა სულელებმა, მაგრამ პარტიის წევრები თუ არ იყვნენ ბესო ჟღენტი და კონსტანტინე ლორთქი-

ფანიძე, ვინმეს ჩამორჩებოდნენ პარტი-ულობასა და... თუ პარტიის წევრი და, უფრო მეტიც, მწერალთა კავშირის პარტბიუროს მდივანი იყო მედეა კახიძე (ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს მისი თავი), ვინმეზე ნაკლები ქართველი იყო, მართლაც ამორძალივით რომ იცავდა და იცავს ქართულ სიწმინდეებს. ეჰ ლუსი, ლუსი, იმდენს იზამ, მარტო ამ სახელით ხსენების ღირსი გახდები.

გივი-ლუსის „რომანში“ ცალკე თემას „შავწითელი“ წარმოადგენს, მისი უფროსი ძმა და ხელმძღვანელი გამოძეგმლობა „მერნიდან“. მაგრამ როგორ მოგწონთ, ბატონებო, გივი-ლუსის მწერლური ლექსიკა, მისი დაუოკებელი „ვნებანი“, როცა მზერას, „კლასიკოსის“ მზერას მიაპყრობს ხოლმე შავწითელის ასევე შავწითელ საქმეებს. აჰა, დატკბით: „რომ არა ემზარ გამეზარდაშვილი, მარმარილოს საფერფლეს ვურტყამდი თავში“... კიდევ ერთი: „ეს ადამიანი არ არის, ნამდვილი მანიაკია. მაქინაციაა მისი სასიცოცხლო მდგომარეობა, მაქინაციური გათვლებით მანიპულირება და სრული ამორალობა. სადაც ეგ გაივლის, იქ ბალახიც არ ამოდის...“ კიდევ ვნებავთ, კეთილი: „მე ავწიე ხელი მის დასაცავად, ვისაც ჩემგან, ალბათ, უფრო აგური ეკუთვნოდა კეფაში, ვიდრე მზარდაჭერა...“ აქ ერთი წამით ჩავიმუხლოთ. გივი-ლუსის თურმე ხელი აუწვევია იმ კაცის დასაცავად, ვის გავლილ ადგილზე თურმე ბალახიც არ ხარობს. რა დაცვაზეა საუბარი. აქ ბატონ ტარიელ ჭანტურიას დავი-

მოწმებ. თურმე მწერალთა კავშირში აქტუალურ თემად ქცეულა შავწითელის თანამდებობიდან განთავისუფლება. თუ ბატონ ტარიელს დაუჯერებთ, შავწითელმა 400-400 დოლარის ჩამორიგებით მოაკვარაზჭინა საქმე (ბატონი ტარიელისა მე ყოველთვის მჯეროდა, მაგრამ, თუ არ მიწყენს, თავს უფლებას მივცემ, ბოლომდე არ ვირწმუნო ეს ვერსია. ასე იაფად ხომ არ გაიყიდებოდნენ პრეზიდენტის წევრები და ლუარსაბის ძმის დავითისა არ იყოს, პატარა ვაჭრობა მაინც გაიმართებოდა, აი ისეთი, ახლა აუქციონებს რომ უწოდებენ.). რა თქმა უნდა, „პატიოსნებით განთქმული“ ლუსი-გივი (თუ პირიქით, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება) ამ გარიგებაში მონაწილეობას არ მიიღებდა, მაგრამ მაშინ როგორღა დაუჭირა მხარი კაცს, რომელიც თურმე ქართული მწერლობის სირცხვილი იყო?! უკვე დავიბენი, მკითხველო, პირდაპირ შემძრა გივი-ლუსის უნაპირო ჰუმანიზმმა. მე ხომ შემძრა და შემძრა, მაგრამ არც თქვენ დაგადგებათ კარგი დღე, თუ გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ 2004 წლის მე-5 ნომერს აიღებთ ხელში და პირველსავე გვერდზე დაბეჭდილ ფოტოს დააკვირდებით. საკუთარ თვალს არ დაუჯერებთ, როცა დარწმუნდებით, რომ ერთმანეთის გვერდზე გუგულებივით წამოსკუპებული ორი პიროვნებიდან ერთი გივი-ლუსია, მეორე კი – ის საცოდავი შავწითელი, ოდესღაც საფერფლის თავში ჩარტყმას რომ გადაურჩა. ამ

ორ ტყუპისცალს წინ მაგიდაზე რაღაც საგანი კი უდევთ, მაგრამ ძნელია დაბეჯითებით ამტკიცო, საფერფლეა თუ არა. თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს. მთავარი ის არის, რომ ამ ფოტოს ნახვის შემდეგ ჩეხოვისეული ერთი გენიალური ფრაზა გაგახსენდება კაცს: „მზაკვარია ადამიანი“. გივი-ლუსი კი მზაკვრობის, თვალთმაქცობის მართლაც რომ არნახულ, არგაგონილ მაგალითს წარმოადგენს.

ამაზრზენია პოეტ გუბურავასადმი მიძღვნილი პასაჟები. ყველას კარგად მოგვეხსენება, თუ ვის გულისხმობს პატარა ლუსი (ხანდახან ესეც შევეუნაცვლოთ „რომანისტის“ სახელს) ამ ფსევდონიმში. იგი ნიჭიერი პოეტი და საერთოდ დახვეწილი და გემოვნებიანი ლიტერატორია, რომელიც ბედის უკუღმართობამ მოსწყვიტა სამშობლოს და უცხოეთში გადახვეწა. ჰოდა, მე თქვენ გეკითხებით, მკითხველებო, თუ მართლა ლუსი არა ხარ, რა გესაქმება მის ქალებთან, რა შენი საქმეა, მჭლეები არიან ისინი თუ მსუქნები, შავები თუ თეთრგვრემანნი. ქართული მწერლობის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს რას შემატებს ამის ცოდნა?.. ეჰ, ლუსი, ლუსი, შე მართლა ლუსი, შენა...

შევარდნაძეს დიდი მოურავის აჩრდილს უწოდებ. შემთხვევით ეს ის შევარდნაძე ხომ არ არის, ვისზედაც თამაზ წივწივაძეს მეტად საინტერესო შემთხვევა აგონდება, შენს პორტრეტს მეტად საგულისხმო შტრიხს რომ შემატებდა ახლა მოყვე და ვახარხა-

რო მთელი საქართველო, თუ მაინც დაგინდო, შე გულისამცეცავ?

ამ უბადრუკმა „რომანის“ რამდენიმე მოზრდილი ნაკვეთი თქვენს მონა-მორჩილსაც მიუძღვნა. უნდა ვთქვა, რომ ლუსი-გივის შიზოიდური ავადმყოფური ფანტაზიები მხოლოდ ღიმილს, სიბრალოლის ღიმილს იწვევს ჩემში. ყოველგვარი ირონიის გარეშე უნდა ვთქვა, რომ მწერალთა კავშირში ჩემი თითქმის 40-წლიანი საქმიანობის განმავლობაში გივიზე უკეთესი ბევრი პოეტიც მინახავს და უარესიც. მასთან ურთიერთობაც მქონია და მის ოჯახში პურღვინოთიც გამმასპინძლებიან. ესარგებლობ შემთხვევით და თავს მდაბლად ვუხრი ოჯახის დიასახლისის – ქალბატონ ქეთევანის ნათელ ხსოვნას. გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ ეს წერილი გაცილებით ადრე იხილავდა დღის სინათლეს, მაგრამ 40 დღის გასვლას დაველოდე და საერთოდაც მიჭირს ამის განხილვა. თუმცა სიმართლე ბოლომდე უნდა ითქვას. აკი თავად ბატონი გივი ბრძანებს: „...დღესაც ვთვლი, რომ სიმართლე უნდა ითქვას, როგორმე ზურგი უნდა ვაქციოთ, ფიქციათა ჯამს, ჩვენ რომ მივეჩვიეთ და სადაც არხეინად ვცხოვრობთ“. აბსოლუტური ჭეშმარიტებაა და მეც სწორედ ამან ამაღებინა ხელში კალამი და, ღმერთმა იცოდეს, არა იმან, რომ საკუთარი თავი დამეცვა ამაზრზენი ინსინუაციებისგან. თუმცა არ დავიმალავთ, რომ სამოც წელს გადაცილებული კაცისთვის, რომელმაც მთელი ცხოვრება ქართული მწერლო-

ბის უანგარო (ჩემი აზრით, უანგარო) სამსახურს შეაღია, ძნელზე ძნელი აღსაქმელია ბინძურ ცილისწამებებზე აგებული ბრალდებები!

გივი, შე თაღლითო შენა! როგორ არ გრცხვენია ასეთი გულისამრევი ტყუილებით რომ ტენი შენს პასკვილს, ღმერთის მაინც არ გეშინია. დავდგე ახლა და საჯაროდ ვამტკიცო, რომ მწერალთა კავშირში თხემით ტერფამდე დახვეწილმა ინტელიგენტმა, სამაგალითო პიროვნებამ და ერისკაცმა თენგიზ ბუაჩიძემ (ღმერთმა მარადიულ ნათელში ამყოფოს მისი ულამაზესი სული) მიმიყვანა და კაგებეს არ ჩავუნერგოვარ იქ; სხვათა შორის, იმ ავადსახსენებელ კაგებესთან ჩემი წილი ომი მართლაც გადავიტანე და იმ ომიდანაც პირნათელი გამოვედი (დევთან მებრძოლი ნაცარქექიასი არ იყო.); რომ 1991-1992 წლებში ჩემი თანამომძენი იარაღით არ დამიხოცავს და, საერთოდაც, იმ საშინელ წლებში დატრიალებული ტრაგედია ჩემი პირადი ტრაგედიაც იყო, არც „ბუდკები“ და სავაჭრო წერტები გამიხსნია; არც ნევროპათოლოგებთან მიბრუნება და არც ხიდიდან გადახტომა მიცდია არასოდეს (ამისაგან შენც ღმერთმა დაგიფაროს, სასიკვდილოდ არ შემეტები, შე ოღრაშო, შენა!). ერთს კი დავიდასტურებ, რომ ღირსების ორდენი მართლაც მომანიჭეს. ის კი არა, კრამიტებს თუ არ დაამტვრევ გაბრაზებული, ყურში იმასაც კი გიჩურჩულებ, რომ ღირსების მედალიც მაქვს მიღებული. ძალიან

ნუ ინერვიულებ ამაზე, რაიმე ციკლი არ შეგიწყდეს ჩემო გივი-ლუსი.

ვწერ გივიკოზე და ნაპოლეონ ბონაპარტე მახსენდება, არა, საფრანგეთის იმპერატორს კი არ ვადარებ, ამ დიდი უზურპატორის სიტყვები წამომიტივტივდა გონებაში: „გადაფხიკეთ თავი რუსს და უმაღვე მონღოლი აღმოჩნდება“. ვაშინერს, ვაშინერს, გივი, ღმერთმა დაგვიფაროს შენი თავის გადაფხიკისაგან, ისეთი უწმინდურება და სიმყარლე წამოვა იქედან და ააქოთებს ყველაფერს. მართლაც ძალიან მეცოდები, მეცოდები იმიტომ, რომ ვერც კი გაისიგრძეგანე, თუ რა უძძიმესი ნეკროზული მოვლენები ვითარდება შენს სულში, როგორ თანმიმდევრულად კლავ შენს არსებაში პოეტს, შემოქმედს, უბრალოდ, ადამიანს. მინდა მჯეროდეს, რომ ვერ მხოლოდ პარანეკროზია დაწყებული და ნეკრობიოზამდე ბევრი გიკლია. დიდი ფული იშოვნე და გგონია ყველაფრის უფლება გაქვს, რიგითი ნადირლობა აღარ გაკმაყოფილებს, არადა, ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ როცა ქვეყანაში უკანონობა მეფობს და კაცი ღირსებით კი არ ფასდება, არამედ სიმდიდრით, სირცხვილია, იყო მდიდარი. გაიგებ კი ამას ოდესმე?

მაინც რა მოხდა შენს არსებაში ისეთი, მართლაც მაქციად რომ იქეცი? თავი მოგაქვს მურმან ლებანიძესთან ურთიერთობით და ამ მართლაც სამთაწმინდე პოეტის ერთ შემთხვევას გავახსენებ მკითხველს. მურმანი რუსთაველის პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე იყო წლების განმავლო-

ბაში და ერთხელ მასთან მაღლობის სათქმელად მისულ ახლად პრემიამინიჭებულ მწერალს პირდაპირ უთხრა, მე მაღლობას ნუ მეუბნები, შენთვის ხმა არ მომიციაო. კაცია და გუნება, ალბათ, არ თვლიდა იმ ავტორს პრემიის ღირსად და ხმა იმიტომაც არ მისცა. ბატონებო, წარმოიდგინეთ ასეთ შემთხვევაში როგორ მოიქცეოდა ჩვენი გივი. აი, როგორ. ერთმა ჩინებულმა ლიტერატორმა, პოეტმა და კრიტიკოსმა „სახას“ პრემია მიიღო. მეორე დღეს, გარაჟრაჟისას, ტელეფონის ზარმა გამოაღვიძა. გივი იყო, ეს გივი, ალხაზიშვილი, გულწრფელად გილოცავ პრემიის მინიჭებას, წუთითაც არ შემპარვია ეჭვი, პრემიას რომ მიიღებდიო და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. დაბნეულმა პრემირებულმა მაღლობები კი უხადა მომლოცველს ყურადღებისა და დაფასებისათვის, მაგრამ მერე და მერე ისიც გამოარკვია (თბილისი მაინც პატარა ქალაქია!), რომ ჟიურის წევრებს შორის ყველაზე დიდი წინააღმდეგობა მისი კანდიდატურისთვის სწორედ გივი ალხაზიშვილს გაუწევია. ახლა გინდა იცინეთ, ბატონებო, და გინდა იტირეთ.

კიდევ ერთ სასერიო ამბავს შეგახსენებთ გივიკოს ცხოვრებიდან. „ცისკარში“ ეს ჩვენი ცოდვით სავსე ერთ-ერთ კოლეგას დასტაკებია, კავებშინიკი ხარო. იმ საცოდავს თავისი არეულ-დარეული ცხოვრებაც ეყოფოდა, მაგრამ არ ეშვება ეს გივი. ჰოდა, როცა შეულონებია მიმსვლელ-მომსვლელი, ერთ-ერთ მათგანს უკითხავს

გივისთვის, შენ რა იცი, კაგებეშნიკია თუ არაო. როგორ თუ რა ვიცი, შეყალყულა მბრალდებელი, კაგებეში საკუთარი თვალთ ვნახეო. მეორე შეკითხვის მერე, შენ რაღა გინდოდა იქაო, ისე მოულოდნელად გამქრალა „ცისკრიდან“ ეს „ხმალამოლებული“ მორალისტი, რომ კარგა ხანს აღარავის უნახავს. ალბათ, სადმე ბნელ კუთხეში იჯდა და იდაყვს იჭამდა, ეს როგორ წამოძვდა, როგორ წამოვროშეო. რამდენი ასეთი შემთხვევა ვიცი ამ თვალთმაქცის ცხოვრებიდან. ამ ამბების შემსწრენი ცოცხალნი არიან, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს ისინი და თუ საჭირო იქნება თავადაც დაადასტურებენ ზემოთქმულს.

აი, მკრთალი მონახაზი „გამოჩენილი ქართველი მწერლის და საზოგადო მოღვაწისა“, აი მისი „ავტობიოგრაფიული რომანის“ სიბინძურეთა მცირედენი ნაწილი. ისევ მურმან ლებანიძეს მოვიშველიებ, მის ერთ უსათაურო ლექსს, რომელიც გივისნაირ ნაძირალას ეხება. „პროზის დურბელასა ხარშავსო“ – წერს პოეტი ერთ უღირსებო მჯღაბნელზე.

იგივე შეიძლება ითქვას გივის ამ „ავტობიოგრაფიულ შედეგზე“, რომელიც პროზის დურბელაა და სხვა არაფერი.

ნამდვილ, ჭეშმარიტ ლიტერატურაში არ შეგეშალოთ, ძვირფასო მკითხველებო! თუმცა რას გაფრთხილებთ – პირველივე აბზაცებიდან ცხადია, რანაირ ხელიდან წასულ, სინდისგარეცხილ გაიძვერასთან გვაქვს საქმე.

და მაინც ერთი კითხვა არ მასვენებს. ასეთი რა მოხდა გივი აღზაზიშვილის სულში, რატომ არჩია ქართველი პოეტის ნარეკლიან, მაგრამ ამაღლებულ, ღვთისგან დალოცვილ გზას სიამეთა მრუში ჭაობი, რატომ დაემსგავსა, სამწუხაროდ, თავადაც ჭაობს, აშმორებულ ჭაობს და მის ბინადართ, რამ გააბოროტა, რამ აუბნია თავგზა?!

იმან ხომ არა, რომ კარგად ხედავს, ახლოვდება ცხოვრების დაისი, როდესაც ადამიანმა უნდა შეაჯამოს თავისი ნამოქმედარი და ისე უნდა წარუდგეს არსთაგამრიგეს. გივიმ კი, ათას დარჯაკში გამძვრალ-გამომძვრალმა მაჩვმა, კარგად იცის, რომ მისი ლიტერატურული საქმიანობა (არაფრით არ ვიტყვი, ფაფხური-მეთქი), მისი ლექსები, მოთხრობები, რომანები თუ ლიტერატურული წერილები, სამწუხაროდ, არ აძლევს იმის გარანტიას, რომ არათუ ქართულ მწერლობაში, მწერლობის ისტორიაში მაინც მოიხსენიონ, „მრავალწერტილს“ თუ არ მივიღებთ მხედველობაში. აი მისი გაბოროტების, მისი ავადმყოფური ამბიციების წარმოშობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. თვითდამკვიდრებისაკენ ანომალური სწრაფვა ხომ ერთგვარი დაავადებაა, როგორც ამ საქმის სპეციალისტები ამტკიცებენ. ჰოდა, რა ქნას გივიმ? რა ქნას და ჩათვალა, რომ თუ ჭაბუა ამირეჯიბს, თამაზ ჭილაძეს, ჯანსუღ ჩარკვიანს, ირაკლი აბაშიძეს, იოსებ ნონეშვილს, ემზარ კვიციანიშვილს, ჯანსუღ ღვინჯილიას, მურმან ჯგუბურიას ნუგზარ შატაიძეს და სხვა მნიშვნელოვან

ქართველ მწერლებს გაკენწლავს და ტალახს გადაასხამს, უბირი მკითხველი ხელებს გაშლის და ჩაფიქრდება, თუ ასეთ მწერლებს უბედავს თავხედურ მოპყრობას, თვითონაც მათი ბაღალი ყოფილაო. გახსოვთ ხომ მარკ ტვენის ფრთიანი ფრაზა: „იულიუს კეისარი მოკვდა, შექსპირი მოკვდა, ნაპოლეონი მოკვდა და მეც ვერ ვგრძნობ თავს მთლად ჯანმრთელად“. ჰო, ბატონო გივი, ენაკვიმატი მწერლის ეს გამონათქვამი მთლად შენზეა მორგებული, მართლაც ვერ ხარ ჯანმრთელად და ხანგრძლივი მკურნალობა გესაჭიროება, თანაც სტაციონარული მკურნალობა, რომ შენი სულიდან გამომძვრალი გველი იქნებ რაღაც მანქანებით უკან აღარ ჩააბრუნო და გამოჯანმრთელდე. თუმცა მკურნალობამდე დიაგნოზის დასმაა საჭირო, უტყუარი დიაგნოზის დასმა. ამისათვის კი შორს წასვლა არ დაგვჭირდება, ქართველთა სულიერი მწყემსის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის საშობაო ეპისტოლედან მოვიტან რამდენიმე მცირე ამონარიდს:

„ამპარტავნება – ეს არის უპირველესი, უდიდესი და უსაშინლესი ცოდვა... ადამიანმა შეიძლება დაძლიოს ყველა ცოდვითი მიდრეკილება და მიხვდეს, რომ ესა თუ ის ვნება აღარ აწუხებს, მაგრამ ამას ვერასოდეს იტყვის ამპარტავნების შესახებ, რომელსაც შეუძლია მსწრაფლ განაქარვოს წლების განმავლობაში ჩვენი ღვაწლით მოპოვებული მადლი... როცა ადამიანი თვითკმაყოფილებას განიცდის

ცოდვებთან ბრძოლაში მიღწეული წარმატებებით, მაშინ სახეზე გვაქვს ამ სენის ყველაზე მძიმე ფორმა – სულიერი ამპარტავნება... ამპარტავანი, კეთილდღეობის შემთხვევაში, კიდევ უფრო ამაყი ხდება განსაცდელის ჟამს კი ხვედრს ემღურის, გაბოროტებულია...“

ვინც კი წაიკითხავს გივი ალხაზიშვილის ამ ავტობიოგრაფიულ რომანს, მყისვე მიხვდება, რომ მისი ავტორი, სწორედაც, რომ სულიერი ამპარტავნობის უმძიმესი ფორმითაა დაავადებული.

ძალზე სამწუხაროა, სამწუხაროა იმიტომაც, რომ, როგორც იაკობ მონციქული გვაფრთხილებს, „ამპარტავნთა შემუსრავს ღმერთი“ (იაკობი, 4,6).

გივი!

ღმერთმა ხომ იცის, არავითარი სურვილი არ მქონია შენთან პაექრობისა, შენი სულიერი პორტრეტის დახატვისა. კალამი ხელში მხოლოდ იმან ამაღებინა, რომ მკითხველმა მართლა არ დაგიჯეროს და შენი ღვარძლიანი ცილისწამებები ობოლ მარგალიტად არ მიიღოს. ცოტა იმის იმედიც კი მაქვს, რომ გონს მოეგები და აღარ გააგრძელებ ცოდვის გზაზე სიარულს.

ნეტარ არიან მორწმუნენი!

P.S. ვერ ვითმენ, რომ ორიოდე სიტყვით წიგნის რედაქტორს არ მივმართო. უფალო რედაქტორო, ვიცი, რომ კარგა ხანია, რაც გივი – ლუსი „იშვილეთ“, კი, ბატონო, „იშვილეთ“, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მაგრამ ერთი

მოკრძალებული კითხვა მაინც უნდა დაგისვათ. თქვენ თავის დროზე უმძიმესი ტვირთი აიკიდეთ მხრებზე, როცა განაცხადეთ, ქართული მწერლობა ჩემი დასალაგებელიაო. მსგავსი განცხადება თქვენგან ზედმიწევნითი ობიექტურობის გარდა კრისტალურ პატიოსნებასაც გულისხმობს თავის თავში.

ჰოდა, გთხოვთ, გემუდარებით, პატიოსნად მიპასუხოთ, როცა „მომავალ წარსულზე“ მიძღვნილ წინასიტყვაობაში ახსენებთ აკაკის „ჩემს თავგადასავალს“, დავით და სერგო კლდიაშვილების, იაკობ მანსვეტაშვილის, სოფრომ მგალობლიშვილის, გიორგი ლასხიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, სხვათა და სხვათა მემუარულ თხზულებებს, მართლა მიგაჩნიათ, რომ გივი ალხაზიშვილის აბლაუბდის გვერ-

დით ეს წმინდა სახელები უნდა მოიხსენიოთ? კალისტრატე ცინცაძეს რაღას ერჩით, დალოცვილო, ქართული ეკლესიის წმინდანს, მაინცდამაინც, გივი-ლუსის, ჩეჩმაში ჩავარდნილი ცახესის ჭუჭყიანი, ბინძური საცვლების გვერდით რომ გინდათ მიუჩინოთ ადგილი. სულს რატომ იწყობდავთ? იმასაც შეგახსენებთ, ამ უსირცხვილო არსებისთვის ღალატი მხოლოდ დროის საკითხია და, ვინძლო, ერთ მშვენიერ დღეს, თქვენც არ აღმოჩნდეთ გაცუცურაკებული!

უფალო რედაქტორო, თუ ასე აპირებთ ქართული მწერლობის დალაგებას, მეტისმეტად უნუგეშო სურათი დაიხატება და ამაზე სერიოზული დაფიქრება გმართებთ.

ზაალ ბოტკოველი

ჰერმეზგარი... ჰერმეზგარი... ჰერმეზგარი...

ჟურნალ „სიტყვის“ მე-13-14 ნომერში დაიბეჭდა ნუგზარ წერეთლის წერილი საერთო სათაურით „ვერშემდგარი... ვერშემდგარი... ვერშემდგარი“. წერილმა ჩვენი მკითხველების დიდი ინტერესი გამოიწვია. იმის გამო, რომ ხუთას ეგზემპლარად გამოსული ჟურნალის ნომერი ბევრს ვერ შეხვდა, მკითხველების თხოვნით განმეორებით ვაქვეყნებთ აღნიშნულ წერილს და ვთხოვთ მათ, კვლავაც მოგვაწოდონ საკუთარი ფასეული მოსაზრებები.

კარგად მახსოვს დიდი ქართველი მწერლის, მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ჭეშმარიტი კლასიკოსისა და უახლეს ქართულ პროზაში ახალი გზების გამკვალავის, 26 წლის მარადიულ ჭაბუკად დარჩენილი გურამ რჩეულიშვილის დაბადებიდან 50 წლისთავის საიუბილეო დღეები. ხალხმრავალი იუბილე ჩატარდა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, შემდეგ 1984 წლის 4 ივ-

ლისს ნამდვილად გრანდიოზული იუბილე გაიმართა თელავის სახელმწიფო თეატრში გურამ რჩეულიშვილის დაბადების დღეს. ამასთან საიუბილეო საღამოები გაიმართა ქუთაისში, ჭიათურაში, ზუგდიდში, ბორჯომში, სოხუმში და მრავალ სხვა ადგილას. ეს იყო ტრაგიკულად დაღუპული დიდი მწერილისადმი გულწრფელი სიყვარულით განპირობებული ნამდვილი სახალხო დღესასწაული.

სამწუხაროდ, ეს იყო უკვე შორეულად ქცეულ 1984 წელს.

1994 წელს მაშინდელი მძიმე, სულიან-ხორციანად დამთრგუნველი არეულობის დროს, როდესაც არც სინათლე იყო, არც წყალი, არც გაზი, არც გათბობა, რაც მთავარია, ხალხის ძირითადი საკვები პურიც კი არ იშოვებოდა და საშინელ დონეზე შემოყრილი უხარისხო თურქული პროდუქციით ვიკვებებოდით, მაინც გამოიძებნა საშუალება, მაინც გაკეთდა აუცილებლად გასაკეთებელი საქმე. საქართველოს კულტურის სამინისტროს, საქართველოს მწერალთა კავშირისა და საქართველოს გურამ რჩეულიშვილის საზოგადოების ერთობლივი ძალებით დიდი ქართველი



მწერლის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე ჩატარდა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის დიდ დარბაზში. იუბილე კვლავაც ხალხმრავალი იყო, ჩვენი თანამედროვე მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლები გამოდიოდნენ სიტყვებით, მოგონებებით, ლექსებით, შემდეგ კი გაიმართა მეორე განყოფილება, სადაც გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებებს კითხულობდნენ და მის საყოველთაოდ ცნობილ გმირებს ანსახიერებდნენ თითქმის ყველა თაობის წარმომადგენელი მსახიობები.

1994 წელსვე, ზაფხულსა და შემოდგომის თვეებში გურამ რჩეულიშვილის საიუბილეო საღამოები გაიმართა წყალტუბოში, ბათუმში, ზუგდიდში, ბორჯომ-პარკში, თელავში, სადაც ძალიან ბევრი ახალგაზრდა მონაწილეობდა, მოსახლეობის ინტერესი შესაბამისად უაღრესად დიდი იყო, ყველას პირზე ეკერა გურამ რჩეულიშვილი, ყველა აცხადებდა, რომ მისი ბაღალი თვითმყოფადი მწერალი საქართველოში არ მოიძებნებოდა. ამავე პერიოდში დაიწერა უამრავი ლექსი, მოთხრობა, წიგნი, სტატია თუ გამოკვლევა გურამის სისხლსავსე ცხოვრებისადმი სიყვარულით შექმნილი.

გურამ რჩეულიშვილს პროზის, პოეზიისა და კრიტიკის მრავალფეროვანი ჟანრებიდან საკუთარი ნაწარმოებები მიუძღვნეს ირაკლი აბაშიძემ, გიორგი შატბერაშვილმა, თამაზ ჭილაძემ, ოთარ ჭილაძემ, ზვიად გამსახურდიამ, მერაბ კოსტავამ, გურამ გვეგშიძემ, ჯანსუღ ჩარკვიანმა, ზაურ ბოლქვაძემ, ესმა ონიანმა, ღათო ჯავახიშვილმა, თემო ჯა-

ფარიძემ, ერლომ ახვლედიანმა და მრავალმა სხვამ.

სამოცი წლიდან სამოცდათხუთმეტ წლამდე განვლილ პერიოდში გურამ რჩეულიშვილის უკვდავი სახელი ახალი შარავანდედით შეიმოსა. განსაკუთრებით საყურადღებო იყო ცალკე წიგნებად დასტამბული მისი „მოთხრობები და ნოველები“, „შაშას რეკოლუცია“, ღრმა ფილოსოფიურ-დრამატული პიესა „იულონი“. კიდევ უფრო საყურადღებოც და სასიხარულოც იყო ის გარემოება, რომ გურამ რჩეულიშვილის უმცროსი დის – მწერლისა და მეცნიერის მარინე რჩეულიშვილი-ფალავანდიშვილის თავდადებული შრომისა და საქართველოს გურამ რჩეულიშვილის საზოგადოების აქტიური ხელისშეწყობით 2006-2007 წლებში განხორციელდა გურამ რჩეულიშვილის თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემა ექვს ტომად, თანაც შესანიშნავად გაფორმებული ეს ბრწყინვალე ექვსტომეული ორჯერ ზედიზედ გამოვიდა. ექვსტომეული მალალ დონეზე გააფორმა ცნობილმა ქართველმა მხატვარმა ვახტანგ რურუამ.

საყოველთაო ყურადღება და მოწონება დაიმსახურა ახალგაზრდა მწერლის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის ამსახველმა აღნიშნულმა ექვსტომეულმა, რისი რეალური განხორციელებაც მოხდა მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი მხატვრის ზურაბ წერეთლის მხარდაჭერით. ახალგაზრდობის შორეულ წლებში გურამ რჩეულიშვილი და ზურაბ წერ-

ეთელი ახლო მეგობრები იყვნენ, შემოქმედებითი გეგმების ერთად გაკეთებაც ჰქონდათ მიზნად დასახული.

ქართველმა ხალხმა, სრულიად საქართველომ ჩვენგან ტრაგიკულად წასული გურამ რჩეულიშვილი, 9-10 მოთხრობის დაბეჭდვისა და 1961, 1965 წლებში გამოცემული წიგნებით ერთხმად აღიარა დიდ მწერლად, დიდ კლასიკოსად, ანუ როგორც ძალიან ხშირად ტრიბუნადან ამბობდნენ ხოლმე ქართული ლიტერატურის კრიტიკოსები – ძალიან დიდ მწერლად. ეს იყო თითქმის ნახევარი საუკუნის წინ, სამოციან წლებში, ექვსტომეულის აკადემიურმა გამოცემამ კი უფრო მეტად აღამაღლა მისი სახელი და შემოქმედებითი თაობის წინამძღოლის საპატიო წოდებაც დაუმკვიდრა. ამგვარი იდეებითა და იმედებით აღსავსენი მოვედით 2009 წლამდე, როდესაც გურამს შეუსრულდა დაბადებიდან 75 წლისთავის საიუბილეო თარიღი. ამას ემატებოდა ისიც, რომ 2010 წლის 23 აგვისტოს სრულდებოდა 50 წელი დიდი ქართველი მწერლის ტრაგიკული დაღუპვიდან. ეს ორი თარიღი თავისთავად განაპირობებდა და მოითხოვდა კიდევ იუბილეს ძალიან მაღალ დონეზე აღნიშვნას, რაშიც მისი ოჯახი და უახლოესი მეგობრები დარწმუნებულები ვიყავით. თუმცა იუბილე ვერ ჩატარდა ვერცერთ თარიღთან დაკავშირებით. იქნებ 80 წლისთავისათვის მოხდა იუბილის გადაღება საყოველთაო აღნიშვნის მიზნით. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო უამრავი საქმის გამო იყო დაკავებული, საქართვე-

ლოს მწერალთა კავშირმა და საქართველოს გურამ რჩეულიშვილის საზოგადოებამ კი საჭირო ფხა ვერ გამოვიჩინეთ, პრინციპულობა და დღეისათვის ასე საჭირო შემტვევი ხასიათი დაგვაკლდა, თუმცა გასაკეთებელი საქმე არც ამ ორგანიზაციებს აკლდათ.

აქვე ისიც აუცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ მწერლისათვის და ამ შემთხვევაში კონკრეტულად გურამ რჩეულიშვილის მაღალი სახელისათვის იუბილე მაინცდამაინც დიდი მოვლენა სულაც არ იქნებოდა, ეს უბრალოდ ხსოვნის, დაფასებისა და დაკანონებული პატივისცემის გამოხატულებად უფრო ჩაითვლებოდა. იმასაც უნდა გავუსვა ხაზი, რომ გურამ რჩეულიშვილის ახლობელ ადამიანებსა და მეგობრებს, ვისაც ის დიდ პატივს სცემდა და მათი სიტყვის სხვებზე მეტად სჯეროდა – ჭაბუა ამირეჯიბს, ოთარ ჭილაძეს, თამაზ ჭილაძეს, გურამ გეგეშიძეს და სხვებს არც არასოდეს მონღომებიათ, არც უცდიათ, არც უძებნიათ მათთვის იუბილეების ჩატარების გზები, იუბილეების ჩაუტარებლად ისინი ისედაც არიან დიდი მწერლები, ხალხისთვის უაღრესად საყვარელი და ახალგაზრდობისათვის სწორი, შეუმცდარი სამაგალითო კაცური გზების მაჩვენებელი ნიშანსვეტები. ამიტომ შინაგანად ნასიამოვნებიც კი ვარ, რომ იუბილე არ ჩატარდა, ის გურამ რჩეულიშვილის მაღალ სახელს ბევრს ვერაფერს შემატებდა.

წერილის სათაურშივე გამოტანილ სიტყვა „არშემდგართან...“ დაკავშირე-



გურამ რჩეულიშვილი.
ერთ-ერთი ბოლო ფოტოსურათი,
გადაღებულია 1960 წლის 4 ივლისს,
ტრაგიკულ აღსასრულამდე თვენახევრით ადრე

ბით ერთზე უკვე ვთქვით, ახლა ორი თითქმის არ შემდგარის შესახებაც ძალზე მოკლედ მოგახსენებთ.

ეს არის 2009 წელს გამოცემული „უახლესი ქართული პოეზიის ანთოლოგია“, ქ. თბილისის მერიის დაფინანსებით დასტამბული 800-გვერდიანი წიგნი. აქ 400-მდე პოეტია წარმოდგენილი, მათ შორის ბევრი საერთოდ უცნობი პოეტია, რომელთა პოეტური ნათლობაც, სამწუხაროდ, ქართული პოეზიის ანთოლოგიის ფურცლებზე მოხდა. ამ დროს არ არის წარმოდგენილი გურამ რჩეულიშვილი. ზოგმა დაბალი დონის პიროვნებამ შეიძლება გაიკვიროს იგი რა შუაშიაო, არადა ამ დროს ყველამ იცის, რომ გურამი

წერდა მშვენიერ თეთრ ლექსებს ქართულ და ხანდახან რუსულ და გერმანულ ენებზეც კი. ლექსების ნაწილი არაერთხელ დაიბეჭდა ჟურნალ-გაზეთებში, გამოვიდა პატარა წიგნად, მთლიანად შევიდა მწერლის ექვსტომეულის თხზულებების აკადემიურ გამოცემაში და სხვაგანაც გამოქვეყნდა. მისი ლექსების დაბეჭდვა ანთოლოგიას გაცილებით მეტ მნიშვნელობასა და ფასეულობასაც შესძენდა, რაც არ მოხდა ზედმეტად თავის არშეწუხების გამო.

თუნდაც ერთ მაგალითს მოვიტანთ საილუსტრაციოდ: 2007 წელს დიდი ქართველი მომღერლის პაატა ბურჭულაძის ფონდმა „იავნანამ“ გამოსცა ბრწყინვალედ შედგენილი და ბრწყინვალედ გაფორმებული ანთოლოგია „თბილისი ქართულ პოეზიაში“, საერთო სათაურით „პოეტების სამეფო“. ამ ულამაზეს ანთოლოგიაში, თუ არ ვცდები, ორასამდე პოეტის ნაწარმოებებთან ერთად შევიდა გურამ რჩეულიშვილის სამი საინტერესო თეთრი ლექსი: „აღმართი“, „დაღმართი“ და „ქუჩაში“. მნიშვნელოვან ლიტერატურულ ფაქტთან ერთად ჩემი აზრით შემოქმედებით-საგამომცემლო ხარისხის მთავარი ან გადამწყვეტი მომენტია ის, რომ თბილისისადმი მიძღვნილი ანთოლოგიის იდეის ავტორია მსოფლიო დონის მომღერალი პაატა ბურჭულაძე, ცნობილი ბიბლიოფილი გურამ ახალაია, რედაქტორ-შემდგენელია გამოჩენილი ქართველი პოეტი ემზარ კვიციანიშვილი, საოცრად მაღალი დონის მხატვრობა და გაფორმება კი ეკუთვნის გამოჩენილ ქართველ მხატვარს, სახელმწიფო

პრემიის ლაურეატს, უმაღლესი დონის გრაფიკოსს გოგი წერეთელს; უახლესი ქართული პოეზიის ანთოლოგიის იდეის ავტორი და მთავარი რედაქტორი კი არის ვაჟა ოთარაშვილი, გაფორმება – დამწეებ დიზაინერებს: ლექსო ოთარაშვილსა და სალომე პაიჭაძეს ეკუთვნის, მხატვარიც კი არ მოუწვევიათ ძლივს ერთხელ გამოცემული ანთოლოგიის მაღალ დონეზე გასაფორმებლად, ამიტომაც არის, რომ ერთად დალაგებული ანთოლოგიები აგურებს ან ბლოკებს უფრო ჰგავს.

სანამ პოეზიის ანთოლოგიაზე კიდევ ვიტყვოდე რამეს და 2010 წელს გამოცემულ უახლესი ქართული პროზის ანთოლოგიასაც მოკლედ შევეხებოდე, აუცილებლად მინდა ვთქვა, რომ მე მწვავე კრიტიკას და ჩხუბის შემდეგ მუშტების ქნევას არ ვაპირებ, მხოლოდ აუცილებლად მიმაჩნია კანონის ძალის მქონე საავტორო უფლებების კუთხით რამდენიმე შენიშვნის თქმა, რასაც არავინ არ შეხებია, საავტორო უფლებები კი, როგორც ორგანიზაციის, ისე პიროვნების პასუხისმგებლობას ერთნაირად განსაზღვრავს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თითქმის თორმეტი წელიწადი ვხელმძღვანელობდი საქართველოში ყველა ეტაპზე ძალზე აქტუალურ საავტორო უფლებების მაკოორდინებელ ორგანოს. საავტორო უფლებები, იგივე კანონია, მისი დარღვევა არავის არ ეპატიება, დამრღვევი კი ისჯება ან კანონისა და სასამართლო ორგანოების მიერ სისხლის სამართლის წესით ან მწერლური მორალისა

და ეთიკის კუთხით, რაც ადმინისტრაციულ სასჯელზე ნაკლებია როდია.

იმ ანთოლოგიაში, სადაც გურამ რჩეულიშვილის ლიტერატურის ისტორიის საკუთრებად ქცეული მნიშვნელოვანი პოეზიისათვის ადგილი არ მოიძებნა, როგორც ვთქვი, სრულიად უცნობი ავტორების, დამწეებებისა თუ დაწეებულების, ოღონდ მანც უცნობების ლექსებითაა სავსე. ლიტერატურული ან თუ ხმამაღლა არ იქნება ნათქვამი, ისტორიული სიმართლის უტყუარობის მიზნით ისიც უნდა ითქვას, რომ გურამ რჩეულიშვილი იმ დროს წერდა თეთრ ლექსებს, ანუ ქმნიდა 1955 წლიდან, როცა ქართული თეთრი ლექსის წარმომადგენლები ღია სტურუა, ბესიკ ხარანაული და ამ მიმდინარეობის სხვა მიმდევრები ჯერ კიდევ არ იყვნენ გამოსული ლიტერატურულ სარბიელზე. ამრიგად, ამ საქმეში, მე-20 საუკუნის ორმოცდაათიანი წლების პერიოდში ვერლობის დანერგვის საქმის მებაირახტრედ გურამ რჩეულიშვილი უნდა მივიჩნიოთ.

უახლესი ქართული პოეზიის ანთოლოგიის თუნდ ზერელე თვალის გადავლებითაც კი დაინტერესებული პირი აუცილებლად შენიშნავს ერთ საოცარ დიფერენციაციას, შემდგენლების თუ მთავარი შემდგენელის მიერ არასწორად მოძებნილს, ნაჯახით მუშაობასა და უშნო ჭრასთან გაიგივებულს: დიდ პოეტებს დათმობილი აქვთ ოთხი გვერდი, გამოჩენილ პოეტებს – სამი, ცნობილ პოეტებს ორი, მათი აზრით ისე რა პოეტებს კი ერთი გვერდი. შეიძლება ამგვარი მიდგომა ადამიანურად

კიდევ რალაცით გაამართლო, მაგრამ იმას კი არავითარი გამართლება არ მოეძებნება, რომ მწერალთა კავშირის გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ ღირექტორი, ანთოლოგიის იდეის ავტორი და მთავარი რედაქტორი, სარედაქციო კოლეგიის წევრი და თავმჯდომარე ვაჟა ოთარაშვილი, ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის საკმაოდ უცნობი თავისი პოეზიით, ოთხ გვერდზეა წარმოდგენილი, ხოლო სარედაქციო კოლეგიის წევრის საერთოდ უცნობი პოეტის, ამ ბოლო დროს ბევრ წერილში მოხსენიებული ვერა ზამთარაძის პოეზია სრულ სამ გვერდზეა განთავსებული. ე.ი. საერთოდ დაბნეული საზოგადოებრიობისათვის ერთი დიდი პოეტის რანგშია აყვანილი, მეორე კი გამოჩენილის. ამ დროს ორი გვერდი ძლივს აქვთ დათმობილი მართლა გამოჩენილ, თვითმყოფად პოეტებს – ზაურ ბოლქვაძეს, ოთარ მამფორიას, რევაზ მარგიაანს, თელო ბექიშვილს და სხვებს, შესანიშნავი ქართველი პოეტი ოთარ ჭელიძე კი საერთოდ ერთ გვერდზე ძლივსაა წარმოდგენილი, რაც სამარცხვინო ფაქტია. „უახლესი ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ სარედაქციო კოლეგიასა და ხელმძღვანელობას, ახალ ხელმძღვანელობას და საერთოდ ყველას უნდა შევანსენოთ, რომ არა მარტო სისხლის სამართლის კოდექსში, არამედ საავტორო უფლებების მსოფლიო მასშტაბით აღიარებულ კანონებშიც ბუნებრივია, არსებობს თანამდებობის ბოროტად გამოყენების ცნება და მსგავს არაფრის მომტან, პირიქით საქმის გამ-

აფუჭებელ არაადეკვატურ ცდუნებებს თავი უნდა ავარიდოთ.

ასევე საავტორო უფლებების კანონის შესაბამისად, რაც ჟენევისა და ბერნის კონვენციების გადაწყვეტილებათა თანახმად მთელ მსოფლიოში მოქმედებდა და მოქმედებს, ყველა ავტორს აქვს ხელშეუხებელი უფლება მისი ავტორობით თუ ავტორთა ჯგუფის მიერ გამოცემული წიგნებიდან უფასოდ მიიღოს აუცილებელი საავტორო ეგზემპლარები. ადრე ეს უფლება წიგნის 10 ეგზემპლარს შეადგენდა, მერე ფორმაციათა ცვლისა და არეულობის შედეგად საავტორო ეგზემპლარების რაოდენობამაც დაიწია, მაგრამ 2 ეგზემპლარს მაინც არასოდეს ჩამოსცილებია. ანთოლოგიის შემთხვევაში კი, მთავრობისა და მერიის გარდა, ყველა ავტორისათვის ერთი ეგზემპლარი ოცდაათ ლარად და ბევრ შემთხვევაში მეტადაც იყიდება. პირადად მე ორ ეგზემპლარ პოეზიის ანთოლოგიაში სამოცი ლარი გადავიხადე, თან დამადლებით, რომ სხვაგან კიდევ უფრო ძვირად გაიყიდება და ასეთი შეღავათი მხოლოდ მწერლებისთვის არის დაწესებული. არაერთი საწყალი ან შეჭირვებული ავტორი 30 ან 50 ლარს ნამდვილად ვერ გადაიხდის ანთოლოგიებში. გამოდის, რომ მერია საკმაოდ უხვად აფინანსებდა ანთოლოგიების გამომცემლებს, ისინი კი კვლავ მუქტი ფულის შოვნაზე იყვნენ გადასულები.

გადაწყვეტილი მქონდა საქართველოს მწერალთა კავშირსა და გამომცემლობა „ეროვნულ მწერლობას“ შორის მომხდარ მეტად უსიამოვნო შეხლა-შემოხლაში საერთოდ არ მიმე-

ლო მონაწილეობა, მით უმეტეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, უწმინდესთან და უნეტარესთან შეხვედრისა და მართებული ჭკუის ღარიგების შემდეგ, მაგრამ ზოგიერთმა სრულიად არასწორმა, არაკოლეგიალურმა გულგრილობამ თუ დანაშაულებრივმა ქმედებამ მიბიძგა საავტორო უფლებების დაცვის კანონისმიერი პრიზმიდან შემეხედა ფაქტებისათვის. ბუნებრივია, რაც ითქვა იმას აღარ ვიძეორებ, ზედმეტად კრიტიკას გვერდს ვუვლი, აუდიტის თუ პროკურატურის ურთულეს ფუნქციებში ოდნავაც არ ვიჭრები, არც არავის ვიცავ, არც ვემხრობი, მხოლოდ სიმართლის და პატიოსნების ფენომენს ვითვალისწინებ. აქვე მინდა ისიც მიუკიბმოუკიბავად განვაცხადო, რომ გურამ რჩეულიშვილის ხსოვნისადმი ნებსით თუ უნებლიეთ, მცირედ თუ მეტად შეხებისას, მისი დიდი შემოქმედების ნებისმიერი დონით ხელყოფას თუ უგულვებელყოფას ვერავის ვაპატიებ, გინდ მწერალი იყოს, გინდ კრიტიკოსი, გინდ დეპუტატი თუ მინისტრი. ამას გაგაკეთებ არა მხოლოდ როგორც უახლოესი მეგობარი, არამედ როგორც საქართველოს გურამ რჩეულიშვილის ოცწლიანი საზოგადოების პრეზიდენტი.

და აი, „უახლესი ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ გამოცემიდან მგონი ერთ წელიწადში გამოვიდა „უახლესი ქართული პროზის ანთოლოგიის“ ორტომეული. გადავათვალიერე და გაოცებული, უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვი, შეურაცხყოფილი და გაოგნებული დავრჩი. ანთოლოგიაში არ არის

შეტანილი, დღევანდელი, ბევრისთვის საყვარელი გამოთქმა რომ ვინმარო, ქართული პროზის მეგა-ვარსკვლავი გურამ რჩეულიშვილი. ე. ი. არც ამ შემთხვევაში შეიწუხეს თავი და სახელის სასწრაფო მოხვეჭის მსურველი ნაცნობ-მეგობრებით გაუწვალებლად გაჭედეს ტომეულები. მე რომ არ ვიყავი პროზის ანთოლოგიაში, სულაც არ მწყენია, თავი რომ გავანებოთ ჩემი ავტორობით გამოცემულ სამ რომანსა და ათ პროზაულ წიგნს, მათ შორის მეოცე საუკუნის ბოლოს 71 ათასი ტირაჟით გაყიდულ წიგნებს გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ: „მე ახლაც 26 წლისა ვარ“ და „აი, მე, გურამი ვლგავარ თქვენს წინ“, არ მწყენია-მეთქი ვთქვი და ვთქვი იმიტომ, რომ ასეთი დონის ანთოლოგიებში დაბეჭდვას ჯობია საერთოდ დაუბეჭდავი დარჩეს შენი ნაწარმოებები. გურამ რჩეულიშვილის არშეტანა კი ვერ ავიტანე და ამას ვერცერთი ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი ვერ აიტანს. ეს ფაქტი არის არა მარტო საავტორო უფლებების უხეში დარღვევა, არამედ მკრეხელობაც და დანაშაულიც კი ქართველი ხალხისა და ქართველი ახალგაზრდობის წინაშე, ვისაც უსაზღვროდ უყვარდა და უყვარს ტრაგიკულად კი არა, გმირულად დაღუპული მათი თანატოლი დიდი მწერალი. აქვე შეიძლება ისიც ითქვას, რომ სიჩქარისა თუ ნაცნობ-მეგობრებთან თავის გამოჩენა-დამსახურების დროს ანთოლოგიიდან გამორჩათ ისეთი საინტერესო მწერლები, როგორებიც არიან: დათო ჯავახიშვილი, ერლომ ახვლე-

დიანი, კარლო კობერიძე, ფრიდონ ხალვაში და ალექსანდრე სამსონია აჭარადან, გურამ ბათიაშვილი, თეიმურაზ მაღლაფერიძე, გიორგი პაპუაშვილი, ლევან მაღაზონია და სხვები.

ისევ გურამ რჩეულიშვილთან დაკავშირებით გამახსენდა: მგონი ამ ათითორმეტი წლის წინ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა მაშინ ჯერ კიდევ უცნობი ვაჟა ოთარაშვილის წერილი. წერილი ვერსად ვეღარ ვიპოვე. ეს თუ არ ვცდები მაშინ იყო, როცა ვახტანგ რჩეულიშვილის უკვე ყოფილი სოციალისტური პარტიის ხაზით ვაჟა ოთარაშვილი დეპუტატობისთვის ემზადებოდა. მახსოვს ავტორი აქებდა და აღიებდა უბრწყინვალეს პროზაიკოსს გურამ რჩეულიშვილს და იმასაც ამბობდა, რომ დიდი მადლობა უნდა მოვახსენოთ ნუგზარ წერეთელს, გურამ რჩეულიშვილი სწორედ მან შემოუნახა და აჩუქა საქართველოსო. ახლა კი, როცა ვაჟას ხელში სამწუხაროდ უსაზღვრო ძალა-უფლება ჰქონდა ჩაგდებული და შეეძლო საკუთარი წერილის ადრესატისათვის ჯეროვანი, საჭირო, უფრო ზუსტად დამსახურებული პატივი მიეგო, მერკანტილური მიზნებით გატაცებულს „ათას ცოცხალზე უფრო ცოცხალი“ და ბევრ თანამედროვე მწერალზე ათასჯერ მეტად მოაზროვნე გურამ რჩეულიშვილი საერთოდ დაავიწყდა, ანდა მეტისმეტად დაკავებულ კაცს მხედველობიდან გამორჩა.

კარგად მახსოვს, სწორედ ჩემი საავტორო უფლებების რესპუბლიკურ დაწესებულებაში მუშაობის დროს ჩვენი

ძალიან რთული და დამღლევი მუშაობის შემდეგ, პოლონეთში უკვე მზად იყო გამოსაცემად ქართული პოეზიის ანთოლოგია. ამ ანთოლოგიის უდიდესი მნიშვნელობის საკითხს მოსკოვშიაც კი მიხვდნენ და ზოგიერთი საკითხის დასაზუსტებლად თუ პრობლემის გადასაჭრელად 1984 წლის სექტემბერში პოლონეთს გაემგზავრა ოფიციალური დელეგაცია, სადაც შევდიოდით მე, მწერალი გურამ გეგეშიძე და საავტორო უფლებების კომიტეტის – ვააპის წარმომადგენელი ჟურნალისტი ვადიმ ღუნინი. ვარშავიდან ლოდში ჩავედით, იქ დიდ და ცნობილ გამომცემლობაში მალე უნდა დასტამბულიყო 635-გვერდიანი ქართული პოეზიის ანთოლოგია პოლონურ ენაზე, რომელსაც ამზადებდნენ საქართველოს დიდად მოყვარული და ჭეშმარიტად უანგარო მეგობრები: გამოჩენილი პოლონელი პოეტი იგორ სიკირიციკი, პოეტი ტადეუშ ხრუშჩელევსკი, პროფესორი ფლორიან ნეუვაჟნი, მთარგმნელი ელეონორა კარპუკი, გამომცემლობის დირექტორი პოეტი იაცეკ ზაორსკი და მრავალი სხვა. დიდხანს მოვუწოდით კითხვებზე პასუხის გაცემას, გაცნობას და საჭოჭმანო საკითხების გადაწყვეტას. მერე გვითხრეს საჭიროა ანთოლოგიას ვრცელი წინასიტყვაობა წავუძღვაროთ და ვინ იქნება ავტორი. ჩვენ ვერაფერი ვერ ვუპასუხეთ, საკუთარ თავზე ვერ ავიღეთ პასუხისმგებლობა და შევპირდით თბილისში ჩამოსვლისთანავე ვაცნობებდით პასუხს. თბილისში შედგა საქართველოს მწერალთა კავშირისა და

საქართველოს საავტორო უფლებების კომიტეტის სხდომა, სადაც მრავალი კანდიდატურა იქნა განხილული და ბოლოს დადგინდა, რომ პოლონურ ენაზე გამომავალ ქართული პოეზიის ანთოლოგიისათვის ვრცელ წინასიტყვაობას დაწერდა გამოჩენილი ლიტერატურათმცოდნე, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი სარგის ცაიშვილი. მართლაც ძალიან შემჭიდროვებულ ვადებში დაიწერა 60 გვერდიანი ვრცელი შესავალი წერილი, დროულად გაიგზავნა პოლონეთის საავტორო უფლებების სააგენტოში და 1985 წელს საკმაოდ სოლიდური ტირაჟით გამოვიდა შესანიშნავად გაფორმებული ანთოლოგია, რაც გაცილებით მაღალ დონეზე გამოცემული, ვიდრე ჩვენი უახლესი ქართული პოეზიის ანთოლოგია, უბრალოდ სქელი წიგნი.

ეს გახსენება აქ იმისთვის დამჭირდა, რომ მეჩვენებინა როგორი სიფრთხილით, პასუხისმგებლობითა და მაღალი დონის გათვალისწინებით ვუდგებოდით ანთოლოგიისათვის განკუთვნილ წინასიტყვაობის საკითხსაც კი. გამომცემლობა „ეროვნულ მწერლობაში“ დასტამბულ უახლეს ქართული პოეზიასა და პროზის ანთოლოგიებს წინ უძღვის ერთი და იგივე ავტორის ვაჟა ოთარაშვილის წინასიტყვაობა. რამდენიმე იკითხა კიდევ ვინ არის ასეთი უნივერსალი ან რას წარმოადგენს ეს ვაჟა ოთარაშვილი ორივე ანთოლოგიისათვის წინასიტყვაობის დაწერას საკუთარ

თავზე რომ იღებსო. მართლა საინტერესოა სად გადაწყდა, ვინ გადაწყვიტა ან რატომ გადაწყვიტა, რომ ორივე წინასიტყვაობა მაინც და მაინც გამომცემლობის დირექტორს დაეწერა, ვისი კომპეტენციაც და მწერლობის დონეც სრულიადაც არ არის საკმარისი ამგვარი საპასუხისმგებლო საქმისათვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამხელა ანთოლოგიების გამოცემის ყველა მსხვილმან-წვრილმანი საკუთარ თავზე აუღია ვაჟა ოთარაშვილს, აი, ნახეთ: ის არის იდეის ავტორი და მთავარი რედაქტორი, მერიასთან ურთიერთობის აღმდგენი და საჭირო თანხის მშოვნელი, წინასიტყვაობის ავტორი, სარედაქციო კოლეგიების წევრიც და თავმჯდომარეც. ეს ფაქტიც საავტორო უფლებების დარღვევისაკენ მიუთითებს, რაც კვლავ გადაჭარბებასა და გადამეტებაში გამოიხატება. ამით იგივე საავტორო უფლებების მიხედვით კვლავაც თვალსაჩინო დარღვევას აქვს ადგილი. შეიძლება ვინმემ მისცა ასეთი რწმუნება ან მწერალთა კავშირმა მიიღო საჭირო დადგენილება, ან სარედაქციო კოლეგიამ მაინც იმსჯელა ამ საკითხზე და წერილობითი თანხმობა გასცა, ეს ზუსტად არ ვიცი, უბრალოდ ფაქტის კონსტატაციას ვახდენ.

უახლესი ქართული პოეზიის ერთტომეულსა და უახლესი ქართული პროზის ორტომეულს ყველგან გარკვევით აწერია © ვაჟა ოთარაშვილი – უახლესი ქართული პოეზიის ანთოლოგია; © ვაჟა ოთარაშვილი – უახლესი ქართული პროზის ანთოლო-

გია. კიდევ კარგი ეს საერთაშორისო დაცვის ნიშანი © მაინც არ გამოჩენიათ, არ დავიწყნიათ, საერთოდ საავტორო უფლება გარეშე პირებს არ ეძლევათ, ამ უფლებით სარგებლობს პირადად ავტორი, შემდეგ მისი მემკვიდრე, მემკვიდრეების არარსებობის შემთხვევაში კი ყველა საავტორო უფლება რჩება სახელმწიფოს, ან ასეთი რამ შესაძლებელია საავტორო უფლების სახელმწიფო კანონით დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ. აქ კი რა საოცრება ხდება, თანამედროვე ქართული პოეზიისა და პროზის წარმომადგენელთა ყველა უფლება საკუთარ ხელში აუღია ვაჟა ოთარაშვილს და შემდგომ ამ უკვე განთავისუფლებულმა კაცმა თუ მოინდომა და ქოში უკუღმა ყარა, შეიძლება არავის არ მიეცეს უფლება ანთოლოგიებში წარმოდგენილი მასალა გამოიყენოს. როცა რაიმეს ვაკეთებთ და ყველაფერში საკუთარ პოპულარობას ვეძებთ, კანონებსაც უნდა დავეუკვირდეთ და არ მოვახდინოთ მათი იგნორირება, განსაკუთრებით ისეთ ფაქტზე და საპასუხისმგებლო სფეროში, როგორცაა პოეტების, მწერლების და საერთოდ შემოქმედებითი ადამიანების კანონის ძალით დაცული საავტორო უფლებები.

შეცდომებსა და გადახვევებზე ლაპარაკი შეიძლება დაგვიანებულია, მაგრამ დაგვიანებული სწორი მითითე-

ბებიც კი ძალიან ხშირად სასარგებლოა და უეჭველად გასათვალისწინებელი. საავტორო უფლებების განუხრელი დაცვისაკენ მოწოდება მაგალითად, უეჭველად გამოადგება საქართველოს მწერალთა კავშირს, სხვა კავშირებსა თუ გამომცემლობებს, ეს აუცილებლად დასჭირდება, თუნდაც საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ ახალ ხელმძღვანელს, ახალგაზრდა მწერალს გენრი დოლიძეს და მის კოლექტივს.

ამ არცთუ ისე სასიამოვნო წერილის დასასრულს ჩვენი ჟურნალის საშუალებით მინდა მადლობა ვუთხრა ქ. თბილისის მერიის ხელმძღვანელობას, მერიის კულტურის, განათლებისა და სპორტის დეპარტამენტს, რომელთა ინიციატივითა და მხარდაჭერით დაწესდა დიდი ქართველი მწერლის, ახალგაზრდობის უსაყვარლესი შემოქმედის, ლევენდარული გურამ რჩეულიშვილის სახელობის სახელმწიფო პრემია, რაც ყოველწლიურად მიენიჭება 18-დან 35 წლამდე ასაკის თვითმყოფად, იმედის მომცემ, გამორჩეულ მწერალს. ამით ძალიან კარგი, სასარგებლო საქმე გაკეთდა ახალგაზრდა მწერლების წახალისებისათვის. უამრავი შეცდომის დაშვებასა თუ უსაფუძვლო ამბიციების გამოვლენას სჯობია ასეთ ცხოვრებისეულ პრობლემებზე ვიფიქროთ და ვიშრომოთ.

**ნუგზარ წერეთელი –
საქართველოს გურამ რჩეულიშვილის
საზოგადოების პრეზიდენტი**



ცნობილი ფარმაცევტისა და ძალზე ნიჭიერი პოეტის, მანგლისის მკვიდრის თამაზ აფციაურის ლექსები რამდენიმეჯერ დაიბეჭდა ჩვენს ჟურნალში და რესპუბლიკის პრესაშიც გამოქვეყნდა. ჟურნალის ახალ ნომერშიც ვბეჭდავთ მის გამოუქვეყნებელ ლექსებს. აქვეა წერილი ბრწყინვალე ქართველი მწერლის გოდერძი ჩოხელისადმი და მისი ხსოვნის პატივისცემით შექმნილი ორი ლექსიც. გოდერძი ჩოხელი და თამაზ აფციაური ერთი კუთხიდან იყვნენ წარმომშობით, გუდამაყრის ულამაზესი ხეობის სოფელ ჩოხიდან, და, როგორც ჩანს, ამანაც განაპირობა დიდი სიყვარული უდროოდ წასული შესანიშნავი მწერლისადმი.

სარედაქციო კოლეგია

გოდერძი ჩოხელის ბახსენება

*არ გიცხოვრია შენ ქვეყანაზე,
შენ გაიარე სიცოცხლის ახლოს.*

გალაქტიონი

ვარსკვლავები კი არა, ამ უმთვარო ღამის შავ ზავერდს, თითქოს ვიღაც მოცლილმა, მწიფე ბროწეულის მარცვლები, უამრავზე უამრავი მარცვლები „პეშვით შეაყარა მთებზე გადმომხობილ სიბნელეს და ნათლისღების დარბაზს დაამსგავსა ღამეული ცა“.

მინავლებული ნაკვერჩხლების თრთოლვა ეტყობოდათ ლოდინად ქცეულთ და ვხედავ როგორ ნელ-ნელა ცრიატდებიან,

იწურებიან მრუმე კოსმოსის ცივ საწნახელში,

უზარმაზარი, ძოწისფერი ტბა გუბდება აღსავლის კართან.

უნდა აოტოს ნათელმა ბნელი, უნდა ინათოს!

ახლა, საცაა, სახელოაკაპიწებულის რიჟრაჟი მზეს ანთებს მთების მანდალში და ვიცი როგორი საკვირველი ფერები გადმოიღვრება ქვეყნიერების საშოდან.

უცებ რაღაც ძალამ უხილავი ლახტი შემოჰკრა ცარგვალს, ბზარი გაუჩინა, პირი აუხსნა და თეთრმორუხო ღრუბლები. თრიალეთის ზმორებაატენილ ქედებზე ტვინივით გადმონთხევინა.

უფრო დაბლა კი კლდეკარის ქვემოთ, ხეობაში, საღარა ცხენით გულისწორისგან მოტაცებული ქალის მანდილივით, მიფრიალებდა მზის უნახავი, უსაეტაკესი ნისლი, ქარის ქროლვამ რომ წაჰკლიჯა თვალცრემლებას და ნაკუწ-ნაკუწ შეახია ხეთა გაშტერებულ კენწეროებს.

გათენდა.

კიდევ ერთი დღე გათენდა ჩოხელი უშენოდ.

კარდიოგრაფების კირკიტსა და კონსილიუმებს მოანდომეს დრო ექიმებმა.

არავის მოუკითხავს შენი დადაგული გულის დარდიოგრამა.

ვწევარ და უძილო ღრუბლებს შორის გამოჭიატებული სილურჯის სიღრმეს შევცქერი, შევცქერი და მონუსხული ვეთათბირები გულს; დედაჩემის შეილი რომ არ ვიყო-ცის შეილობას ვინატრებდი, მართლა ვინატრებდი, შენი და ჩემი დედის მზეს გეფიცები გოდერძი.

რა, არა ჰგავს დედის გულის ძგერას-ცის გულის ფეთქვა?

ყური უნდა მიუგდო მხოლოდ და შენი თვალთ დაინახავ რა თბილად თრთიან დღითა თუ ღამით ზეცის ლურჯი ძარღვები. შენიდან უსასრულობამდე გადაჭიმული.

რა ჩვენგან გაჭადარავებული დედის ფერის თმები არა აქვს ჟამის-ჟამ

კიტონის თავზე ჩამოშლილ ღრუბლებს?

დედის უბესა და კალთასავით თბილი არ არის ხოლმე დაისით მოჭიქული დასალიერი? ცრემლი?

ცის ცრემლი? – დედის ცრემლივით წმინდა არ იცის ცამ დალოცვილმა წვიმა რო ჰგონიათ სიტყვაუშუქართ.

შენ და ცას შორის დედაშვილობის უხილავი ჯაჭვი იყო გაბმული.

ალბათ ამიტომ არ მოიღალა შენში ობოლი, „ცასწავლა“ ჩიტის წადილი, სამოთხის გვრიტებთან ფრენის წადილი.

გოდერძი ვიცი, რომ ყველანი გიყვარდით. ჩვენ ხომ შენი მოთხრობები ვიყავით, წერა მწერლისაგან ზოგი სათაურით, ზოგი უსათაუროდ დაბადებულნი.

აი, ახლაც ამ ქვეყნიდან შენს წასვლაზე ცრემლობენ მთვრალი მოთხრობები. გამიხარდაიც აღარ აგროვებს დარდებს, ალბათ ყველაზე ბოლო და დიდი დარდი შენ იყავი მისთვის ხევი ყაზბეგს ჰგავდა გაღვიძებული,

ფშავს ვაჟას ბუბუნი არ აძინებდა,

ჰაი გიდი?!

გვიან იმშობიარა გულამაყარმა ...

ამ ღვთისა და კაცისაგან მივიწყებულ ხეობაში, ერთ სიბნელით გამჭვარტლულ, ღამეულ ცაზე უცნაური ვარსკვლავი ამოკიაფდა და თანაც ისეთი სიკამკამით, რომ მისი სინათლით დაბრმავებული და ელდანაცემი ვეება ლოლები, გაკვირვებისაგან ენაჩავარდ-

ნილნი, ახლაც უგონოდ ყრიან შავი
არაგვის პირზე – დარსა თუ ავდარში.

მერე ბევრმა დღემ-ბევრი ღამე
შეცვალა

ბევრ შემოდგომის ფარდავს გადა-
ეფარა – ზამთრის თეთრი ნაბადი.

ტრიალებდა წუთისოფლის
კარუსელი,

ტრიალებდა თავისი სიტკობ-სიმ-
წარით.

მაგრამ არა და არ მოიღალა შენ-
ში ობოლი, „ცისწავალა“, ჩიტის წადილი,
სამოთხის გვრიტებთან ფრენის
წადილი,

ზეცით ნაშობს, ზეცა გიხმობდა.
და ბოლოს მაინც ადამიანად ყოფ-
ნის ტკბილ სევდას, ისევ ადამიანად
არყოფნის სევდა არჩიე

სამარადისო სევდა

წერილი ბოდბეში ჩოხელს

ბროწეულმოყრილ ტაბლას ჰგავს ზეცა,
შეცვქერი, ვფიქრობ სასრულ-საწყისზე
და ვხედავ მთვარე გაბუტულ მიწას
როგორი თრთოლვით უხსნის საკინძეს.

მშვიდია მშვიდზე შენი სამარე,
ასცქერს სამთავროს ლოცვად ატყორცნილს,
ამაღამ მოვა ნოემბრის ქარი
და შენს დათრთვილულ საფლავს დაკოცნის.

რამდენჯერ მოგკლეს ერთ სიცოცხლეში.
ამ წიწოლების გარემოცვაში,
დაყუდებულა არაგვზე ნისლი
გარინდებულა შენზე ლოცვაში.

ქარმა დახურა შენი მოთხრობა,
ხელით ნაწერი შენი რვეული,
ლექსი შემომრჩა, სხვა რა ოხრობა,
უფლის სიტყვისგან ჩამოხვეული.

აქ-ყველაფერი ისევ ისეა,
მზე სამზეოში ნებიერ-ნანაობს,
სამთვარიოში ეხვევა მთვარე,
მოდის თავის გზით და მიქანაობს.

ცრემლი მოწვეთავს დედო ზარიდან,
 მიწაც კენესის და შენი ძვალ-ხორციც,
 ამაღამ მოვალთ მე და ქარი და
 შენს ცივ, დათოვლილ, საფლავს დაგკოცნით

ბოდბეძი ჩოხელისადმი

*„ამომიტანეთ, რომ მოვკვდები,
 საჯიხვეზე ამომიტანეთ,
 აქედან კარგად ჩანს საქართველო“.*

გოდბეძი ჩოხელი

გუდამაყრის ყვავილებო,
 ჩქერო შავი არაგვისა,
 გაეხვეწა ერთი მოყმე
 ღვთის თვალნადგამ სანავესა.
 თეთრ არაგვზე გამოვტოპე,
 არ უწყოდა საწუხარი.
 ტანში ზვირთი გაეყინა,
 სამძიმარი რომ ვუთხარი.
 გიორგწმინდას ჩოხისასა
 ხელით შუბი გაუვარდა,
 დაიმწუხრა დიდმოწამემ,
 თვალში ცრემლი გაუავდრდა,
 გუდამაყრის სალოცავენო,
 ზეგარდის და ჩოხის ყმანო,
 გვიანია – ყველამ ვიცით,
 ვის ვტირით და რასა ვნანობთ,
 საჯიხვეზე ბინა სურდა.
 აუსრულეს? არა, სცოდეს!
 ბუსარჭილზე თალხი ნისლი
 აიყრება? – არასოდეს!

მისჯილი სიცოცხლე

ფანტელებით აბნეულ ღრუბლებს
ცაზე აცეკვებს ქარი „ლამბადას“,
სად შეცდა ნეტავ ბედის ვარსკვლავი
ამ ბორკილებით როცა დამბადა.

სიცოცხლეს მისჯილს, ვინც ათრევს უღლით,
მისჯილ სიკვდილზე უარესია,
ამ უთავბოლო მტრობით და შუღლით
გულზე ბალღამი ჩამომსრესია.

ვინ მომიქსოვა ფიქრებით ღამე
ასე თალხი და ასე საზარი,
კივილი ყელში ისე გამჩრია,
როგორც ბრძოლაში შუბი ხაზარის.

ყურში ჩამესმის ზვირთთა ტენის ხმა
ამბოხებული პალიასტომის,
სად დამიმარხეთ თავისუფლება
ჩემი მძუძე და ჩემი თვისტომი.

დრო მიჰქრის, როგორც გარელუფაზე¹,
ფეხკავშა გუნტერ² თარაშ ემხვარის,
მზეზე მორკალულ ირისეს ფერებს,
ბავშვის თვალებით ველარ შევხარი –

მისჯილ სიცოცხლეს ვინც ათრევს უღლით,
სიკვდილმისჯილზე უარესია,
მტრის მტრობითა და მოყვასის შუღლით
ბინდი თვალებზე ჩამოსრესია.

1. გარელუფა – აფხაზურად ცხენთა გამოცდა და ჭენებაა დოლის წინა დღეს.

2. გუნტერ – ცხენის სახელია.

შევებუები ნეტავ სიბერეს?

დღეებს შემაღულს დროის დარანში,
 ფიქრით წაკითხულ წიგნივით ვფურცლავ,
 თავს მახვევია ღამის მარმაში
 მიტომ ვერ მამჩნევთ თვალებზე კურცხალს.
 ვფიქრობ,
 ვიგუებ ნეტავ სიბერეს?
 ძვლების ჩხარა-ჩხურს თვალებს ლიბრიანს
 ან ღმერთი როგორ სიკვდილს მიპირებს,
 უსახელოს თუ სიკვდილს რიგიანს?!
 რა შემრჩა, მერმისს რა ჩავაბარო,
 ვიყავ მაჭარი-ღვინოდ ავმხედრდი,
 ლექსო შე მართლა გულის ღადარო
 უკანასკნელი თხოვნით ამღერდი.
 ეს დღეც, ეს ღამეც, გულს მაკრავს ყდებად
 ვფურცლავ სამყაროს სიტკბო-სიმწარეს,
 ყოველი წელი ტოტივით მტყდება
 და იძარცვება ჩემი სიმწვანე,
 შევეგუები ნეტავ სიბერეს
 სულ-ხორცის ბორძიკს, თვალებს ლიბრიანს
 მითხარით როგორ სიკვდილს მიპირებთ
 უსახელოს თუ სიკვდილს რიგიანს

ღიაბეჭის მიიმი ფორმით დააკადებულ ჩემს დას

ჩემო დადუნა,
 რა ტანჯულს გხედავ,
 თვალში სიბნელე, წყალში ფილტვები,
 ნაწვიმმა ცრემლმა წაშალა ნეტავ
 ჩვენი ბავშვობის ცელქი ტიტრები?! (ტიტრები)

შენ გვერდით გიზის მოხუცი დედა,
 მთლად გალეული სულის კირთებით,
 ორივე პირუბრად გულს აჭმევთ სევდას
 და მარადისის გზისთვის ირთვებით.

არ დაგყოლია ბედის ნასახი,
 რა ვარსკვლავზე ხარ დაბადებული,
 როგორც ნაწვიმარ მოლზე ბალახი
 შიში იზრდება გამალებული.

არ ვარ მცნობელი მე იმ ყვავილის
 შენ რომ მალამოდ მოგესალბუნოს,
 ზეგარდს ვთხოვ ტანჯვა თუ ვერ გაგივილის,
 ლოცვით მოსპოს ან დააძაბუნოს.

ვიცი დრო-ჟამი თავისას იზამს,
 წადილს აიხდენს გულღრძო ვამპირი,
 უნდა გაუძლო – მე და შენს ხიზანს
 „არ დაგტოვებთო“ – შენ ხომ დაგვპირდი!

მოვა სიკვდილი

მოვა სიკვდილი სიცოცხლეს მომთხოვს,
 უარი აბა ვისთვის მითქვია,
 უხელთათმანო შენს ხელისგულზე
 სიცოცხლე მდნარი თოვლის ფიფქია.

ტყუილად ვითვლით ვერცხლს ნაალაფარს,
 ცხოვრება ყველას მისხ-მისხს მიაგებს
 მრუში დრო ვის სად ჩაუქრობს ლამპარს
 ვის ყვავილს ველად ააციაგებს ...

შეპითხვა

პოი, სიცოცხლეო,
 მე გამშვენებდი შენ, თუ შენ აყვავებდი ჩემს გაზაფხულებს
 ასე უზადოდ ...
 თქვი სიცოცხლეო,
 ხომ ჩავლილია ყოველივე,
 თქვი,
 სიმართლე თქვი –
 რომელი რომელს?
 არა და თვითონ შენც იცი, რა ძნელი იყო
 ამის გარჩევა ახანძრებულ სიჭაბუკის დროს,
 არა?

ბახსოვს?

კრძალვით ვეტროფოდით მცხეთის ლურჯ ღამეს
 ვერცხლის ძაფებით ნაქსოვს
 და ჩვენს გულებში – ორაგულები
 რომ ფრთხილებდნენ –
 გახსოვს?

პირველი კოცნით როცა მომწუსხე
 (უფალი გვლოცდა სამწყსოს)
 მიყვარხარ მეთქი ძლივს რომ გითხარი
 და რომ გაწითლდი –
 გახსოვს?

ახლაც ღამეა – უძილო ღამე
 მთვარე სარკმელზე დარდს ქსოვს,
 სადაც არაგვი მტკვარს უერთდება
 ჩვენ იქ დავშორდით –
 გახსოვს?

საღამო ალგეითზე

გულნატყვიარი თეთრი ღრუბელი,
დაისის სისხლის გუბეში იწვა,
სურათში იყო რაღაც უთქმელი,
და უტყვად ცოდვით იწვოდა მიწა.

ბინდში ვლღვებოდი იმედად ცისკრის
ამღვრეულს მსგამდა ცის სინოტივე,
გაბუტულები ვისხედით წყლის პირს:
მე, შენ, საღამო და სიმარტოვე.

**ბალაკტიონის უკანასკნელი საამქვეყნო
ღღე 1959 წლის 17 მარტი იყო.
17 მარტს კოეტივა მეფემ სხეული მიწას,
სული კი ზეცას შეახალა ...**

მარტი იდგა. თოვდა, წვიმდა,
სულს აშლოდა ვნებანი
ზმანებებში ტორტმანებდა
გემ „დალანდის“ გემბანი.

თოვდა, წვიმდა, ინგროდა
ცის ცხრა სვეტი, ცხრა კარი,
ნგრევის ხმებში ირჩეოდა
სატანური ხარხარი.

იწვა ღმერთი პალატაში
არც ნაკლები, არც მეტი
ვერ შენიშნეს ჩაწყობილი
რივი ტყვია ცამეტი.

გონს ურევდა სისხლიანი
ხელი ლედი მაკბეტის
და მისდევდა ლურჯა ცხენებს
სამარქაფო კარეტით.

გაეჩხირა ყელში დილა,
როგორც ეშვი მამონტის
დე გრიეს რომ გზა უყელა
სილამაზემ მანონის.

ადგა, მიხვდა, რომ ცხოვრება
უნდობარი გამხდარა,
ადგა. ბრჭყალით ჩამოკაწრა
საუკუნის კამარა.
მთაწმინდაზე თეთრ, მცხრალ მთვარეს
სასო გადასწუროდა,
სულს ლურჯი ცა, ძერას მიწა,
ფრთებს კი ფრენა სწყუროდა.

აირჩევდა სხვა გზას? არა!
ჩურჩულებდნენ ქნარები,
უკვდავების კარს უღებდნენ
ლექსთა ინტეგრალები.

მარტი იდგა, თოვდა, წვიმდა,
ჩაშრეტოდა ვნებანი,
მრუმე ტალღებს დაეფარა
გემ „დალანდის“ – გემბანი ...

ჩემი იყავ მეგონა

ჩემი იყავ მეგონა,
ჩემი ბაღის ნარცისი,
ათინათი გშვენოდა
ამ მიწის და ამ ცისი.

მე ცა ვიყავ – შენ მიწა,
შენ მზეს გავდი მე მთვარეს,
ღმერთო, იმ სიყვარულით
გული დღესაც ნეტარებს.

მერე? – მერე რა მოხდა?
 აგვიმხედრდნენ მოგვები,
 გაგვითელეს წალკოტი,
 ცივი ზამთრის ფლოქვებით.

სიტყვა დამრჩა უთქმელი,
 უტყვად როგორ წავიდე,
 როგორც ქარში ურთხმელი
 ბორგავს გული სამიწე.

დაეშვება ფარდები,
 მთვარე შენს ლანდს დამირწევს,
 მუხრანს გადმოვვარდები,
 წაწლობას თუ გამიწევ.

ცრემლი წვიმად გაიბა,
 დღე-დღეს მისდევს წელი წელს,
 ემსგავსება სიცოცხლე
 ტორით გადალექილ წნელს.

თითქოს გულიც ქვავდება,
 შერკინება გამართა,
 ასჯერ თქმით თუ შავდება,
 ერთხელ თქმა სჯობს არათქმას.

ტაძარში შევდივარ და ტაძრისა ვარ

ტაძარში შევდივარ და ტაძრისა ვარ,
 ზეცას ავხედავ და ცისა,
 (მიწას თვალს ვარიდებ) – ვილოცები
 მაღლო შეგვეწიე ღვთისა.

ტყეში გავერევი ტყიური ვარ,
 მთაში იახსარი ვხდები,
 მიხარის მთელეს და ვერ გამთელეს
 ვერ შემომამტვრიეს ფრთები.

აქეთ ცა მეძახის, იქეთ მიწა,
შუაში ბეწვის ხიდის რწევით,
მიკვირს და არც მიკვირს – სიჭაბუკის
ჟამს რომ გაუქურდავს წლები.

მაცხოვრის სახლში ვლოცულობდი,
სანთელ-საკმეველიც მენტო,
ყური წავუყრუე მიწის ძახილს,
წყალობა არ მოგვაკლო ღმერთო!

ბაშრკვევლობის შიში

უცნაური მაქვს მოლოდინი და
გაურკვევლობის შიში,
წარიხოცება? – ნეტავ რუსთველის
ეს ტიტანური ჯიშში.

კითხვა-პასუხის სიდუხჭირეთი
სულში იმედი კვნესის,
გაყოფილია ციციქნა ტირეთი
ყოფნა-არყოფნის ფესვი.

არ დაშვებულა ჩემი ციხიდან
კრწანისს ნაფენი დროშა,
არაკველების დაღვრილი სისხლი
ყურბს და ისევ შფოთავს?

ცეცხლით ავხანჯლავ ლოდინის წკვარამს
და გულს ჩაწურულ შიშს,
გადაშენება? – არა და არა,
დიდი დავითის ჯიშს!

ბამოუქმეყნებელი ლექსებიდან

მღომარეობა

სიცხემ იმძლავრა,
 მთებზე უკვე დადნა ივლისი,
 მწვანე ფერდობებს გადაეკრა ყვითელი ფერი,
 მორჩა სეზონი ტკივილებით სავსე ღვინის სმის,
 არეულობა დაწყებულია ერის და ბერის.
 ირგვლივ ყოველი დღეებივით კარგავს ინტერესს,
 როგორც სულ მალე ეს ზაფხულიც დაკარგავს ფერებს,
 მტერი მომდგარა კართან ახლოს,
 გზებსაც გვიმტვერებს,
 რომ ურდოები წარღვნასავით დაგვეცენ მერე.
 სახნავს და სათესს ის გვიოხრებს, ვინც დღესაც რუსობს,
 საკუთარს გვართმევს,
 სიბევრითაც ავად თვალთმაქცობს,
 დღისით და მზისით გვედავება კოდორს თუ თრუსოს,
 ო, რამდენს უძლებ ხალხო მცირევ,
 ხალხო მამაცო.
 თითქმის არასდროს არ გვეოლია ქვეყნად პატრონი,
 თითქმის არასდროს არ გვეოლია ქვეყნად დამხმარე,
 მტერთან მარტონი მოტყუებით ხშირად დაგვტოვეს
 და მოღალატე ტოტლებენი დღესაც ხარხარებს.
 ერეკლე კვლავაც შეატოვეს ველურთა ურდოს,
 ისე უნდოდათ ქართველების ერთად გაუღეტა,
 ვაი მათ, ვინაც დღემდე დარჩა მხეცი და უნდო,
 სხვისი სიცოცხლის ვისაც ახლაც ძალუძს დაშრეტა.
 უნდა გავუძლოთ,
 თუმცა არსად მოჩანს ერთობა,
 უნდა შევერთდეთ,
 საქართველო არის მთავარი,
 საშიშად მოჩანს საუკუნის ცივი ფერდობი
 და უფსკრულისკენ მისრიალებს ბევრი სავალი.

X X X

აღარ ხმაურობ,
 გამხდარხარ ჩუმი,
 თითქოს აღარ ხარ,
 ისე არსებობ,
 შერთებისარ მინდვრების ღუმელს,
 მღვრიე წყვდიადი წვება გარშემო.
 ჭრიალებს მუხა –
 ქარის ყურმილი,
 სდევ ნაფოტივით
 აზრებს წამლეკავს,
 ვერახდენილი, როგორც სურვილი,
 სუსტი სხივები მინამ არეკლა.
 ძნელია მოწყდე
 უხილავ სამანს
 გავლებულს უფლის ნებით და ხელით
 და ფიქრობ სანამ,
 დადიხარ სანამ,
 ზღაპრულ ფერიას იმედით ელი.

სამშობლოს ბედი

კაცის თვისებად,
 ქალის თვისებად
 ბევრის თვისებად იქცა დალატი,
 ძველ საუკუნეს უკან გაჰყვა პატიოსნება,
 წყალს როგორც მიაქვს დაკეცილი ქალაღლის ნავი,
 მორჩა სიკეთით სახეების გასხივოსნება,
 მრავალს სამშობლოს ურჩევნია ჯიბე და თავი.
 ლანძღვა-გინება ისმის როგორც ქარის ღრიალი,
 როდესაც ძალით შეილება მღვიმეში კარი,
 დასახმარებლად ისევ მოდის გადამთიელი,
 თუშურ ყველივით იყიდება მთაცა და ბარიც,
 ჩვენ ერთმანეთის ლანძღვაზე ვართ გადასულები,
 სამშობლოს ბედი არ გვაწუხებს ახლა სრულებით.
 უპირველესი კი შენა ხარ,

სამშობლოს ბედო,
 ეს ყველა ქართველს
 ლოცვასავით გულში რომ ედოს,
 ამისკენ უნდა ვისწრაფოდეთ,
 ამას ვცდილობდეთ,
 თორემ ჩხუბებით მისულნი ვართ სასაცილომდე.
 კიდევ როდემდის გაგრძელდება
 ბოღმა, ქიშპობა,
 როცა ქვეყანა დამღუპველი შურით ისპობა.

მალალი კაცი

ქუჩაში მიდის მალალი კაცი,
 ზეციდან ესმის ხმები გალობის,
 მთიდან მოიწევს საღამო ბაცი,
 მდინარესავით,
 ქუჩით ბარნოვის.
 ქუჩაში მიდის მალალი კაცი
 და მხრებით მიაქვს ეპოქა ვრცელი,
 ვერვინ ვერაფერს დააკლებს აწი
 თუ არ შემართა განგებამ ცელი.
 ქუჩაში მიდის მალალი კაცი,
 ღიმილს არ აკლებს
 დიდს თუ პატარებს,
 და წლებს სპილენძის თასივით დაცლილს
 თილისმასავით უბით ატარებს.
 თან სიყვარულის მიაქვს უსტარი,
 თოვს და ეყრება ბექობს მარილი,
 ის კი კვლავ უხმობს შოთა რუსთაველს
 უერთგულესი მეგობარივით.
 თავს კაცი მხოლოდ საღმისათვის დახრის,
 მიდის გულების დასამშვიდებლად,
 და სიყვარულით ჩურჩულებს ხალხი:
 ეს ხომ ირაკლი აბაშიძეა.

შეხვედრა ხერთვისთან

მე მწამს და მჯერა
 დაგვეურებს ღმერთი,
 იმელს უმთავრესს ვისაც აღრიან,
 ახლა,
 როდესაც დავევები ხერთვისს
 ვგრძნობ ეს შეხვედრაც მისი მაღლია.
 ფიქრებით გავცქერ ძველ საუკუნეს
 დამანგრეველი ღვარივით ჩავლილს,
 ცაში იმედად ქრისტეს ვუყურებ
 ჯერ არ გასვლია სიკეთეს ყავლი.
 კვლავ წვიმასავით ვიგრძნობ წინანდელს,
 რაც ხილვებისთვის გამომადგება,
 მან მომიყვანა ამ დღის ხილვამდეც,
 რაც ძნელი იყო წარმოსადგენად.
 მერე კლდეებზე დგება ქალაქი,
 ისევე მოჩანს,
 ოლონდ სხვა სახით,
 მოგონებათა ძველი მარაგით
 აღარ იხსენებს წლების დამახილს.
 გაჭირვებული და სტუდენტური
 თვალწინ ცოცხლდება ბიჭური დღენი
 ბევრი ვალია გასტუმრებული,
 ჯერ არ გამხმარა ბალახის ღერი.
 ღმერთი კი ისევ მახვედრებს ხერთვისს,
 დიდი მაღლით და
 დაუმაღლებლად,
 ვისი ხმაც ხალხის სურვილებს ერთვის
 იმას ყოველთვის გაუმართლდება.

შიში

როგორ მაშინებს ეს სიძულვილი,
 ხანძრის ალივით გაჩენილი ქართველებს შორის,
 სასირცხვილოა ჩვენი ყოფა,
 როდესაც ძმა ძმას
 ანდა ასევე და საკუთარ დას,
 მტერივით უცქერს,
 თითქოს წყევლით ამიწებს, ნაცრავს,
 და ავს უსურვებს სიკეთის ნაცვლად.
 რამ მოაზღვავა ამდენი ცოდვა,
 მყინვარებიდან გადმოვარდნილი მძიმე ზვაავით,
 და ამ ბოლმაში გულივით სწრაფად
 ჯერ გაუშლელი ჭკნება ყვაავილი.
 ველარ მოვებნეთ
 მიტევების ძალა ჩვენს თავში,
 მიმტევებლობას ტკივილივით ცვლის სიბოროტე,
 დროისგან ისე შეიცვალა ადამიანი
 კეთილის ნაცვლად
 თითქოს გახდა ბნელი რობოტი.
 როგორ მაშინებს ეს სიძულვილი,
 ერის დახლეჩა ორად თუ ათად,
 ბოლო მოეღო ნათელ სურვილებს,
 და ყოველგვარი ცუდისთვის
 მზათ ვართ.

სალამო პეტრიაშვილზე

გურამ რჩეულიშვილს

ჩრდილებად წვება სალამო გრილი,
 აღარ იღვრება ბუდი ასფალტით,
 დარდით გავცქერი სალამოს თბილისს,
 ქედებზე მიკრულს მწვანის ას ბალთით.
 მავსებს ფიქრების წამლეკი ღვარი,
 ათასჯერ განცდილს ველარ ვეშვები,
 თითქოს იხსნება დახშული კარი
 და აღმართიან ქუჩით ეშვები.
 გაყურებული პეტრიაშვილი

ნალების ყვითელ ნაპერწკლებს აჩენს,
 ოღონდ ხელს უკვე ვერ მიაშველებ
 მძიმე ძაძებად გადმოშლილ ფარჩებს.
 მორჩენილია ავლაც, ჩამოვლაც,
 არც ნაპერწკლები უჩნდებათ ნალებს,
 დარდი მანძილმაც ველარ ჩამალა
 და ღრუბელივით მძიმდება ხვალე.
 მხოლოდ ამაყი სული ჩამორბის
 მიყუჩებული პეტრიაშვილით,
 რჩები უკვდავი ქრისტეს მამობით,
 განუწყვეტელი სულთა კავშირით.
 სულ ასე ივლი,
 არსად მიდინარ,
 გრიგალებს გაჰყვა,
 რაც იყო ადრე,
 ახლა კი უკვე ისე დიდი ხარ,
 ფარავ ვეება წიფლებს და ჭადრებს.

ცოტალა დარჩა

ცივად ისმოდა
 გაბმული არა,
 შეუძლებელი მაინც არ იქნა,
 რადგან არასდროს ვიტყოდი კმარას
 ფიქრიც დარდივით აღარ გამიქრა.
 არ მორჩენილა ცდები და ძებნა,
 განუწყვეტელი,
 ფარულიც,
 ცხადიც,
 გრძელდება ჯახი,
 გრძელდება შებმა,
 როგორც ჭიდილი მდედრის და ხვადის.
 მაინც ავედი კლდეების ზედა,
 ახლოს ვიხილე,
 რასაც მალავდნენ,
 თუ არწივები მწვერვალზე სხედან,
 ცოტალა დარჩა იმ მწვერვალამდე.

ვერაზე

ნიაზ დიასამიძის ხსოვნას

ბელინსკის ქუჩით ჩამორბის ქარი
 და თითქოს ძველი სურნელი მოაქვს,
 არაფერია ამ ქვეყნად მყარი,
 ყველაფერს მხოლოდ თავისი დრო აქვს.
 ჟამი კი ზვავის სისწრაფით მიქრის,
 მარტო მიდინარ,
 არავის ერჩი,
 ვით კაცობაზე მარადი ფიქრი
 ქალაქს და ქუჩას სახელად შერჩი.
 სულ მახსენდება სავსე სიკეთით
 და იუმორით საოცრად ნაღლით,
 თავად შექმენი თუ გაიკეთე
 ბევრის გულებში ის ოქროს ტახტი.
 ფანტელელებით მხრებზე გეყარა
 კაცობის ნიჭი,
 რაც ცამდე აღის,
 შენ აუჯანყდი მუხთალ ქვეყანას
 და მოურჩენელ ტკივილით სვამდი.
 უიმედობის კვლავ რეკავს ზარი,
 ქვეყნად ბევრია და შენ კი არ ხარ,
 მომელანდები დუქანში მღვარი,
 დაილოცები და მერე
 წახვალ...

მხიარული

ბევრი ალბათ მხიარულად მთვლიდა,
 როცა ბედი
 მხრიდა,
 მხრავდა,
 მთლიდა.
 ვილაც ჩამთვლის მხიარულად ახლაც,
 როცა მზაფრავს შუღლიც, ომიც, აყრაც.
 ისევ ჩამთვლის ვილაც მხიარულად
 ტანჯვის, ბრძოლის

წლებიც მიმალულან.
 დარდებს ფარავს გაცინება მწარე,
 გაჭირვება კაცივით ხსნის კარებს.
 ვინუგეშებ თავს სმითა და ლექსით,
 ხმა ღვთისმშობლის მესმოდა და მესმის.
 ანგელოზთა ჩუმი ჟრიაშულით
 ვიყავი და ვრჩები მხიარული.

ბანბების ნება

ყინვას ბავშვივით დაატარებდა
 ქარი მსუსხავი და ხმამალალი,
 ხან ჩამოსვამდა სახლის კარებთან,
 ხან კი სირბილით სდევდა ბალამდის.
 დიდი ქალაქი ჰგავდა ცარიელს,
 ჩანურულიყო ჩიხის ბლინდაჟი,
 შეშფოთებულმა ისევ დავლიე
 და გაადვილდა ყოფნა ყინვაში.
 განმარტოებით ყინვის გაძლების
 არცერთს სამყოფი ძალა არ გვქონდა,
 და დარწეული მწვანე ნაძვებით
 ქარიშხალს მთვარის შუქი დაჰქონდა.
 ქარი მოჭრილი მამადავითით
 ეჯახებოდა შიშველ მახათას,
 თითქოს ვიგრძენი, რომ იმთავითვე
 თეთრი ქალაქი ხმობდა დამხატავს.
 ირგვლივ ყოველი იყო განგებით,
 შენაც განგების ძღვენი იყავი,
 დიდი ხნის ძებნის მერე გაგნებდი,
 და მონატრებულს ველარ გრიყავდი.
 ყინვას ვეფხვივით შებმოდა ვნება,
 როგორც სურვილი დაყოლიების,
 ეს იყო ისევ განგების ნება,
 და ჩვენ მის ნებას აყოლილები.

ხილვა მცხეთაში

ქვეყნად მფარველი ყოველთა,
ძე ღვთისა, ღვთისვე დარი,
ვიხილე სვეტიცხოველთან
გუმბათის მალლა მდგარი.
თეთრი სამოსი ემოსა,
მცხეთას დასცქერდა მშვიდად,
ნათლის ძლიერი შემოსვლა
ჩანდა ზედაზნის მთიდან.
ვით ცისარტყელა გაბმული
ჰაერში კრთოდა ხიდი,
ხილვით დიადით გავბრუნდი
და ნეტარ წუთებს ვთვლიდი,
ის კი მოჩანდა ცხადივით,
რაც არასოდეს გვტოვებს,
ამგვარი განცდის წადილი
ამ ლამაზ დილით ვპოვე.

ნუგ ზარ წერეთელი